სს “დარიალი ენერჯი”

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა

თბილისი 2017

შინაარსი

1.0 შესავალი **5**

2.0 ტერმინები და განმარტებები **6**

3.1 ხელმძღვანელობა და ვალდებულება **8**
3.1.1 *მენეჯმენტის ვალდებულება* *8*
3.1.2 *მენეჯმენტის წარმომადგენლები (სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელები)* *8*
3.1.3 *დასაქმებულთა ჩართულობა* *8*
3.1.4 *ვალდებულება* *9*

4.0 პოლიტიკა **10**

4.1 პასუხისმგებლობა **10**
4.2 პროცედურა **10**
4.3 სამუშაო გარემოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება **11**
4.4 გარემოს დაცვის პოლიტიკის დებულება **12**
4.5 ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის პოლიტიკის დებულება **13**

5.0 პერსონალი **14**

5.1 პერსონალი **15**
5.2 უსაფრთხოების ოფიცრის კვალიფიკაცია **15**
5.3 მოწყობილობა და დანადგარები **15**
5.4 პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევა **16**
5.5 პერსონალის ტრანსპორტირება **19**
5.6 სამუშაოს წარმოების პერიოდულობა **19**
5.7 პერსონალის კვება **19**
5.8 სანიტარული ადგილები .... Error! Bookmark not defined.
5.9 პერსონალის საცხოვრებელი **19**

6.0 უსაფრთხოების და ჯანდაცვის მართვის სისტემა **19**

6.1 დარიალ ენერჯის ორგანიზაციული სტრუქტურა **20**

7.0 პერსონალის ფუნქცია, მოვალეობა და პასუხისმგებლობა **21**

7.1 საერთო მოთხოვნები **21**
7.2 თანამშრომელთა პასუხისმგებლობა **21**
7.2.1 *დარიალ ენერჯის ტექნიკური დირექტორის მოვალეობა და პასუხიმგებლობა* *21*
7.2.2 *მთავარი ინჟინერი* *22*
7.3 ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვის მენეჯერი **22**
7.3.1 *ყველა თანამშრომლის მოვალეობა და პასუხისმგებლობა* *23*

8.0 რისკების შეფასება **24**

8.1 საფრთხის აღმოჩენა (იდენტიფიკაცია) **26**
8.1.1 *საფრთხის იდენტიფიკაციის პროცედურა* *26*
8.1.2 *საფრთხეების განსაზღვრა* *26*
8.2 რისკის სიდიდის განსაზღვრა **27**
8.2.1 *საფრთხის ალბათობის განსაზღვრა* *27*
8.2.2 *საფრთხის სიმძიმის განსაზღვრა* *28*
8.3 რისკის სიდიდის განსაზღვრის შედეგი **29**
8.3.1 *რისკების შეფასების ცხრილი* *30*
8.4 რისკის საკონტროლოდ საჭირო მოქმედებები **31**
8.5 რისკის შესამცირება და საჭირო პროცედურების შერჩევა **31**
8.6 რისკის შეფასების დოკუმენტირება **32**

9.0 ინციდენტის გამოკვლევა **33**

9.1 ინციდენტის გამოკვლევის მნიშვნელობა 33
9.2 მოვალეობები და პასუხისმგებლობა 33
9.2.1 *ობიექტის მენეჯერი* .... **Error! Bookmark not defined.**
9.2.2 *უსაფრთხოების მენეჯერი* 34
9.2.3 *ინციდენტის ადგილზე პასუხისმგებელი პირი* 34
9.2.4 *ინციდენტის გამოკვლევის ჯგუფი* 35
9.3 შეტყობინება 35
9.4 ინციდენტის გამოკვლევის პროცესი 35
9.4.1 *ინციდენტის სიმძიმისა და მასშტაბის განსაზღვრა და დადგენა* 35
9.4.2 *გამოკვლევის მეთოდი* 36
9.4.3 *ინციდენტის გამოკვლევის შედეგი* 38
9.5 ინციდენტის გამოკვლევის დოკუმენტირება 38

10.0 პერსონალის სწავლება და ტრეინინგები 38

10.1 ტრეინიგები დაგეგმვა და წარმოება 38
10.2 ტრეინინგების გაცნობიერება, გაცნობითი და ყოველდღიური ინსტრუქტაჟი 40
10.3 ტრეინინგების ჩანაწერი 41

11.0 პერსონალზე მორგებული უსაფრთხოების პროგრამა 41

12.0 პერსონალური დაცვის აღჭურვილობა 42

12.1 თვალების დაცვა 43
12.2 სმენის დაცვა 43
12.3 ელექტრობისგან დაცვის აღჭურვილობა 44

13.0 ჰესის ექსპლუატაციის უსაფრთხოების ძირითადი პროცედურები 44

13.1 ძირითადი უსაფრთხობის მოთხოვნები 44
13.2 უსაფრთხოების მოთხოვნები სათავე ნაგებობის ექსპლუატაციისას 46
13.2.1 *სათავე ნაგებობის და საექსპლუატაციო რეჟიმის დახასიათება* 46
13.3 უსაფრთხოების მოთხოვნები სათავე ნაგებობის შემოწმებისათვის 47

14.0 სამუშაოების წარმოება ზამთრის და ზაფხულის პერიოდში .... ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.

15.0 ტრანსპორტის უსაფრთხოების მოთხოვნები 48

15.1 ძირითადი მოთხოვნები 48
15.2 ავტოტრანსპორტის მძღოლის ძირითადი ძირითადი უსაფრთხოების მოთხოვნები 48

16.0 ამწე მექანიზმის უსაფრთხოების პროცედურები .... ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.

17.0 პერსონალის ჯანდაცვის საკითხები 51

18.0 მოქმედება საგანგებო მდგომარეობაში 51

18.1 საგანგებო მდგომარეობის აღწერა 51
18.2 ინციდენტის მართვა და ორგანიზება 52
18.3 შეტყობინება და გამოძახების პროცედურა 54
18.4 ინციდენტის მართვის ცენტრის წარმომადგენელთა მოვალეობები 55
18.4.1 *ტექნიკური დირექტორი* 55
18.4.2 *წარმოების მენეჯერი* .... **Error! Bookmark not defined.**
18.4.3 *ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი* 56
18.4.4 *მაკონტროლებელი შენობის მენეჯერი* 56
18.4.5 *ობიექტის სპეციალისტები* 57
18.4.6 *ფიზიკური დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერი* 57
18.4.7 *ტრანსპორტის სამსახურის უფროსი* 58
18.4.8 *საგანგებო მდგომარეობის ლოკალიზების ჯგუფის წევრები* 58
18.4.9 *ინციდენტის ადგილის პასუხისმგებელი პირი* 59

18.4.10 ობიექტზე მყოფი კონტრაქტორი ფირმის წარმომადგენლები 60
18.4.11 ობიექტზე მყოფი ვიზიტორები 60
18.5 მეწყერის წარმოქმნის შესაძლებლობა და მოქმედება მეწყერსაშიში მდგომარეობისას 60
18.5.1 ჰესის მშენებლობის დროს მომხდარი მეწყერის დახასიათება 60
18.5.2 მოქმედება მეწყერის წარმოქმნის განგაშის შემთხვევაში 64
18.5.3 მეწყერსაშიში პერიოდი 65
18.5.4 თანამშრომელთა მოქმედებები მეწყერის განგაშისას 66
18.6 სახანრო უსაფრთხოება 66
18.6.1 საერთო მოთხოვნები 66
18.6.2 სახანძრო უსაფრთხოების სისტემა 67
18.6.3 შეტყობინების სქემა და თანმიმდევრობა ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში 67
18.6.4 მოქმედება ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში 68
18.6.5 ევაკუაცია ხანძრის შემთხვევაში 69
18.7 ქიმიური ნივთიერებების და საწვავის დაღვრა და პრევენციული ზომები 70
18.7.1 ქიმიური ნივთიერებები 70
18.7.2 საწვავისა და საპოხ-საცხები (ლუბრიკანტები) მასალების დასაწყობება და გამოყენება 71
18.8 მოქმედება პერსონალის დაშავების შემთხვევაში 73
18.9 მოწყობილობის ტექნიკური დაზიანება 74
18.10 ფიზიკური დაცვის თანამშრომელთა მომქმედებები ობიექტზე თავდასხმის ან სხვა სახის დარღვევების აღმოჩენისას 74
18.11 მოქმედება ავტოსაგზაო შემთხვევისას 75
18.12 თანამშრომელთა ტრეინინგები და მზადყოფნა საგანაგებო მდგომარეობაში მოქმედებათა შესახებ 75
18.13 ინციდენტის მართვის ჯგუფის საკონტაქტო ინფორმაცია 76
19.0 გარემოსდაცვითი მოთხოვნები 77
20.0 დისციპლინარული სისტემა 79
21.0 უსაფრთხოების აუდიტი 79
22.0 ანგარიშგება (რეპორტინგი) 79
23.0 დანართები 80
23.1 დანართი 1 რისკების შეფასების დოკუმენტი 81
23.2 დანართი 2 ტრეინინგების აღრიცხვის ჟურნალი 83
23.3 დანართი 3 ჩანაწერი ტრეინინგის შესახებ 84
23.4 დანართი 3 „დარიალ ენერჯის“ ტრეინინგების მატრიცა 85

1.0 შესავალი

დარიალის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ყაზბეგის რეგიონში, მდინარე თერგზე, დინების მიმართულებით ზღვის დონიდან 1729 მეტრის სიმაღლეზე 108 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციას. ჰიდროელექტროსადგური აგროვებს წყლის ნაკადს მდინარე თერგიდან და მიმართავს მას დერივაციული გვირაბით გენერალურ ნაგებობამდე, რომელიც განთავსებულია ზღვის დონიდან 1334 მეტრზე, 1,2 კმ-ში რუსეთ-საქართველოს საზღვართან. ჰესის წლიური სტაბილური გამომუშავება შეადგენს 500 მლნ კვ/სთ-ს, საიდანაც დაახლოებით 70% ენერგია წარმოებული იქნება ზაფხულის თვეებში (მაისი-ოქტომბერი). გათვალისწინებულია დარიალის ელექტროსადგურის ქვესადგურის კავშირი ეროვნულ ქსელთან, დარიალის 110 კვტ გადამცემი ხაზით. ექსპლუატაციის პერიოდის დაწყების შემდგომ ჰესის ამორტიზების მოსალოდნელი პერიოდი იქნება 40 წელი.

ჰიდროელექტროსადგური შედგება 2 კილომეტრიანი ღია არხის და 5.6 კმ (დიამეტრი 5.5 მ) სიგრძის დერივაციული გვირაბისგან რომლითაც მოხდება წყლის მიწოდება ჰესის შენობაში მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ჰიდრო აგრეგატი შედგება 3 ვერტიკალური პელტონის ტურბინისა და სინქრონული გენერატორისგან. წყლის ნაკადის დაწნევა შეადგენს 379.0 მეტრს, 33 კუბური მ/წმ წყლის ხარჯით. ჰესის შენობის ფუნქციონირება შესაძლებელია, როგორც დამოუკიდებლად ისე სახელწიფო ელექტროსისტემის ქსელთან სინქრონიზაციის გზით, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის როგორც შიდა ისე სისტემური რესურსების მიწოდებას.

ჰირდროელექტრო სადგური წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც შედგება შემდეგი ძირითადი კვანძებისაგან:

1. სათავე წყალმიმღები ნაგებობა;
2. სადერივაციო მილსადენი წყალმიმღები ნაგებობიდან სალექარამდე;
3. ორკამერიანი, პერიოდული ჰიდრავლიკური რეცხვის სალექარი;
4. სადერივაციო მილსადენი სალექარიდან სადაწნეო გვირაბის შესასვლელ პორტალამდე;
5. სადერივაციო სადაწნეო გვირაბი;
6. ჰესის ტურბინა-გენერატორების დარბაზი;
7. სამომსახურეო და საკაბელო გვირაბები;
8. ჰესის წყალგამყვანი ტრაქტი;
9. სატრანსფორმატორო ქვესადგური;
10. სამომსახურეო და დამხმარე ნაგებობები;

"დარიალ ენერჯის" უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის გეგმა შემუშავებულია იმისთვის, რომ შეიქმნას და დამკვიდრდეს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სისტემური მიდგომა და დამყარდეს უსაფრთხოების კულტურა ინციდენტების გარეშე.

"დარიალ ენერჯის" უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის გეგმა ეხება "დარიალ ენერჯის" მიერ ჰესის კომპლექსის შემადგენელი ყველა კვანძის ექსპლუატაციას და ყველა ჩატარებულ ოპერაციას. ჰესის ექსპლუატაციისათვის საჭირო ნებისმიერი მოქმედების, პროექტის, გეგმიური და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ან კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესრულების დროს, "დარიალ ენერჯი" მკაცრად უზრუნველყოფს ამ მოთხოვნების შესრულებას.

"დარიალ ენერჯის" უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის გეგმა შემუშავებულია საქართველოში მოქმედ უსაფრთხოების კანონებთან შესაბამისობით და ასევე

ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მოთხოვნებს.

2.0 ტერმინები და განმარტებები

აუდიტი – სისტემატური და დოკუმენტირებული პროცესი უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების მონაცემების მისაღებად და მათ ობიექტურად შესაფასებლად, რათა განისაზღვროს, რამდენადაა შესრულებული აუდიტის კრიტერიუმები.

აუდიტის პროგრამა – კონკრეტული დროისთვის დაგეგმილი ერთი ან მეტი აუდიტისგან შედგენილი პროგრამა, რომელიც კონკრეტული მიზნისკენაა მიმართული. აუდიტის პროგრამა მოიცავს აუდიტის დაგეგმვის, ორგანიზების და ჩატარებისთვის საჭირო ყველა მოქმედებას.

კომპეტენტურობა – უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის გეგმის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

მუდმივი გაუმჯობესება – უსაფრთხოების და ჯანდაცვის მართვის გეგმის განხილვის, განახლების და გაუმჯობესების პროცესი, უსაფრთხოების მენეჯმენტის მუდმივი გაუმჯობესების მისაღწევად.

კონტრაქტორი – ორგანიზაცია ან პირი, რომელიც მეორე ორგანიზაციას მიაწოდებს გარკვეულ სერვისს წინასწარ შეთანხმებული დეტალების და პირობების შესაბამისად.

დოკუმენტი – საბუთი, რომელიც შეიცავს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის სისტემასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

დასაქმებული – ორგანიზაციის თანამშრომელი, ან ადამიანი, რომელსაც დღიურად იქირავებს ორგანიზაცია.

დასაქმებულთა წარმომადგენელი – არა-მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული ადამიანი, რომელიც:

> ა) - სხვა დასაქმებულებს წარმოადგენს კანონის მოთხოვნების, ან კოლექტიური შეთანხმების თანახმად; ან
>
> ბ) - სხვა მიზეზების გამოა შერჩეული არა-მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა მიერ.

ერგონომიკა – სოციალური და ტექნიკური მეცნიერებების გაერთიანებული ცოდნა, რომელიც გამოიყენება სამუშაოს, სისტემების, პროდუქციის და გარემოს მოსარგებად ადამიანების ფიზიკურ და გონებრივ მახასიათებლებზე.

საფრთხე – დასაქმებულისთვის პოტენციური ზიანის მიყენების წყარო.

ინციდენტი – მუშაობის პროცესში წარმოქმნილი შემთხვევა, რომელმაც, შეიძლება, გამოიწვიოს სხეულის დაზიანება ან დაავადება, მოწყობილობის დაზიანება და გარემოზე ზემოქმედება (იგულისხმება შემთხვევებიც, როდესაც არავინ დაზიანებულა, მაგრამ, შეიძლებოდა, დაშავებულიყო; განიმარტება როგორც **ინციდენტთან მიახლოებული მდგომარეობა** ან **არშემდგარი ინციდენტი**).

საკანონმდებლო მოთხოვნები – ადგილობრივი (საქართველოს), რეგიონული / ტერიტორიული და მუნიციპალური კანონმდებლობის და რეგულაციების მოთხოვნები, ორგანიზაციის კოლექტიური შეთანხმებები, რომლებიც ჯანდაცვას და უსაფრთხოებას შეეხება.

ორგანიზაცია – კომპანია, საწარმო, დაწესებულება ან ასოციაცია, ან ზემოთ ჩამოთვლილთა ნაწილი, ან მათი გაერთიანება, რომელსაც აქვს საკუთარი მმართველობა. შეიძლება, ორგანიზაცია იყოს მცირე ან კორპორაცია, საჯარო ან კერძო დაწესებულება.

სხვა მოთხოვნები – სხვა ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებები, რომლებსაც ორგანიზაცია იცავს.

პროცედურა – პროცესის განხორციელების დოკუმენტირებული, თანმიმდევრობა რომლის შესრულებაც წარმოადგენს აუცილებლობას, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია განიხილებოდეს ადმინისტრაციული ზომების გატარება.

პროცესი – ურთიერთდაკავშირებული მოქმედებების ერთობლიობა, რომლის მიზანია საჭირო შედეგის მიღება.

ჩანაწერი – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს შედეგების მიღწევას, ან აღწერს შესრულებულ მოქმედებებს.

რისკი – საფრთხის შემცველი მოვლენის მოხდენის ალბათობის და ამ მოვლენის მიერ გამოწვეული ზიანის სიდიდის კომბინაცია, ნამრავლი.

უსაფრთხოების და ჯანდაცვის მართვის სისტემა – ორგანიზაციის მენეჯმენტის ნაწილი, რომელიც მართავს სამსახურებრივ, ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკებს და მათთან დაკავშირებულ მოქმედებებს.

სისტემა – ურთიერთდაკავშირებული, ან ურთიერთმოქმედი ელემენტების ერთობლიობა.

სამსახურებრივი მხარეები – მენეჯერები (იგულისხმება ზედამხედველებიც), დასაქმებულები და მათი წარმომადგენლები.

3.0 ზოგადი მოთხოვნები

3.1 ხელმძღვანელობა და ვალდებულება

3.1.1 მენეჯმენტის ვალდებულება

“დარიალ ენერჯის” მენეჯმენტი ახორციელებს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ქმედებების ხელმძღვანელობას და იღებს ამ გეგმის შესრულების პასუხისმგებლობას. ეს პასუხისმგებლობა გულისხმობს:

- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების დანერგვას და აქტიურად განხორციელებას;
- შესაბამისი ფინანსური, ადამიანური და ორგანიზაციული რესურსებით უზრუნველყოფას ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოქმედებების დასაგეგმად, განხორციელებისთვის, შემოწმების, მიმოხილვისა და შესწორებისათვის;
- თანამშრომელთა ფუნქციების განსაზღვრას, პასუხისმგებლობების განაწილებას, ანგარიშვალდებულების დადგენას და ძალაუფლების დელეგირებას უსაფრთხოების და ჯანდაცვის ეფექტურად განხორციელებისთვის;
- უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის პოლიტიკის და გაზომვადი მიზნების დადგენას და განხორციელებას;
- ორგანიზაციის უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმის მიმოხილვას დაგეგმილ დროის ინტერვალებში;
- დასაქმებულებთან და მათ წარმომადგენლებთან კონსულტაციების ჩატარებას; და
- უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის დანერგვასა და განხორციელებაში დასაქმებულთა და კონტრაქტორთა აქტიურად ჩართვის წახალისებას.

3.1.2 მენეჯმენტის წარმომადგენლები (სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელები)

“დარიალ ენერჯის” მენეჯმენტი, კომპანიის სამუშაო მასშტაბის და ზომის შესაბამისად, დანიშნავს მენეჯმენტის ერთ (ან ორ) წარმომადგენელს, რომლებსაც, სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად, ექნებათ განსაზღვრული როლები, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილება, რათა უზრუნველყონ უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმის მოთხოვნების განხორციელება და განხილვა იმისთვის, რომ:

- განახორციელონ ეფექტური პროცესები სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირებისათვის, მათი აღმოფხვრის ან მინიმუმამდე შემცირების და მუდმივი კონტროლისათვის;
- მოახსენონ მენეჯმენტს, დასაქმებულებსა და მათ წარმომადგენლებს, როგორ მოქმედებს არსებული უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმის მოთხოვნები, განიხილონ და მოძებნონ გაუმჯობესების გზები.

3.1.3 დასაქმებულთა ჩართულობა

დასაქმებულთა მონაწილეობა უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმის მოთხოვნების ძირითადი ასპექტია. “დარიალ ენერჯი” დასაქმებულებსა და მათ წარმომადგენლებს, უზრუნველყოფს შესაძლებლობით, დროითა და რესურსებით, რომ მონაწილეობა მიიღონ უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკითხების შეფასებაში და ჩართული იყვნენ უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის, უსაფრთხოების საკითხების განხორციელების, ტრეინინგების, შეფასების და შესწორების პროცესებში; ასევე, კომპანია წაახალისებს დასაქმებულთა ჩართულობას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- დასაქმებულთა ჩართულობის მხარდაჭერა, როგორიცაა ჩართულობის ხელისშემშლელი ბარიერების იდენტიფიცირება და მოშორება;
- ორგანიზაციაში ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ჯგუფის შექმნა, ან დასაქმებულთა წარმომადგენლების არჩევა.
- დასაქმებულთა და მათი წარმომადგენლების ტრეინინგის უზრუნველყოფა, მათთან კონსულტაცია უსაფრთხო სამუშაო გარემოს ყველა ასპექტის შესახებ, რომლებიც უკავშირდება მათ მოქმედებას;
- უსაფრთხოების საკითხებში აქტიურად ჩართული თანამშრომლების სახვადასხვა სახით წახალისება;

3.1.4 ვალდებულება

უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის გეგმის შესრულებას უზრუნველყოფს “დარიალ ენერჯის” მენეჯმენტი სრული პასუხისმგებლობით, ვალდებულებითა და მზაობით, გამოყოს რესურსები ჯანდაცვისათვის და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. “დარიალ ენერჯი” ქმნის პროდუქტიულ, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს დასაქმებულთათვის, კონტრაქტორებისთვის, კლიენტებისთვის, მომხმარებლებისა, სტუმრების და ვიზიტორებისათვის.
ჩვენი ვალდებულებები ცნობილია ყველა დასაქმებულისთვის, კონტრაქტორებისა და მომწოდებლებისათვის. ესენია:

- შევქმნათ და დავნერგოთ უსაფრთხოების და ჯანდაცვის კულტურა, სადაც ყოვლად დაუშვებელია თანამშრომლებისთვის ზიანის მიყენება სამუშაო პროცესის წარმოებისას;
- ჯანდაცვის, უსაფრთხოების და სამუშაო გარემოს საფრთხეების ოპერატიულად შეფასება, ახალი და მოქმედი სამუშაო სისტემებისთვის და აღჭურვილობისთვის;
- ჯგუფის მიერ პრობლემების გადაწყვეტის წახალისება ორგანიზაციის ყველა დონეზე, იმისათვის, რომ დაინერგოს სამუშაო პრაქტიკა, რომელიც გამუდმებით გააუმჯობესებს უსაფრთხოებას, გარემოს სტანდარტებსა და პროდუქტიულობას;
- ინციდენტების შესახებ დროული შეტყობინება და გამოკვლევა, მათი გამომწვევი მიზეზის გასადგენად, რათა დროულად და ეფექტურად მოხდეს მათი განმეორების სრული პრევენცია და თავიდან აცილების სისტემების დანერგვა;
- საკანონმდებლო მოთხოვნების და სამრეწველო სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- მენეჯერების და დასაქმებულების ტრეინინგი, რომ კარგად შეასრულონ უსაფრთხო სამუშაოს პროცედურებში აღწერილი საქმიანობა;
- ინფორმაციის მიწოდება ყველა დასაქმებულისთვის, კონტრაქტორისა და მომხმარებლისთვის ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება “დარიალ ენერჯის” მფლობელობაში არსებული ჰესის ექსპლუატაციას;
- სამუშაო პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გარემოზე მავნე ზემოქმედების განეიტრალება.
- “დარიალ ენერჯის” ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია შეასრულოს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის გეგმის მოთხოვნები, რაც მნიშვნელოვან ეფექტს შესძენს საფრთხის, ინციდენტებისა და დაზიანებების მოხდენის შესაძლებლობების სრულად დაცვას.
- ჩვენ მუდმივად ვაუმჯობესებთ უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მენეჯმენტს ახალი მიზნების დასახვით, შესრულების გაზომვით და პროგრესის რეგულარული განხილვით, დასახული მიზნების მიღწევის გზაზე.

- ჩვენი თანამშრომლები ჩართული გვყავს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვაში ტრეინინგების გზით, მათ საკუთარი წვლილი შეაქვთ საფრთხეების იდენტიფიცირებაში, შეფასებასა და კონტროლში.

4.0 პოლიტიკა

მიზანი

“დარიალ ენერჯის” უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მიზანია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა. ჩვენ განვსაზღვრავთ ეტაპებს, რომლებიც საჭიროა ამ პირობების შესაქმნელად და ვაყალიბებთ “დარიალ ენერჯის” უსაფრთხოების და ჯანდაცვის მართვის გეგმისათვის.

4.1 პასუხისმგებლობა

მენეჯმენტი

- იღებს “დარიალ ენერჯის” ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკას და ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას;
- ითხოვს, რომ პოლიტიკა გადანაწილდეს ცალკეულ ოპერაციებზე;
- მხარს უჭერს პოლიტიკის განხორციელებას ყველა მოქმედების/ოპერაციის მიმდინარეობისას.

მენეჯერები და ზედამხედველები

- განიხილავენ პოლიტიკას დანერგვის საწყის ეტაპზე;
- ყველა თანამშრომელს გადასცემს პოლიტიკის მოთხოვნებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შეხვედრებზე;
- უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკა იყოს დროული და ადვილად გასაგები.

ყველა თანამშრომელი

- ემორჩილება პოლიტიკის მოთხოვნებს და მხარს უჭერს პოლიტიკის განხორციელებას.

4.2 პროცედურა

“დარიალ ენერჯი” დასაქმებულებთან და მათ წარმომადგენლებთან კონსულტაციების გზით დაადგენს და შეინარჩუნებს უსაფრთხოების და ჯანდაცვის პოლიტიკას და უზრუნველყოფს, რომ ეს პოლიტიკა:

- შეესაბამება “დარიალ ენერჯის” საქმიანობას შინაარსით, მასშტაბით, უსაფრთხოების და ჯანდაცვის საფრთხეებით და რისკებით;
- მოიცავს ვალდებულებას, დაემორჩილოს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სხვა მოთხოვნებს;
- მოიცავს ვალდებულებას, დაიცვას თანამშრომლები და უზრუნველყოს მუდმივი განვითარება;
- გვაძლევს ჩარჩოს უსაფრთხოების და ჯანდაცვის მიზნების დასახვისა და მათი განხილვისათვის;
- დოკუმენტირებულია, ხორციელდება და შენარჩუნდება;
- ეგზავნება და ეცნობა ყველა დასაქმებულს;
- ხელმისაწვდომია გარეშე დაინტერესებულ პირთათვის;
- საჭიროების შემთხვევაში განიხილება უსაფრთხოების თემაზე გამართულ შეხვედრებზე და ერთვის ყველა იმ გეგმას, რომელიც ურიგდებათ დასაქმებულებს;

- პოლიტიკა ყოველწლიურად განიხილება იმის დასადგენად, რამდენად შეესაბამება ჩვენს კომპანიას და შედის შესაბამისი ცვლილებები და შესწორებები.

4.3 სამუშაო გარემოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება

"დარიალ ენერჯის" მიზანია, გახდეს ლიდერი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. "დარიალ ენერჯი" საუკეთესო ხარისხზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლის ძირითადი ღირებულებებია ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, ინციდენტების პრევენცია და გარემოს დაცვა. ჩვენ გვაქვს ხარისხის კონტროლისა და სამუშაოთა შესრულების კარგად გათვლილი მენეჯმენტი და კომპანიის უპირველესი პრიორიტეტია იყოს ლიდერი ინციდენტების პრევენციის სფეროსა და გარემოს დაცვის პროგრესირებად საკითხებში. ამ მიზნების მიღწევისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ შემდეგი ძირითადი პრინციპებით:

- ყველა უბედური შემთხვევის, საწარმოო დაავადებების და გარემოს დაბინძურების ინციდენტების პრევენცია შესაძლებელია;
- აუცილებელია შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი კანონების და რეგულაციების დაცვა;
- დასაქმების პირობაა უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა და გარემოს დაცვა;
- გამჭვირვალობა და თანამშრომლობა საზოგადოებასთან და მთავრობასთან;
- პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება.

კომპანიის ძირითადი მიზანია, შეისწავლოს მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილება და შეუსაბამოს საკუთარ დებულებას.

"დარიალ ენერჯის" მენეჯმენტის ძირითადი მიზნებია:

- ✓ შექმნას შესაფერისი დამოკიდებულებები და ქცევები სამუშაო ადგილებზე;
- ✓ დასქმებულები უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემოთი;
- ✓ შეამციროს საწარმოო ნარჩენებით დაბინძურება, გაანეიტრალოს მათი გავლენა გარემოზე;
- ✓ გააუმჯობესოს სამუშაოს შესრულება თანამშრომელთა ტრეინინგების საშუალებით;
- ✓ რეგულარულად ჩაატაროს ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის აუდიტი;
- ✓ ყოველწლიურად დასახოს ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიზნები და იზრუნოს მათ შესრულებაზე;
- ✓ იმუშაოს ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად;
- ✓ მინიმუმამდე დაიყვანოს დაზიანებების და უბედური შემთხვევების რაოდენობა;
- ✓ ჩამოაყალიბოს გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოზიტიური კულტურა;
- ✓ გაზარდოს თითოეული გუნდის ტექნიკური უნარები მათი ყოველი ახალი გამოცდილებიდან გამომდინარე;
- ✓ დაამყაროს და შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა და ეფექტური კომუნიკაცია სახელმწიფო ორგანოებთან, დასაქმებულებთან, კერძო ორგანიზაციებთან და ამა თუ იმ პროექტში ჩართულ ნებისმიერ მესამე მხარესთან.

"დარიალ ენერჯი" მიისწრაფის, მიაღწიოს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საუკეთესო გამოცდილებას და სტანდარტებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უსაფრთხოების და ჯანდაცვის მოთხოვნების შესრულება, ბიზნესის ეფექტური მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია და

ამიტომ, ვაპირებთ, მუდმივად გავაუმჯობესოთ ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პირობები.

განზრახული გვაქვს, რეგულარულად შევაფასოთ ჩვენი თანამშრომლების, კონტრაქტორების და მომწოდებლების მიერ ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პირობების შესრულება. “დარიალ ენერჯი” დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების და სტანდარტების დაცვას და მიზნად ისახავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას ყველა თანამშრომლისთვის, კონტრაქტორისთვის, ვიზიტორისათვის, მომხმარებლისთვის, მომწოდებლისთვის, ადგილობრივ მცხოვრებთათვის და საზოგადოებისთვის.

ჩვენ გვჯერა, რომ სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა უბედური შემთხვევის, ინციდენტის, სხეულის დაზიანების და დაავადების პრევენცია შესაძლებელია. არცერთი სამუშაო არაა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ არ შეიძლებოდეს მეტი დროის გამოყოფა მისი უსაფრთხოდ შესრულების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

ჩვენ გვჭირდება ყველა დასაქმებულის, კონტრაქტორისა, სტუმრის და ვიზიტორის თანამშრომლობა. ჩვენ წავახალისებთ შემოთავაზებებს, რომლებიც დაგვეხმარება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მიზნების მიღწევაში და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაში, უბედური შემთხვევების ნულოვანი რაოდენობით.
ეს პოლიტიკა ეხება „დარიალ ენერჯის“ ყველა ოპერაციასა და ფუნქციას, მათ შორის, ისეთ სიტუაციებსაც, როდესაც შესასრულებელი სამუშაო საწარმოს ტერიტორიის გარეთაა.

ზურაბ ალავიძე

გენერალური დირექტორი

____

პოლიტიკის ეს დოკუმენტი უნდა გამოქვეყნდეს “დარიალ ენერჯის” ყველა ობიექტზე, რასაც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების ზედამხედველები.

4.4 გარემოს დაცვის პოლიტიკის დებულება

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გარემოს დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. „დარიალ ენერჯი“ წაახალისებს მის თანამშრომლებს, რომ შეუერთდნენ და დაემორჩილონ მის პოლიტიკას. ჩვენ ვქმნით პროცედურებს, რომლებიც სრულად ეთანხმება სახელმწიფო და ადგილობრივ რეგულაციებს. ჩვენ უზრუნველვყოფთ შესაბამის ტრეინინგს ჩვენი თანამშრომლებისთვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ მათ იციან ეს პროცედურები და შეუძლიათ მათი შესრულება.

გარემოს დაცვა
ჩვენ ვიღებთ გარემოს დაცვის პრაქტიკულ ზომებს. ჩვენ ვუფრთხილდებით და ვიცავთ წყლის, ჰაერის და მიწის რესურსებს. ჩვენ ვცდილობთ, შევამციროთ ნებისმიერი ისეთი ზემოქმედება მიწაზე, ჰაერზე, ან წყალზე, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოსთვის ზიანის მიყენება შეუძლია. ძირითადი მიზანი იქნება ჰესის კომპლექსის ტერიტორიის და მთლიანად სტეფანწმინდის რაიონში გარემოს დაცვითი საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესება. აქტიურად ვახორციელებთ ტერიტორიის აღდგენას და არსებულ ლანდშაფტთან მის შესაბამისობაში მოყვანას, ტერიტორიის გამწვანებას, ტყის მასივის განაშენიანებას და მათ მუდმივ მოვლაზე ზრუნვას.

ნარჩენების მენეჯმენტის პოლიტიკის დებულება

ჩვენ ვეცდებით, შევამციროთ ნარჩენები და გარემოს დაბინძურება, სადაც კი ეს შესაძლებელია. ახალი დანადგარები და არსებული ოპერაციების გაუმჯობესება ისეთ პროცესებს გულისხმობს, რომლებიც ჩვენი ოპერაციების გარემოზე გავლენას შეამცირებს და გარემოს დაბინძურების გასაკონტროლებელ აღჭურვილობასაც ჩართავს.

ნარჩენების გადამუშავება და გადაყრა
ჩვენ მხარს ვუჭერთ ნარჩენების გადამუშავების პროგრამებს, როცა ეს პრაქტიკულია და იმ ნარჩენების მოშორების პრაქტიკას, რომლის გადამუშავებაც არ ხერხდება.

კანონების დაცვა
ჩვენ იმგვარად ავამუშავებთ არსებულ აღჭურვილობას, რომ შეესაბამებოდეს ან აჭარბებდეს კიდევაც საკანონმდებლო მოთხოვნებს. ჩვენ შემოვიღებთ პროგრამებსა და პროცედურებს, რომლებიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ჩავატარებთ აუდიტს და გავაკონტროლებთ პროცედურებსა და გამოცდილებას ჩვენი შესრულების შესაფასებლად.

ინფორმირება
ჩვენ ვატყობინებთ კომპანიის თანამშრომლებს გარემოს დაცვის საკითხებზე ჩვენი პროგრესის შესახებ; ვითანამშრომლებთ ხელისუფლებასთან და მარეგულირებელ სამსახურებთან და მივაწოდებთ ინფორმაციას; წავახალისებთ თანამშრომლებს, შეწგვატყობინონ ისეთი პირობების შესახებ, რომლებიც, მათი აზრით, ზიანს მიაყენებს გარემოს, ან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მხრივ წარმოადგენს საფრთხეს და კომპანია შეძლებს, დროულად შეასწოროს საქმიანობა.

ვალდებულება
მენეჯმენტი უპირველესად გაითვალისწინებს საკუთარი გადაწყვეტილებების შესაძლო გავლენას გარემოზე.

პოლიტიკის ეს დოკუმენტი უნდა გამოქვეყნდეს "დარიალ ენერჯის" ყველა ობიექტზე, რასაც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების ზედამხედველები.

4.5 ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის პოლიტიკის დებულება

„დარიალ ენერჯი" აცხადებს ნულოვან ტოლერანტობას ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარებაზე და მკაცრად დაიცავს ამ მოთხოვნას.

ნებისმიერი თანამშრომლის ან კონტრაქტორის მიმართ, რომელიც ფლობს, ყიდის, იღებს, ზემოქმედების ქვეშაა, ან შემოწმებისას აღმოაჩნდება ნებისმიერი ალკოჰოლის ან არალეგალური ნარკოტიკის გაზომვადი ოდენობა სისხლში ან შარდში (რაოდენობას არა აქვს მნიშვნელობა), დაუყოვნებლივ განხორციელდება დისციპლინური ზომები, დატოვებს სამუშაო ტერიტორიას/ოფისს და შეუწყდება კონტრაქტი.

ნებისმიერ თანამშრომელს ან კონტრაქტორს, რომელიც სამუშაოსთან დაკავშირებული ინციდენტის დროს სამსახურშია, ან კომპანიის აღჭურვილობას იყენებს, ჩაუტარდება ნარკოტიკების / ალკოჰოლის დონის შემოწმება.

შემოწმება ჩატარდება მაშინაც, თუ თანამშრომელი ან კონტრაქტორი 90 დღის ან მეტის გაცდენის შემდეგ გამოცხადდება სამსახურში. ნარკოტიკების შემოწმება ჩატარდება მაშინაც, როცა ამას მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, ჩავატაროთ ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარების შემთხვევითი შემოწმებები იმ თანამშრომლებსა და კონტრაქტორებთან, რომლებიც

უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებენ, მაგალითად, მართავენ კომპანიის კუთვნილ ტრანსპორტს, ან ასრულებენ საველე სამუშაოებს. გარდა ამისა, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, წინასწარი გაფრთხილების გარეშე ჩავუტაროთ თანამშრომლებსა და კონტრაქტორებს ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის შემოწმებები. ჩვენ მოვთხოვთ თანამშრომელს ან კონტრაქტორს ნარკოტიკების / ალკოჰოლის ტესტის ჩატარებას, თუ გაგვიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან დაარღვია ალკოჰოლის და/ან სხვა ნივთიერების მიღების აკრძალვა, რაც აშკარა ხდება ამ ადამიანის გარეგნობაზე, ქცევაზე, მეტყველებაზე ან სუნზე დაკვირვებით.

კონტრაქტორებმა და თანამშრომლებმა, რომლებიც იღებენ ექიმის დანიშნულ მედიკამენტებს, უნდა გააფრთხილონ ზედამხედველი ამ მედიკამენტების მიღების პირობებისა და გვერდითი მოვლენების შესახებ. შესაძლებელია, ზოგიერთ წამალს არასასურველი ეფექტი ჰქონდეს, რაც რისკს შეუქმნის და საფრთხეში ჩააგდებს სხვა კონტრაქტორებს.

პერიოდულად ჩატარდება კომპანიის სამუშაო ადგილებზე შესული და გამოსული ადამიანების გაუფრთხილებელი შემოწმებები, რომლებსაც კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი ჩაატარებს. კომპანიის, ან კლიენტის კუთვნილ ტერიტორიაზე შესვლა ჩაითვლება ადამიანის, ტვირთის, ტრანსპორტის, ან ნებისმიერ სხვა შემოწმებაზე თანხმობად.

ნარკოტიკების / ალკოჰოლის ტესტზე უარის თქმა ჩაითვლება ტესტის დადებითი პასუხის ანალოგიურად და შედეგად მოჰყვება კონტრაქტის დაუყოვნებლივ გაუქმება, ან სხვა დისციპლინური ზომა. კონტრაქტორს ან თანამშრომელს, რომელიც უარს იტყვის შემოწმებაზე, მოეთხოვება უარყოფის დოკუმენტზე ხელის მოწერა. თუ ის უარს იტყვის დოკუმენტის ხელმოწერაზე, ეს დოკუმენტურად აღინიშნება და პირად საქმეში შეინახება.

ნარკოტიკების და ალკოჰოლის შემოწმება ჩატარდება სანდო და კვალიფიციურ სამედიცინო კლინიკაში, სამედიცინო პერსონალის მიერ, რომელსაც აქვს ამ ტესტების ჩატარების უფლებამოსილება. ყველა შედეგი კონფიდენციალური დარჩება.

თუ რომელიმე კონტრაქტორი ან თანამშრომელი მენეჯმენტს შეატყობინებს, რომ მეორე კონტრაქტორი ან თანამშრომელი ალკოჰოლზე ან ნარკოტიკულ ნივთიერებაზეა დამოკიდებული, ჩვენ ამ ფაქტს წინდახედულად და კონფიდენციალობის დაცვით მოვეპყრობით. ჩვენ ჩავატარებთ გამოკვლევას და შესაბამისად გადავწყვეტთ, ნარკოტიკების ტესტი უნდა ჩატარდეს თუ ალკოჰოლის.

ყველა კონტრაქტორი და თანამშრომელი ექვემდებარება ზემოთ აღწერილ პოლიტიკას.

პოლიტიკის ამ დოკუმენტს გამოაქვეყნებენ "დარიალ ენერჯის" ყველა ობიექტზე უსაფრთხოების ზედამხედველები.

5.0 პერსონალი

"დარიალ ენერჯი" უზრუნველყოფს დააკომპლექტოს კვალიფიცირებული მმართველი გუნდი გამოცდილი პროფესიონალებით, რაც იქნება მყარი საფუძველი, მოხდეს ჰესის კომპლექსის ყველა კვანძის კომპეტენტური და ეფექტური ექსპლუატაცია, მასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებით.

მმართველ გუნდში გათვალისწინებულია ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვის მენეჯერის პოზიცია, ხოლო ჰესის ობიექტზე დაინიშნება მისი წარმომადგენელი, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვის ოფიცერი, რომელიც ყოველდღიურ ზედამხედველობას გაუწევს მიმდინარე სამუშაო პროცესს.

მისი მოვალეობაა უზრუნველყოს სამუშაოებში ჩართული პერსონალის და ვიზიტორების ინფორმირება არსებულ რისკებზე, საფრთხეებზე და შესაძლო შედეგებზე, აკონტროლოს არსებული საფრთხეების გააქტიურების შესაძლებლობა და მოახდინოს დაუყოვნებლივი რეაგირება საჭიროების შემთხვევაში.

ჰესის ექსპლუატაციაში ჩართული თანამშრომლებისათვის, აუცილებელი პირობაა სამუშაოს დაწყებამდე გაიაროს უსაფრთხოების სწავლებები (ტრეინინგები) და დაადასტუროს მზადყოფნა უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე, ხოლო ობიექტზე მისვლისას გაეცნოს უსაფრთხოების ინსტრუქციას და დაადასტუროს ხელმოწერით მისი შესრულების შესახებ.

5.1 პერსონალი

ჰესის ექსპლუატაციის პროცესში ჩართული იქნება შემდეგი პოზიციის პერსონალი:

- ტექნიკური დირექტორი;
- ჰესის მთავარი ინჟინერი;
- ცვლის უფროსი;
- უფროსი ჰიდროტექნიკოსი;
- სათავე წყალმიმღები კვანძის ოპერატორები;
- სალექარის ოპერატორები;
- სატურბინე დარბაზის ელექტრიკოსი;
- ჰიდრავლიკური მოწყობილობის სპეციალისტი;
- საგენერატორო და სატრანსფორმატორო სისტემის ოპერატორი;
- ტურბინის ოპერატორი.

5.2 უსაფრთხოების ოფიცრის კვალიფიკაცია

ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი შეირჩევა მისი კვალიფიკაციის მიხედვით. აუცილებელი პირობაა უმაღლესი ტექნიკური განათლება (სასურველია ჰიდროტექნიკოსი ან ენერგეტიკოსი), მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება უსაფრთხოების სისტემაში მუშაობის, რომელიც უსაფრთხოების მენეჯერთან გაივლის შესაბამის სწავლებას ჰესი ექსპლუატაციის და საჭირო უსაფრთხოების ზომების გატარების შესახებ. გამომდინარე ჰესის კომპლექსური განლაგებიდან, საჭიროებას წარმოადგენს მინიჭებული ჰქონდეს მართვის მოწმობის მინიმუმ B კატეგორია.

5.3 მოწყობილობა და დანადგარები

ჰესის მომსახურე პერსონალი, გამომდინარე საწარმოო საჭიროებიდან, მუშაობს შემდეგ მოწყობილობებთან:

- ტურბინა
- ამწე
- გენერატორები
- ტრანსფორამტორები

ყველა მოწყობილობა არის სრულიად ახალი და გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში, რომლის ინსპექტირება მოხდა კვალიფიცირებული სპეციალისტების მიერ. ინსპექტირების დასტურად გაცემულია სერთიფიკატები, ხოლო პერსონალის გადამზადება მოწყობილობებთან მუშაობის შესახებ, მოხდა მწარმოებლის მიერ დადგენილი ინსტრუქციის მიხედვით. ინსტრუქცია ითვალისწინებს უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებას, რაც უზრუნველყოფილი იქნება მოწყობილობასთან მომუშავე პერსონალის მიერ და გაკონტროლდება ობიექტის უსაფრთხოების ოფიცრის მხრიდან.

მოწყობილობების გამოყენების და მათთან უსაფრთხო მუშაობის სრულყოფისათვის, მოხდება ინდივიდუალური რისკების შეფასება, სადაც აღწერილი იქნება არსებული საფრთხეები, საფრთხის მოხდენის ალბათობა და შედეგის სიმძიმე; დადგინდება საფრთხის გააქტიურების პრევენციული ზომები და მოხდება მათი შესრულების მონიტორინგი. მოწყობილობების რისკების შეფასება მოხდება ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვის მენეჯერის მიერ.

5.4 პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევა

„დარიალ ენერჯის" სრული შემადგენლობა დაზღვეულია სადაზღვევო კომპანიაში „აისი ჯგუფი" (IC Group), რომელიც სრულად უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურებას. აღნიშნული მზღვეველის პროვაიდერ კლინიკას წარმოადგენს სტაფანწმინდის საამედიციონო ცენტრი „ჯეოჰოსპიტალსი". დაზარალებულის სტაციონარში ევაკუაცია განხილულია თავში „პირველადი დახმარების აღმოჩენა", სადაც აღწერილია ევაკუაციის ორი ვარიანტი; ევაკუაცია ობიექტის სატრანსპორტო საშუალებით ან პროვაიდერი კლინიკის სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ტრანსპორტის მეშვეობით.

სტეფანწმინდის სტაციონალური კლინიკა მდებარეობს დაბა სტეფანწმინდაში, სადაც ჰესის ტერიტორიიდან 5 და 20-25 წუთი (სათავე ნაგებობიდან და გენერალური შენობიდან შესაბამისად) დასჭირდება დაზარალებულის ტრანსპორტირებას. შეტყობინება ხდება ნომერზე Tel: (995 32) 250 52 22.

მანძილი სათავე ნაგებობიდან საავადმყოფომდე არის 1,5 კმ, ხოლო სათავე ნაგებობის გვირაბის შესასვლელიდან 10,2 კმ;

ჰესის კომპლექსის ყველა მნიშვნელოვან კვანძში მომუშავე პერსონალის შემადგენლობაში იქნება ერთი ან ორი პირველადი დახმარების სერტიფიცირებული აღმომჩენი, რომელიც შეძლებს დაზიანების ხარისხის შეფასებას, ობიექტის მენეჯერთან და უსაფრთხოების ოფიცერთან კონსულტაციით გადაწყვეტს დაზარალებულის ევაკუაციის საჭიროებას და შეარჩევს ტრანსპორტირების რომელიმე ვარიანტს.

სტეფანწმიდის საავადმყოფოს „ჯეოჰოსპიტალის“ მდებარეობა და სათავე ნაგებობიდან მისასვლელი გზა



სტეფანწმიდის საავადმყოფოს „ჯეოჰოსპიტალის“ მდებარეობა და გენერალური ნაგებობიდან მისასვლელი გზა

5.5 პერსონალის ტრანსპორტირება

უნდა აღიწეროს პერსონალის ტრანსპორტირების საკითხი;

5.6 სამუშაოს წარმოების პერიოდულობა

აქ უნდა აღიწეროს სამუშაო საათების შესახებ. ცვლები, ზეგანაკვეთური და ა.შ.

5.7 პერსონალის კვება

უნდა აღიწეროს კვების საკითხი;

5.8 პერსონალის საცხოვრებელი

აქ უნდა აღიწეროს საცხოვრებელი პირობების შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

6.0 უსაფრთხოების და ჯანდაცვის მართვის სისტემა

„დარიალ ენერჯის" ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა მართვის ინტეგრირებული სისტემა, სადაც დეტალურადაა გაწერილი სამუშაო პროცესში ჩართული პერსონალის მოვალეობა, პასუხისმგებლობა და სამუშაო აღწერილობა. ჯანდაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა ფიგურირებს ყველა პერსონალის მოვალეობებსა და სამუშაო აღწერილობაში.

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელად განსაზღვრულია პოზიცია - ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი. პოზიცია განსაზღვრულია მმართველი მენეჯმენტის შემადგენლობაში, რომელიც ტექნიკური დირექტორის დაქვემდებარებაშია, ხოლო ტექნიკური დირექტორი კი, უშუალოდ პასუხისმგებელია გენერალური დირექტორის წინაშე.

ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი სრულად აკონტროლებს „დარიალ ენერჯის" უსაფრთხოების სისტემას, კონსულტაციას უწევს ტექნიკურ დირექტორს და წარმოების მენეჯერებს უსაფრთხოების საკითხებზე და საბოლოოდ მოახსენებს ტექნიკურ დირექტორს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ.

უსაფრთხოების მენეჯერი ვალდებულია შეიმუშაოს სამუშაო ადგილზე საჭირო უსაფრთხოების ინსტრუქციები, გააცნოს მომუშავე პერსონალს და წარმოების მენეჯერების დახმარებით აკონტროლოს მოთხოვნების შესრულება.

ქვემოთ მოცემულია „დარიალ ენერჯის" ორგანიზაციული სტრუქტურა.

6.1 დარიალ ენერჯის ორგანიზაციული სტრუქტურა



7.0 პერსონალის ფუნქცია, მოვალეობა და პასუხისმგებლობა

7.1 საერთო მოთხოვნები

„დარიალ ენერჯის" ხელმძღვანელობა პრიორიტეტულ ზღვარს ანიჭებს ჯანდაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნების დანერგვას და მის შესრულებას, რის გამოც აუცილებლობას წარმოადგენს განისაზღვროს ჰესის ექსპლუატაციაში ჩართული თანამშრომლების მოვალეობა და პასუხისმგებლობა, ჯანდაცვის და უსაფრთხოების მიმართულებით.

შემუშავებული იქნება ყველა თანამშრომლის მოვალეობა და პასუხისმგებლობა უსაფრთხოების კუთხით, რაც აისახება დასაქმებულის ხელშეკრულებაში. დასაქმებული გაეცნობა თავის მოვალეობას და პასუხისმგებლობას სამუშაოს დაწყებამდე და დაადასტურებს ხელმოწერით მის შესრულებას.

ასევე, სამუშაოს პრაქტიკულად შესრულებამდე, ყველა ახალწვეულს ჩაუტარდება სწავლება უსაფრთხოების საკითხებზე, რასაც უზრუნველყოფს ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი, ხოლო სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს ჩაატარებს ჯანდაცვის და უსაფრთხოების ოფიცერი. ეს ყველაფერი იქნება დოკუმენტირებული და მოთხოვნების შესრულების თანხმობით, დასაქმებულის ხელმოწერით დადასტურებული.

ჯანდაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება აუცილებელია ობიექტის ვიზიტორების და სტუმრების მხრიდან. შემუშავებული იქნება უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი სტუმრებისა და ვიზიტორებისათვის, სადაც აღწერილი იქნება მათი უსაფრთხო გადაადგილების, ავარიულ მდგომარეობაში მათი მოქმედების, ექსპლუიატაციიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ. ყველა ვიზიტორი და სტუმარი ვალდებულია დადგენილი წესების შესრულებაზე.

არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ვიზიტორების და სტუმრების მიღება ობიექტზე აკრძალულია.

უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი, წარმოების მენეჯერი და სამუშაო ჯგუფის უფროსი.

7.2 თანამშრომელთა პასუხისმგებლობა

ჰესის ექსლუატაციაში ჩართული თანამშრომლების მოვალეობა და პასუხისმგებლობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

7.2.1 დარიალ ენერჯის ტექნიკური დირექტორის მოვალეობა და პასუხიმგებლობა

ტექნიკური დირექტორის ფუნქციაა უზრუნველყოს ობიექტის ექსპლუატაციისათვის საჭირო უსაფრთხოების საკითხების მართვა. მისი მოვალეობაა:

- გამოუცხადოს სრული მხარდაჭერა ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვის პოლიტიკას, ამ გეგმის და შესრულებას და უზრუნველყოს ჩართულობა მის შესრულებაში;
- „დარიალ ენერჯის" გენერალურ დირექტორს და მენეჯმენტს წინასწარ განსაზვრული პერიოდულობით წარუდგინოს ანგარიში ობიექტზე არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ;
- უზრუნველყოს უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭირო ინვენტარით, მოწყობილობებით და საშუალებებით, ობიექტის და პერსონალის აღჭურვისათვის ხელმძღვანელობასთან დროული შეთანხმების და ტრანპორტირების ორგანიზება;
- უზრუნველყოს ობიექტის უსაფრთხოების მენეჯერის დახმარება თანამშრომელთა პერიოდული სწავლებების და ტრეინინგების ორგანიზებისათვის;

- ვალდებულია მოითხოვოს წარმოების უფროსებიდან და სამუშაოს შემსრულებლებისაგან უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება;
- წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით (თვეში ერთხელ) მოახდინოს ობიექტის ინსპექტირება უსაფრთხოების მენეჯერთან ერთად და გააკონტროლოს აღმოჩენილი დარღვევების ეფექტურად გამოსწორების ღონისძიებები;
- მონაწილეობა მიიღოს უსაფრთხოების მენეჯერის მიერ დაგეგმილ ყოველთვიურ ობიექტის აუდიტში და ჩაერთოს გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელების კონტროლში;
- გააკონტროლოს უსაფრთხოების მენეჯერი მიერ შესრულებული სამუშაო და მოითხოვოს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით (კვირის, თვის), მისი სამუშაოს შესრულების ანგარიში;
- მოითხოვოს წარმოების უფროსების და სამუშაოს ზედამხედველებისაგან უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება;
- ავარიულ მდგომარეობაში მონაწილეობა მიიღოს ზომების გატარების ორგანიზებაში.

7.2.2 მთავარი ინჟინერი

წარმოების მენეჯერი, უსაფრთხოების მენეჯერთას ერთად, წარმოადგენს ობიექტის უსაფრთხოების და ჯანდაცვის უფროსს, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება. მისი პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს:

- უსაფრთხოების მენეჯერთან ერთად შეიმუშაოს შესასრულებელ სამუშაოთა უსაფრთხოების პროცედურა და უზრუნველყოს მისი შესრულება;
- უსაფრთხოების მენეჯერთან ერთად მოახდინოს სამუშაოების უსაფრთხო წარმოების საკითხების დაგეგმვა, განხორციელება და კონტროლი;
- ჩაატაროს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების მენეჯერთან ერთად, ან მის გარეშე და აწარმოოს ინსტრუქტაჟის დოკუმენტირება;
- თავის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებთან ერთად დაესწროს უსაფრთხოების სწავლებებს და ტრეინინგებს;
- მოახდინოს მომხდარი ინციდენტის მყისიერი შეტყობინება უშუალო ხელმძღვანელის და უსაფრთხოების თანამშრომლებისათვის;
- ჩაერთოს ინციდენტის გამოკვლევის პროცესში და უზრუნველყოს გამოკვლევის ორგანიზატორების სრული მხარდაჭერა;
- მოახდინოს არსებული დანადგარების, მოწყობილობების და აგრეგატების მუდმივი ზედამხედველობა, გეგმიური სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა და მათ გამართულობაზე ზრუნვა;

7.3 ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვის მენეჯერი

ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერის ძირითადი მოვალეობაა უსაფრთხოების სისტემისათვის საჭირო წესებისა და მოთხოვნების შემუშავება, დანერგვა და კონტროლი, რომლის განხორციელებაც უნდა მოხდეს წარმოების მენეჯერების ჩართულობით.
ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი პასუხისმგებელია ტექნიკური დირექტორის წინაშე. მისი პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს:

- შეიმუშაოს და დანერგოს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პროცედურების, წესები და მოთხოვნები და მოახდინოს მათი პერიოდული განახლება;
- უზრუნველყოს აღნიშნული საკითხების შესრულების მონიტორინგი, წარმოების მენეჯერებთან ერთად;

- მუდმივად იზრუნოს უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებაზე;
- შეიმუშაოს და დანერგოს ჯანდაცვის და უსაფრთხოების მიზნები და უზრუნველყოს მათი შესრულების შეფასება;
- შეიმუშაოს სამუშაო ადგილზე არსებული რისკების შეფასება, საფრთხეების იდინტიფიცირება და მაკონტროლებელი/პრევენციული ღონისძიებების გეგმა;
- შეიმუშაოს უსაფრთხოების ყოველდღიური ინსტრუქტაჟი, მომუშავეთა პოზიციების სამუშაო სპეციფიკის შესაბამისად და უზრუნველყოს ინსტრუქტაჟის ჩატარება წარმოების უფროსების დახმარებით;
- შეიმუშაოს თანამშრომელთა სწავლების/ტრეინინგების გეგმა, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით;
- უზრუნველყოს თანამშრომელთა სწავლება/ტრეინინგების ჩატარება, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე თემების შერჩევით;
- აწარმოოს უსაფრთხოების მონაცემთა ბაზა (იხ. თავი 24 - ანგარიშგება);
- აწარმოოს ინდიცენტის გამოკვლევა, მისი გამომწვევი მიზეზის დადგენით და უზრუნველყოს პრევენციული ზომების შემუშავება, ინციდენტის განმეორებისაგან დასაცავად;
- ჩაატაროს ობიექტების აუდიტები, ტექნიკური დირექტორის და წარმოების უფროსების თანდასწრებით და უზრუნველყოს აღმოჩენილი დარღვევების დროული აღმოფხვრის უზრუნველყოფა;
- დაესწროს სამუშაო შეხვედრებს (თათბირებს) და უზრუნველყოს არსებული უსაფრთხოების საკითხების განხილვა, მათი დროული და ეფექტური გადაჭრის მიზნით;
- გაუწიოს ყოველდღიური და მუდმივი კონტროლი მიმდინარე სამუშაო პროცესებს და მომსახურე პერსონალს შეახსენოს უსაფრთხოების მოთხოვნების აუცილებლობის შესახებ;
- უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების წესების შემუშავება, დანერგვა და კონტროლი;
- შეამოწმოს ობიექტის უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი ინვენტარის გამართული მდგომარეობა და დროულად უზრუნველყოს საჭირო ინვენტარით სამუშაო პროცესის აღჭურვის ორგანიზება;
- გაუწიოს პირველადი დახმარება დაზარალებულს, შეაფასოს მისი მდგომარეობა და მენეჯმენტთან კონსულტაციით მოახდინოს დაზარალებული ევაკუაციის ორგანიზება უახლოეს სტაციონარულ საავადმყოფოში;
- შეიმუშაოს ავარიულ სიტუაციაში მოქმედების გეგმა, თანამშრომელთა როლების გადანაწილებით და ჩაატაროს პრაქტიკული მეცადინეობები, ევაკუაციის საჭიროებისას მისი ეფექტურად განხორციელებისათვის;
- გაუწიოს მუდმივი კონტროლი გეგმიური სარემონტო სამუშაოების პროცესს და უზრუნველყოს უსაფრთხოების წესების შესრულება;
- გააკონტროლოს კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაო და მოითხოვოს უსაფრთხოების წესების შესრულება;
- მოახდინოს ტექნიკური დირექტორის ანგარიშგება;

7.3.1 ყველა თანამშრომლის მოვალეობა და პასუხისმგებლობა

ყველა თანამშრომელს აქვს უფლება იმუშაოს უსაფრთხო გარემოში; „დარიალ ენერჯი“ ორიენტირებულია შექმნას დასაქმებულთა უსაფრთხო გარემო, შეიმუშავოს უსაფრთხო სამუშაო წესები და მონიტორინგი გაუწიოს ამ წესების შესრულებას;

ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია იზრუნოს საკუთარ და სხვის უსაფრთხოებაზე;

ყველა თანამშრომელი ვალდებულია უზრუნველყოს:

- ჯანდაცვის და უსაფრთხოების სწავლებებში/ტრეინინგებში დასწრება და მონაწილეობა და მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია ჯანდაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ;
- დროულად გამოცხადდეს სამსახურში სამუშაო და ფხიზელ მდგომარეობაში;
- გაეცნოს მის სამუშაო ადგილზე არსებულ რისკებს და იდინტიფიცირებულ საფრთხეებს;
- ზუსტად დაიცვას დადგენილი უსაფრთხოების წესები და არ დაუშვას მათი შეუსრულებლობა;
- სამუშაოს დაწყებამდე აღიჭურვოს პირადი დამცავი საშუალებებით; სამუშაოს შესრულება პირადი დამცავი საშუალებების გამოყენების გარეშე აკრძალულია;
- არ შეასრულოს სამუშაო, რომლის შესრულებაზეც არ ექნება ავტორიზაცია მთავარი ინჟინერისაგან;
- დროულად მოახსენოს უშუალო უფროსს მომუშავე მოწყობილობიდან და ტექნიკიდან რაიმე სახის გაუმართაობის შენიშვნისთანავე (უცნაური ხმა, გადაჭარბებული ვიბრაცია, არასასურველი ამოძრავება ან სხვა);
- დაესწროს ყოველდღიურ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს და სამუშაოს შესრულებისას გაითვალისწინოს მიღებული მითითებები;
- ავარიულ მდგომარეობაში დაემორჩილოს და შეასრულო ხელმძღვანელის მიერ მიცემული დავალება;
- სამუშაო ადგილზე შეინარჩუნოს სისუფთავე და არ დაუშვას მისი დანაგვიანება ან გადატვირთვა არასაჭირო საგნებით;
- სამუშაო ცვლის გადაბარებისას, შემცვლელ თანამშრომელს განუმარტოს მის ცვლაში მომხდარი მოულოდნელი ფაქტის, დანადგარის და მოწყობილობის სახეცვლილების ან გაუმართაობის და აქედან მომდინარე საფრთხის შესახებ;
- სხვა სამუშაო ადგილზე გადასვლის შემთხვევაში, გაიაროს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, გაეცნოს ახალ სამუშაო ადგილზე არსებულ რისკებს და იდენტიფიცირებულ საფრთხეებს;
- მონაწილეობა მიიღოს ინციდენტების გამოკვლევაში და მიაწოდოს სრული ინფორმაცია გამოკვლევის ორგანიზატორებს;
- მონაწილეობა მიიღოს მის სამუშაო ადგილზე აუდიტის ჩატარებაში და მიაწოდოს ინფორმაცია აუდიტორებს მათთვის საჭირო საკითხებზე;

8.0 რისკების შეფასება

რისკის შეფასება წარმოადგენს, შესასრულებელი სამუშაოს დროს არსებული საფრთხეების გააქტიურებისაგან დაცვის პროცესს, რომლის მიზანია სამუშაო ადგილებზე შესასრულებელი რუტინული და არარუტინული სამუშაოებისთვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საფრთხეების იდენტიფიცირება, შეფასება, აღრიცხვა და კონტროლი;

რისკების შეფასებას ახორციელებს ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი, მთავარი ინჟინრის დახმარებით და ტექნიკური დირექტორის დასტურით. პროცესი უნდა გამყარდეს დოკუმენტის წარმოებით, სადაც აღწერილი იქნება არსებული შესაძლო საფრთხე, საფრთხის მასშტაბი მისი გააქტიურების ეფექტის დახასიათებით, არსებული საკონტროლო ღონისძიებები და პრევენციული ზომებისათვის საჭირო განსახორციელებელი ქმედებები.

რისკების შეფასების დოკუმენტი ხელმოწერით უნდა დადასტურდეს შემფასებლის, წარმოების მენეჯერის და ტექნიკური დირექტორის მიერ, რაც მყარი გარანტი უნდა გახდეს, მასში აღწერილი პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის.

რისკების შეფასების სრულყოფის ეფექტურობისთვის, სასურველია გავითვალისწინოთ შემდეგი თანმიმდევრული ეტაპები:

1) არსებული საფრთხის აღმოჩენა (იდინტიფიცირება);
2) საფრთხის გაანალიზება;
3) პროცედურა საფრთხის შემცირების ძალისხმევისათვის;
4) მიღებული პროცედურის გაუმჯობესება;
5) პროცედურის ეფექტურობის მონიტორინგი .

მეტი თვალსაჩინოებისთვის მოცემულია სქემა



შეფასების ეფექტურობისათვის, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას თანამშრომელთა ჩართულობა რისკის შეფასების და ასევე მისი მართვის პროცესებში, რომლის მიზანია სხეულის დაზიანების, დაავადებების ან ქონებისათვის ზიანის მიყენების რისკის აღმოფხვრა ან მინიმუმამდე შემცირება;

მიზნის მისაღწევად აუცილებლობას წარმოადგენს რისკების შეფასების დროული დაგეგმვა და განხორციელება, როგორც მუდმივი გაუმჯობესების მიღწევის საშუალება, ჩვენს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სისტემაში; მნიშვნელოვანია რისკის მენეჯმენტის პროცედურების გამოყენება უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის წლიური მიზნების დადგენისას.

რისკების შეფასება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, დარიალჰესის კომპლექსის ყველა ობიექტისათვის. ასევე აუცილებლობას წარმოადგენს, მომატებული საფრთხის შემცველი

სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, მოხდეს რისკების შეფასება და სამუშაოს წარმოებისას გათვალისწინებული იქნას საფრთხის კონტროლის ღონისძიებები.

8.1 საფრთხის აღმოჩენა (იდენტიფიკაცია)

8.1.1 საფრთხის იდენტიფიკაციის პროცედურა

"დარიალ ენერჯის" ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვის მენეჯერი ახორციელებს სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების საბაზისო შეფასებას, ის იდენტიფიცირებას უკეთებს სხვადასხვა შესასრულებელ სამუშაოებს და მათ თანმხლებ შესაძლო საფრთხეებს. საფრთხეების საბაზისო შეფასებაში შედის ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები, მაგრამ ეს არაა ამომწურავი ჩამონათვალი, რომელსაც სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება დაემატოს სხვა საკითხებიც:

- სამუშაოს მასშტაბი;
- საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები;
- ინციდენტები;
- ენერგიის წყაროები, დამაბინძურებელი ნივთიერებები და სხვა გარემო პირობები, რომლებმაც, შეიძლება გამოიწვიოს დაზიანება;
- სამუშაო გარემოს მონახულება.

8.1.2 საფრთხეების განსაზღვრა

საფრთხე არის ნებისმიერი რამ, რამაც, შეიძლება, ზიანი მიაყენოს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მატერიალურ ფასეულობას. სამუშაო ადგილას არსებული საფრთხეების კლასიფიკაცია ექვსი ჯგუფისგან შედგება:

1. **F** - ფიზიკური საფრთხის ფაქტორები, როგორიცაა ხმაური (მუდმივი და იმპულსური), ჰაერის ტემპერატურა, ჰაერის ცირკულაცია და ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცია, ორპირი ქარი, ცივი და ცხელი საგნები, ღია ადგილზე მუშაობა, საერთო განათება, ლოკალური განათება, ვიბრაცია, იონიზირებული რადიაცია, ულტრაიისფერი გამოსხივება, ლაზერული გამოსხივება, ინფრაწითელი გამოსხივება, ელექტრომაგნიტური ველი;
2. **K**-ქიმიური საფრთხის ფაქტორები, როგორიცაა: სახიფათო და მავნე ნივთიერებები, კარცენოგენური ნივთიერებები, ალერგიის გამომწვევი ნივთიერებები, ხანძარსაშიში და ფეთქებადი ნივთიერებები, მტვერი და ბოჭკო, მომწამვლავი და აალებადი აირები, ორთქლი, აეროზოლის კონდენსაცია და კვამლი;
3. **E**-ერგონომიკული საფრთხის ფაქტორები, როგორიცაა: სისუფთავე და წესრიგი სამუშაო ადგილზე, სამოძრაო გასასვლელები და ევაკუაციის გზები, კიბეები და პანდუსები, სამუშაო ზედაპირის სიმაღლე, დასაჯდომი ადგილი, ეკრანები და მონიტორები, ზურგის პოზიცია, ხელის, თითების და მტევნის პოზიცია, თავის და კისრის პოზიცია, ფეხების პოზიცია, მუდმივად მჯდომარე და მდგომარე პოზიცია, სამუშაოს რითმი და შესვენება, სიმძიმის აწევა და ტვირთის გადაზიდვა, ინსტრუმენტები, დანადგარები და მოწყობილობები, დასამუშავებელი დეტალები, დამხმარე საუალებები, სამუშაო მდგომარეობის შეცვლის შესაძლებლობა.
4. **T**- უბედური შემთხვევის საფრთხის ფაქტორები, როგორიცაა: მოცურება, დაცემა, სიმაღლიდან ვარდნა, საგნებს შორის მოხვედრა (გაჭყლეტა), ელექტროობა და სტატიკური ენერგია, დახურული სივრცე, წყალში ჩავარდნა, ტვირთის გადაზიდვები, უჟანგბადობა, საგნების ვარდნა, პერსონალური დამცავი საშუალებების არარსებობა, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება, ნაკლოვანებები საავარიო

სიგნალიზაციებში და სამაშველო საშუალებებში, ნაკლოვანებები პირველადი დახმარების სისტემაში,

5. **B-**ბიოლოგიური საფრთხის ფაქტორები, როგორიცაა: ბაქტერიები, ვირუსები, სოკოები, პოტენციურად დაავადებული სისხლის შემცველი შპრიცები და ა. შ.
6. **H**-ფსიქოლოგიური საფრთხის ფაქტორები, როგორიცაა: განმეორებადი/ერთფეროვანი (რუტინული) სამუშაო, მუშაობა მარტო ან ღამით მუშაობა, ხანგრძლივი სიფხიზლე, იძულებითი სამუშაო რიტმი, დაძაბულობა, სისწრაფე, ზედმეტად მკაცრი მოთხოვნები და მიზნები, პროფესიული ზრდის პერსპექტივის არარსებობა, სამუშაოს გაცნობა და ინსტრუქტაჟი, დავალების და პასუხისმგებლობის ზუსტი აღწერა, ზეგანაკვეთური სამუშაო, არასანდო შრომითი ურთიერთობა, ნაკლოვანებები ორგანიზაციის ან სამუშაოს მართვაში, არაჯანსაღი სამუშაო ატმოსფერო, ინფორმაციის ნაკლებობა, ძალადობის საშიშროება, ურთიერთობის არასაქმიანი ფორმები (ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია), სოციალური მხარდაჭერის უქონლობა, თავისუფლების შეზღუდვა (აზრის გამოთქმა, ჩართულობა და ა.შ);

საფრთხეების იდენტიფიცირების ერთ-ერთი მიზანია, მომატებული საფრთხისშემცველი სამუშაო ადგილების და საშიში ზონების განსაზღვრა, სადაც გასათვალისწინებელი იქნება აუცილებელი ზომები და შესაძლოა განიხილებოდეს დაშვების კონტროლი (მაგ. ტურბინების სიახლოვეს არსებული ტერიტორია, საკაბელო გვირაბი, სატრანსფორმატორო ტერიტორია და სხვა);

საფრთხის სრული იდენტიფიცირებისათვის, საჭიროა გაკეთდეს სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხის წარმომქმნელი წყაროს ჩამონათვალი (საიდან შეიძლება განვითარდეს საფრთხე), ხოლო შემდეგ მოხდეს საფრთხის იდენტიფიცირება კლასის მიხედვით.

8.2 რისკის სიდიდის განსაზღვრა

რისკის სიდიდის განსაზღვრისათვის საჭიროა ორი ძირითადი კომპონენტის შეფასება, ესენია: საფრთხის მოხდენის **ალბათობა** და საფრთხის მოხდენის (გააქტიურების) შემთხვევაში დამდგარი **შედეგის სიმძიმე**. რისკის შეფასება წარმოადგენს საფრთხის მოხდენის ალბათობისა და მისგან გამოწვეული შედეგის (სიმძიმის) კომბინაციას, ნამრავლს, რისთვისაც აუცილებელია:

1) განისაზღვრის საფრთხის მოხდენის ალბათობა: **დაბალი**, **საშუალო** თუ **მაღალი** და
2) განისაზღვროს საფრთხის მოხდენის შემთხვევაში დამდგარი შედეგის სიმძიმე: **მსუბუქი, საშუალოდ მსუბუქი, საშუალო, მძიმე** თუ **ძალიან მძიმე**.

8.2.1 საფრთხის ალბათობის განსაზღვრა

„დარიალ ენერჯის" უსაფრთხოების სისტემის რისკების შეფასების პროცედურის შემადგენელი ნაწილი, საფრთხის მოხდენის ალბათობა იქნება სამ დონიანი, რომლის საბოლოო შედეგად, საფრთხის საფრთხის მოხდენის (გააქტიურების) სიდიდეს.

საფრთხის ალბათობა - წარმოადგენს ზომას იმაში დარწმუნებულობის ხარისხისა, რომ რაიმე საფრთხე გააქტიურდება გარკვეული პერიოდულობით, რომელიც ზემოთაღნიშნულის დასტურად განისაზღვრება როგორც მცირე, საშუალო და მაღალი.

მცირეა საფრთხის მოხდენის ალბათობა, თუ მისი საფრთხის შემცველი სიუაციები და დატვირთვები მჟღავნდება იშვიათად, ან ხანმოკლე პერიოდის მანძილზე;

საშუალო საფრთხის მოხდენის ალბათობა - თუ საფრთხის შემცველი სიტუაციები და დატვირთვების წარმოიშობა მუდმივად ან გარკვეული დროის მანძილზე;

და

მაღალი საფრთხის მოხდენის ალბათობა - როცა საფრთხის შემცველი სიტუაციები და დატვირთვები მუდმივია.

8.2.2 საფრთხის სიმძიმის განსაზღვრა

საფრთხის მოხდენის სიმძიმის განსასაზღვრად, „დარიალ ენერჯის" უსაფრთხოების რისკების შეფასების სისტემა გამოიყენებს ხუთ დონიან შეფასებას, შემდეგი რეიტინგის გათვალისწინებით:

1) მსუბუქი;
2) საშუალოდ მსუბუქი;
3) საშუალო;
4) მძიმე;
5) ძალიან მძიმე.

რისკების დონის შეფასების სრულყოფისათვის, სიმძიმის განსაზღვრის შეფასება მოხდება როგორც პერსონალის დაზიანების, ასევე საკუთრება-ფასეულობის დაზიანების და გარემოზე ზემოქმედების სიმძიმის შესაფასებლად.

8.2.2.1 პერსონალის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრა

მსუბუქია დაზიანების სიმძიმე, როდესაც მცირედი პირველადი დახმარების აღმოჩენის შედეგად თანამშრომელს შეუძლია მუშაობის პროცესის განახლება და არ საჭიროებს სამუშაო ადგილიდან მის გადაყვანას სამკურნალო დაწესებულებაში ან სხვა სამკურნალო რეჟიმს სამკურნალო დაწესებულების გვერდის ავლით;

საშუალოდ მსუბუქია დაზიანების სიმძიმე, როდესაც თანამშრომელის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად და სამკურნალოდ საჭიროა რამოდენიმე დღე, არაუმეტეს ერთი სამუშაო კვირისა და მოითხოვს სამუშაოს გაცდენის აუცილებლობას, რის შემდეგაც თანამშრომელი დაბრუნდება სამსახურში და ჩვეულ რეჟიმში შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას;

საშუალოა დაზიანების სიმძიმე, როდესაც თანამშრომლის დაზიანების აღმოსაფხვრელად საჭიროა ერთ კვირაზე მეტი პერიოდი, არაუმეტეს ერთი თვისა და მოითხოვს სამუშაოს გაცდენის აუცილებლობას, რის შემდეგაც თანამშრომელი დაბრუნდება სამსახურში და ჩვეულ რეჟიმში შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას;

მძიმეა დაზიანების სიმძიმე, როდესაც თანამშრომელი მიიღებს საწარმოო ტრავმას, რაც გამოიწვევს მის გამოუსწორებელ დაზიანებას მისი შესაძლებლობების შეზღუდვის (შშმ) შედეგით;

ძალიან მძიმე შემთხვევად განიხილება ფატალური შემთხვევა.

8.2.2.2 საკუთრება-ფასეულობის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრა

საკუთრება-ფასეულობად განიხილება „დარიალ ენერჯის" საკუთრებაში არსებული და ჰესის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი მოწყობილობები და მანქანა დანადგარები, რომლის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის, გამოყენებულია მატერიალური, ფასეული შეფასება.

მსუბუქია დაზიანების სიმძიმე, როდესაც ზარალი არ აღემატება 500 ლარს;

საშუალოდ მსუბუქია დაზიანების სიმძიმე, როდესაც ზარალი არ აღემატება 1000 ლარს;

საშუალოა დაზიანების სიმძიმე, როდესაც ზარალი არ აღემატება 5000 ლარს;

მძიმეა დაზიანების სიმძიმე, როდესაც ზარალი არ აღემატება 10000 ლარს;

ძალიან მძიმეა დაზიანების სიმძიმე, როდესაც ზარალი აღემატება 10000 ლარს;

8.2.2.3 გარემოზე ზემოქმედების სიმძიმის გასაზღვრა

„დარიალ ენერჯი“ გარემოზე ზემოქმედებას განიხილავს ძალიან მნიშვნელოვან საკითხად, რომლის ეფექტური შეფასების და საჭირო ღონისძიებებისათვის შემუშავდება გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი გარემოზე ზემოქმედების შესაძლებლობები და აუცილებელი პრევენციული და შემარბილებები ღონისძიებები. აღნიშნული გეგმა ასევე განიხილავს რისკების შეფასების პროცესს, სადაც ანალოგიურად განიხილული იქნება გარემოზე ზემოქმედების ალბათობა და ზემოქმედების სიმძიმე, შემუშავებული იქნება საჭირო პროცედურები და გაწერილი იქნება მენეჯმენტის და თანამშრომელთა პასუხისმგებლობა.

გამომდინარე გარემოზე ზემოქმედების საკითხის პრიორიტეტულობიდან და ჰესის ადგილმდებარეობის სენსიტიურობიდან, ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკების შეფასების პროცედურა ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შედეგად გამოწვეული სიმძიმის დონის განსაზღვრას, რომლის აღმოფხვრას დასჭირდება ადამიანური და ფინანსური რესურსები.

ამ შემთხვევაშიც სიმძიმე შეფასებულია ფინანსური რესურსებით ისევე, როგორც საკუთრება-ფასეულობის შემთხვევაში და ზემოქმედების მასშტაბით.

მსუბუქია დაზიანების სიმძიმე, როდესაც ზარალი არ აღემატება 500 ლარს, დაზიანების არეალი არ სცდება სამუშაო ადგილს და არის მცირე;

საშუალოდ მსუბუქია დაზიანების სიმძიმე, როდესაც ზარალი არ აღემატება 1000 ლარს, დაზიანების არეალი არ სცდება სამუშაო ადგილს და არის მცირე და კონტროლირებადი;

საშუალოა დაზიანების სიმძიმე, როდესაც ზარალი არ აღემატება 5000 ლარს, დაზიანების არეალი მცირედით სცდება სამუშაო ადგილს, არის საშუალო და კონტროლირებადი;

მძიმეა დაზიანების სიმძიმე, როდესაც ზარალი არ აღემატება 10000 ლარს, დაზიანების არეალი სცდება სამუშაო ადგილს და არის უკონტროლო;

ძალიან მძიმეა დაზიანების სიმძიმე, როდესაც ზარალი აღემატება 10000 ლარს, დაზიანების არეალი სცდება სამუშაო ადგილს და არის უკონტროლო ;

8.3 რისკის სიდიდის განსაზღვრის შედეგი

რისკის სიდიდის საბოლოო შედეგის მისაღებად, ზემოთაღნიშნულის მსგავსად საჭიროა მოხდენის ალბათობის და სიმძიმის ხარისხის კომბინაცია (გადაკვეთის წერტილში მიღებული სიდიდე), რომელიც წარმოდგენილია 8.3.1 ცხრილში.

კომბინაციის შედეგად მიღებული რიცხვი საბოლოოდ განსაზღვრავს რისკის დონეს, რომელსაც შესაბამისად სჭირდება პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები.

8.3.1 რისკების შეფასების ცხრილი

	შედეგის სიმძიმე				
	ძალიან მძიმე	მძიმე	საშუალო	საშუალოდ მსუბუქი	მსუბუქი
პერსონალის დაზიანება	ფატალური შემთხვევა	მუდმივი უუნარობა, შესაძლებლობების შეზღუდვა (შშმ)	სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობა	გაცდენილი სამუშაო დღეები, სამედიცინო მკურნალობა	პირველადი დახმარების აღმოჩენა
საკუთრების დაზიანება	დანაკარგი≥ 10 000 ლ	დანაკარგი<10000 ლ	დანაკარგი < 5000 ლ	დანაკარგი < 1000 ლ	დანაკარგი < 500 ლ
გარემოზე ზემოქმედება	დანაკარგი≥ 10000 ლ; დაზიანება მძიმე, სცდება სამუშაო ადგილს,უკონტროლო.	დანაკარგი<10000ლ; დაზიანება მძიმე, სცდება სამუშაო ადგილს, უკონტროლო.	დანაკარგი < 5 000 ლ; დაზიანება საშუალო, სცდება სამუშაო ადგილს, კონტროლირებადი.	დანაკარგი <1000 ლ; დაზიანება მცირეა, არის სამუშაო ადგილზე, კონტროლირებადი.	დანაკარგი < 500 ლ; დაზიანება მცირეა და არ სცდება სამუშაო ადგილს.
	5	**4**	**3**	**2**	**1**
ალბათობა	რისკის დონე				
მაღალი საფრთხის შემცველი სიტუაცა მუდმივია	**15**	**14**	**13**	**9**	**4**
საშუალო საფრთხის შემცველი სიტუაცია ხშირია	**12**	**11**	**10**	**5**	**3**
დაბალი საფრთხის შემცველი სიტუაცია იშვიათია	**8**	**7**	**6**	**2**	**1**
შედეგი	**13 - 15**	**9 - 12**	**6 - 8**	**2 - 5**	**1**
საჭირო მოქმედება	**დაუშვებელი რისკი** სამუშაო არ უნდა შესრულდეს. დაუყოვნებლივი მოქმედება რისკის შესამცირებლად. სამუშაო გამოიწვევს დიდი დანაკარგს. შესაძლებელია ინჟინრული გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება.	**მნიშვნელოვანი რისკი** დაიგეგმოს რისკის შემცირების საკონტროლო ღონისძიებები. შეფასდეს პრიორიტეტები და შეთანხმდეს მიზნების განხორციელება. სამუშოს შესრულება უნდა მოხდეს მხოლოდ საკონტროლო ღონისძიებების გამოყენებით.	**დასაშვები რისკი** სამუშაო პროცედურების შესრულება და მისი მონიტორინგი. შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურული მოთხოვნები. საჭიროების შემთხვევაში მიღებულ იქნას დაუყოვნებლივი დამატებითი ღონისძიებები.	**მცირე რისკი** სამუშაო პროცედურების შესრულება და მისი მონიტორინგი. შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურული მოთხოვნები.	**უმნიშვნელო რისკი** სამუშაო პროცედურების შესრულება და მისი მონიტორინგი. საჭიროების შემთხვევაში რისკის შემცირება პრვენციული ზომების გამოყენებით.

8.4 რისკის საკონტროლოდ საჭირო მოქმედებები

რისკის საბოლოო შედეგის მიღების შემდეგ, აუცილებელია შესაბამისი მოქმედებების შესრულება, რისკის პრევენციის და მისი მუდმივი კონტროლის განსახორციელებლად, რომ არ მოხდეს საფრთხის გააქტიურება და მისით გამოწვეული ინციდენტი.

უმნიშვნელო რისკი არ საჭიროებს დამატებითი ზომების განხორციელებას, რომლის არსებობის შემთხვევაში საჭიროა სამუშაო პროცედურების შესრულება და მისი მონიტორინგი. საჭიროების შემთხვევაში რისკის შემცირება პრვენციული ზომების გამოყენებით.

მცირე რისკის არსებობისას - უნდა შემუშავდეს რისკის შემცირების პრევენციული ზომები და გამოყენებულ უნდა იქნას სამუშაო პროცედურების შესრულების და მისი მონიტორინგისას.

დასაშვები რისკის მიღების შემთხვევაში, აუცილებლობას წარმოადგენს პრევენციული ზომების შემუშავება და მისი გამოყენება სამუშაოს შესრულებისას, პროცედურების შესრულების მუდმივ მონიტორინგთან ერთად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიღებულ იქნას დამატებითი ღონისძიებები.

მნიშვნელოვანი რისკი მოითხოვს სამუშაოს შესრულებას საფრთხის პრევენციული ზომების გამოყენებით, სადაც აღწერილი იქნება პრიორიტეტული საკითხები და მუდმივად გაკონტროლდება მათი შესრულება; რისკის შეფასების შედეგად მიღებული პროცედურა უნდა შესრულდეს სამუშაოს შემსრულებლის მიერ.

დაუშვებელი რისკის შემთხვევაში, იმისათვის რომ არ გამოიწვიოს დიდი დანაკარგი, პირველ რიგში უნდა მოხდეს დაუყოვნებლივი მოქმედება რისკის შესამცირებლად. ასევე, შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ინჟინრული გადაწყვეტილების მიღება და სამუშაო ადგილზე რისკის შემცირების განხორციელება. შემცირების შემდეგ, კიდევ ერთხელ უნდა შეფასდეს მიღებული რისკები და ამის შემდეგ იქნას მიღებული გადაწყვეტილება სამუშაოს შესრულებისათვის.

8.5 რისკის შესამცირება და საჭირო პროცედურების შერჩევა

რისკის შესამცირებლად საჭირო პროცედურის შერჩევა უნდა მოხდეს უსაფრთხოების მენეჯერი, მთავარი ინჟინერი და სამუშაო პროცესში ჩართული თანამშრომლების მიერ. რისკის შემცირების და პრევენციული ზომების შემუშავებისათვის, გამოყენებული უნდა იყოს ხუთ საფეხურიანი იერარქიული პროცესი:

1. **რისკის აღმოფხვრა** - ნიშნავს საფრთხის სრულად განეიტრალებას და მისგან მომდინარე ინციდენტის შესაძლებლობის არ არსებობას. „აღმოფხვრა" ნიშნავს, რომ რისკი შემცირებულია ნულოვან მაჩვენებლამდე და არ არსებობს მისი აღმოცენების შესაძლებლობა. აღმოფხვრა წარმოადგენს რისკების შეფასების იდეალურ შედეგს, რომელიც ასევე უნდა იყოს მუდმივი და არ შეიცავდეს სამუშაოს ხანგრძლივობისას საფრთხის რაიმე მაჩვენებელს, რომელსაც აღარ დასჭირდება დამატებითი კონტროლის ღონისძიებები.
2. **რისკის ჩანაცვლება** - ნიშნავს არსებული საფრთხის ჩანაცვლებას, უფრო მცირე მაჩვენებლის მქონე საფრთხით. რისკის აღმოფხვრა, ასევე ერთიანდება დაბალი მაჩვენებლის რისკის ჩანაცვლების პროცესშიც;
3. **ინჟინრული კონტროლი** - განიხილება, როგორც ფიზიკური საშუალება საფრთხის შემცირებისათვის, რაც მოიცავს სტრუქტურულ ცვლილებას სამუშაო გარემოს ან პროცესისათვის, რათა მოხდეს ბარიერის შექმნა და პირდაპირი დამაკავშირებელი საშუალების აღმოფხვრა, არსებულ საფრთხესა მომუშავეთა შორის. არსებული სავენტილაციო სისტემა კარგი მაგალითია მტვერის, ორთქლის და კვამლისაგან

მომდინარე საფრთხის და ოპერატორების სეპარირებისა. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კოლექტიური დაცვის შესაძლებლობას.

4. **ადმინისტრაციული კონტროლი** - ნიშნავს არსებული საფრთხის შემცირებას ან აღმოფხვრას პროცედურების და ინსტრუქციების დადგენით. სამუშაოს შესრულების პროცედურა და საჭირო უსაფრთხოების მოთხოვნები უნდა გაიწეროს დოკუმენტალურად, საკონტროლო ღონისძიებების აღწერით, რომელსაც უნდა გაეცნოს ყველა თანამშრომელი და უზრუნველყოს მისი შესრულება;
5. **პირადი დაცვის აღჭურვილობა** - გამოყენებულ უნდა იქნას ყველაზე ბოლოს, პირველი ოთხი საფეხურის გათვალისწინების შემდეგ. პდა - ს ეფექტურობა დამოკიდებულია მისი სწორად შერჩევის და გამოყენების აუცილებლობაზე.



8.6 რისკის შეფასების დოკუმენტირება

აუცილებლობას წარმოადგენს რისკების შეფასების დოკუმენტირება (იხილეთ დანართი). დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს რისკების შემფასებლების მიერ, ხოლო შეთანხმებული და ხელმოწერით დადასტურებული ტექნიკური დირექტორის მიერ.

რისკების შეფასების დოკუმენტში უნდა აღიწეროს:

1. შესასრულებელი სამუშაო, მისი განვითარების ეტაპეტის თანმიმდევრობით;
2. სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მოქმედება;
3. შესრულებისას არსებული საფრთხეების ჩამონათვალი;
4. საფრთხის შესაძლო გამოვლენის შემთხვევაში მისი ეფექტი;
5. არსებული საკონტროლო ღონისძიებები;
6. პირველადი რისკების შეფასება მისი დონის განსაზღვრით;
7. მაკონტროლებელი და პრევენციული ღონისძიებები;
8. საბოლოო რისკების შეფასება მისი დონის განსაზღვრით;
9. კონტროლზე პასუხისმგებელი პირი;

10. რისკის დონის ყველაზე დაბალი მაჩვენებლის დასტური ან უარყოფა.

9.0 ინციდენტის გამოკვლევა

9.1 ინციდენტის გამოკვლევის მნიშვნელობა

„დარიალ ენერჯის“ ინციდენტების გამოკვლევის აუცილებლობას, საფუძვლად უდევს ინციდენტის გამომწვევი ფაქტორის დადგენა და განმეორებისაგან დამცავი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება.

ინციდენტების გამოკველვის პროცესი გამოყენებული უნდა იყოს ჰესის ექსპლუატაციის დროს შემდეგი ინციდენტების გამოვლენისას:

- პირველადი დახმარების საჭიროება;
- სამედეცინო ჩარევის საჭიროება;
- სამუშაო ტრავმით გამოწვეული გაცდენები;
- მატერიალური ფასეულობის დაზიანება;
- ხანძარი;
- ავტოსატრანსპორტო შემთხვევა;
- საშიში ნივთიერების დაღვრა;
- გარემოზე მიყენებული ზიანი;
- არშემდგერი ინციდენტი.

ყველა ისეთი გარემოება, რომელმაც გამოიწვია მომუშავე ან სხვა პერსონალის დაშავება, მოწყობილობა დანადგარების დაზიანება და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, აუცილებლად უნდა იქნას მოხსენებული უშუალო უფროსის და უსაფრთხოების მენეჯერისათვის.

უსაფრთხოების მენეჯერი, სამუშაო უბნის ხელმძღვანელ და მომუშავე პერსონალთან ერთად, მოახდენს ინციდენტის გამოკვლევას, მისი გამომწვევი ფაქტორის დასადგენად;

გამოკვლევას ექვემდებარება კონტრაქტორის მიერ გამოწვეული ინციდენტი. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი იყენებს საკუთარ პროცედურას ინციდენტების გამოკვლევისათვის, „დარიალ ენერჯის“ პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უნდა შესრულდეს ინციდენტის გამოკვლევა და მათი შედეგები აუცილებლად უნდა ეცნობოს „დარიალ ენერჯის“ ხელმძღვანელობას (უსაფრთხოების მენეჯერს, სამუშაო უბნის ხელმღვანელს, ტექნიკურ დირექტორს), ხოლო ასეთი პროცედურის არ არსებობის შემთხვევაში, კონტრაქტორი ვალდებულია გამოიყენოს „დარიალ ენერჯის“ ინციდენტების გამოკვლევის პროცედურა, მისი პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით.

განმარტება:

ინციდენტი - საფრთხის გააქტიურების შედეგად მიღებული ზიანის ან ზარალის შემცველი შედეგი;

ინციდენტთან მიახლოებული გარემოება/არშემდგარი ინციდენტი (near miss) – საფრთხის გააქტიურების წინაპირობა, ზიანის და ზარალის გარეშე.

9.2 მოვალეობები და პასუხისმეგლობა

9.2.1 მთავარი ინჟინერი

ინციდენტის მოხდენის შემთხვევაში, ობიექტის მენეჯერი ვალდებულია:

- შეაფასოს ინციდენტისაგან წარმოქმნილი ზარალის ან ზიანის სიდიდე და მოახსენოს ტექნიკურ დირექტორს;
- შექმნას ინციდენტის გამოკვლევის ჯგუფი და ჩაერთოს ინციდენტის გამოკველვის პროცესში;
- უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალის თანამშრომლობა ინციდენტის გამოკვლევის ჯგუფთან;
- ინციდენტის გამოკვლევით მიღებული შედეგი - გამომწვევი ფაქტორი აცნობოს ხელმძღვანელ პირებს;
- უსაფრთხოების მენეჯრეთან და ხელმძღვანელ პირებთან ერთად განსაზღვროს განმეორებისაგან დამცავი პრევენციული ზომა და უზრუნველყოს მისი დანერგვა და შესრულების მონიტორინგი;

9.2.2 უსაფრთხოების მენეჯერი

უსაფრთხოების მენეჯერი ვალდებულია:

- ინციდენტის მოხდენისთანავე შეტყობინების მიღებისას, გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე და შეაფასოს დადმგარი შედეგის სიმძიმე;
- დაუყოვენბლივ დაიწყოს და შეასრულოს ინციდენტის გამოკვლევა, სამუშაო ადგილზე მომუშავე პერსონალის და უბნის უფროსის თანამშრომლობით;
- განსაზღვროს ინციდენტის წარმომქმნელი ფაქტორები და შეაფასოს მათი განმეორების შესაძლებლობის ხარისხი;
- სამუშაო უბნის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, განსაზღვროს განმეორებისაგან დაცვის პრევენციული ღონისძიებები;
- პრევენციული ზომები გააცნოს მომუშავე პერსონალს, საჭიროების შემთხვევაში ტრეინინგის ორგანიზებით;
- მოახდინოს მუდმივი მონიტორინგი სამუშაო ადგილზე პრევეციული ზომების შესრულების კონტროლისათვის;
- გარკვეული პერიოდულობით, შეაფასოს პრევენციული ზომების ეფექტურობა და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გაუმჯობესება.

9.2.3 ინციდენტის ადგილზე პასუხისმგებელი პირი

ინციდენტის ადგილზე პასუხისმგებელ პირად მოიაზრება პიროვნება, რომელმაც: აღმოაჩინა ინციდენტის წინაპირობა; შეესწრო ინციდენტის განვითარებას; აღმოაჩინა ტექნიკური გაუმართაობა; იმყოფებოდა ინციდენტის ადგილის სიახლოვეს ან თავად გახდა ინციდენტის განვითარების მიზეზი.

ინციდენტის ადგილის პასუხისმგებელი პირი (ფიზიკურად შესაძლებლობის შემთხვევაში) ვალდებულია:

- შეაფასოს შექმნილი მდგომარეობა და ინციდენტის შესაძლო განვითარების შემთხვევაში მისგან მომდინარე საფრთხე;
- დაუყოვნებლივ შეატყობინოს უშუალო უფროსს ინციდენტის შესახებ;
- გააფრთხილოს ყველა თანამშრომელი და მიიღოს უსაფრთხოების ზომები;
- ითანამშრომლოს ინციდენტის ლოკალიზაციის ჯგუფის წევრებთან და მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია;
- მონაწილეობა მიიღოს პერსონალის ევაკუაციაში;
- შეასრულოს ხელმძღვანელის ინსტრუქციები;

- ინციდენტის დასრულების შემდეგ მონაწილეობა მიიღოს ინციდენტის გამოკვლევაში მისი წარმომქმნელი ფაქტორის დასადგენად.

9.2.4 ინციდენტის გამოკვლევის ჯგუფი

ინციდენტის გამოკველვის ჯგუფის შემადგენლობაში შედის ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი, წარმოების მენეჯერი, უბნის უფროსი, ტექნიკური დირექტორი (საჭიროების შემთხვევაში), სამუშაო ადგილზე მომუშავე სპეციალისტები, ინციდენტის პასუხისმგებელი პირი, სამუშაოს შესრულებაში ჩართული ცვლის უფროსი.

ჯგუფი მოქმედებს კოორდინირებულად და ინაწილებენ ინციდენტის წარმომქმნელი ფაქტორის დადგენის ზომების განსახორციელებელ ფუნქციებს. მაგალითად: მთავარი ინჟინერი და სპეციალისტები იკვლევენ ტექნიკური მოწყობილობის პირვანდელ და შედეგად მიღებულ მდგომარეობას, დაზიანების ფაქტორის დასადგენად; უსაფრთხოების მენეჯერი ახორციელებს თანამშრომელთა გამოკითხვას, ინციდენტის წინაპირობის შესასწავლად და თანამშრომელთა მხრიდან უსაფრთხოების მოთხოვნის დარღვევის აღმოსაჩენად, რის შედეგადაც შეიქმნება ინციდენტის განვითარების აღწერა, საჭირო დეტალების გათვალისწინებით.

ინციდენტის გამოკვლევის ჯგუფი ასევე ისარგებლებს არგილზე არსებული ვიდეო მონიტორინგის (თვალთვალის) ჩანაწერებით, რომელიც გამოყენებული იქნება მტკიცებულებად.

9.3 შეტყობინება

აუცილებლობას წარმოადგენს ინციდენტის და ინციდენტთან მიახლოებული გარემოების დაუყოვნებლივი შეტყობინება. შეტყობინება უნდა მოხდეს, სიახლოვეს მომუშავე პერსონალის, უშუალო უფროსის და უსაფრთხოების მასშტაბური ინციდენტის შემთხვევაში, როცა მდგომარეობა განიხილება როგორც საგანგებო (ავარიული), უნდა შესრულდეს 18.0 თავში აღწერილი პროცესი. ინციდენტის ან ინციდენტთან მიახლოებული მდგომარეობის შეუტყობინებლობა, შესაძლებელია განიხილებოდეს ადმინისტრაციული ზომების გატარებისათვის.

შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ინციდენტის აღწერა (ხანძარი, აფეთქება, პიროვნების დაზიანება, დაღვრა და ა.შ);
- ინციდენტის მოხდენის დაზუსტებული ადგილი და დრო;
- მდგომარეობის გართულების შესაძლებლობა და მისი მასშტაბი;
- პესონალის დაზიანების შემთხვევაში დაზიანების აღწერა;
- ინციდენტის პასუხისმგებელი პირი და საკონტაქტო მონაცემები.

9.4 ინციდენტის გამოკვლევის პროცესი

9.4.1 ინციდენტის სიმძიმისა და მასშტაბის განსაზღვრა და დადგენა

„დარიალ ენერჯი“ ინციდენტის მასშტაბის განსაზღვრისათვის, გამოიყენებს შეფასების ოთხ საფეხურიან სისტემას: **მსუბუქი, საშუალო, მძიმე და ძალიან მძიმე.**

მსუბუქი ინციდენტი - როდესაც საჭიროა მცირე პირველადი დახმარების აღმოჩენა, ან ტექნიკური მოწყობილობის მცირე ადგილობრივი ძალებით შეკეთება ან გარემოზე ზემოქმედების აღმოფხვრა ლოკალიზდება ადგილზე.

საშუალოა ინციდენტის სიმძიმე, როდესაც თანამშრომელის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად და სამკურნალოდ საჭიროა სტაციონალური მკურნალობა, სამუშაოზე

დაბრუნების შესაძლებლობით, ან მოწყობილობის შეკეთებას სჭირდება ერთ დღეზე მეტი, ან გარემოზე ზემოქმედების აღმოფხვრა საჭიროებს ადგილობრივი ძალების მობილიზებას და ხარჯებს;

მძიმე ინციდენტი, როდესაც როდესაც თანამშრომელი მიიღებს საწარმოო ტრავმას, ან ტექნიკური მოწყობილობის მდგომარეობა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას წინასწარ განუსაზღვრელი ვადით, ან გარემოზე ზემოქმედება სცილდება სამუშაო ადგილს და საჭიროებს დამხმარე ძალას რეაბილიტაციისათვის.

ძალიან მძიმე ინციდენტად განიხილება ფატალური შემთხვევა, ან ტექნიკური მოწყობილობის სრულად განადგურება ან გარემოზე ზემოქმედების ისეთი მასშტაბი, რომლის რეაბილიტაციას სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი.

9.4.2 გამოკვლევის მეთოდი

ინციდენტის გამოკვლევის დაწყებამდე, აუცილებელია დაზარალებული თანამშრომლის დახმარება (არსებობის შემთხვევაში) და საჭიროების შემთხვევაში სტაციონარში გადაყვანა, ხოლო ტექნიკური მოწყობილობიდან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში, საფრთხის გაუვნებელყოფა.

ინციდენტის გამოკვლევა უნდა მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მომხდარი ფაქტების შეგროვება;
2. მომხდარი ფაქტების თანმიმდევრობითი დალაგება;
3. ინციდენტის წარმომქმნელი ფაქტორის აღწერა;
4. დასკვნის მომზადება.

9.4.2.1 <u>მომხდარი ფაქტების შეგროვება</u>

ფაქტების შეგროვება უნდა მოხდეს ადგილზე მომუშავე თანამშრომელთა გამოკითხვით. გამოკითხვა უნდა განხორციელდეს კოლეგიალურ და პატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოში. თანამშრომელს წინასწარ უნდა განემარტოს, რომ გამოკითხვის მიზეზი არის მხოლოდ ინციდენტის გამომწვევი ფაქტორის დადგენა და არ მოიზარებს ვინმეს დასჯას, თუნდაც ადამიანური ფაქტორის გარკვევისას.

აუცილებლობას წარმოადგენს გამოკითხვის დროული ჩატარება, სანამ თანამშრომლებს ზუსტად ახსოვთ მომხდარი ინციდენტისას შექმნილი გარემოება და ამავე დროს, მანამ სანამ შემსწრე პერსონალი ერთმანეთში მოახერხებს მომხდარზე მსჯელობას და შეთანხმებას, მათთვის სასურველი ფაქტორის მისაღებად.

სასურველია გამოკითხვა ჩატარდეს ინდივიდუალურად, ისე რომ დასმულ კითხვაზე რამდენიმე ადამიანის პასუხებმა თუ რეპლიკებმა არ დააბნიოს თანამშრომელი და საკუთარის ნაცვლად არ დააფიქსიროს სხვისი პასუხი.

ასევე, სასურველია გამოკითხვა აწარმოოს ინციდეტის გამოკვლევის ჯგუფიდან ორმა წევრმა, რომლიდანაც ერთი დასვამს საჭირო კითხვებს, ხოლო მეორე მოახერხებს კითხვების და პასუხების ჩაწერას. გამოკითხულს უფლება აქვს მოითხოვოს ჩანაწერების გადამოწმება და დასტურის ნიშნად ხელმოწერა.

დასმული კითხვები უნდა იყოს კონკრეტული და ლაკონური, უნდა შეეხებოდეს მხოლოდ ინციდენტის ფაქტს და გაურკვეველი პასუხისას გადამოწმების მიზნით, კითხვის განმეორება უნდა მოხდეს მოგვიანებით, სხვა კითხვებზე პასუხის შემდეგ.

საჭიროებას წარმოადგენს ინციდენტის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, მოვლენათა განვითარების აღსაწერად.

9.4.2.2 მომხდარი ფაქტების თანმიმდევრობა

ინციდენტის გამოკვლევის პროგრესირებისათვის, აუცილებლობას წარმოადგენს ინციდენის განვითარების ფაქტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის განსაზღვრა და კონცენტრირებული ძალისხმევა, გაურკვეველი ფაქტების არსებობის შემთხვევაში მათი ახსნისათვის.

ინციდენტის განვითარების ზუსტი თანმიმდევრობის დასადგენად, შესაძლებელია საჭირო გახდეს რამდენიმე თანამშრომლის გამოკითხვის შედეგების, მათი პასუხების შეჯამება.

ვიდეო მეთვალყურეობის საშუალებით, ინციდენტის ამსახველი კადრების არსებობისას, პრიორიტეტი მიენიჭება მომხდარი ფაქტის ამსახველ კადრებს და გამოკითხვის შედეგების შედარება მოხდება ჩანაწერთან.

მომხდარი ფაქტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ძირითადი საშუალებაა მოხდეს ინციდენტის სურათის აღდგენა მაქსიმალური სიზუსტით.

9.4.2.3 ინციდენტის წარმომქმნელი ფაქტორების განსაზღვრა

ინციდენტის წარმომქმენელ ფაქტორებად განისაზღვრება 3 ძირიდათი ფაქტორი:

1. ადამიანური ფაქტორი;
2. ტექნიკური მოწყობილობის ფაქტორი;
3. სტიქიური მოვლენა (მიწისძვრა, მეწყერი და ა.შ).

ადამიანური ფაქტორის დადგენისას, სასურველია გამოკვლეულ იქნას მისი ძირეული ფაქტორები: პიროვნული და სისტემური.

პიროვნული მიზეზი არის თანამშრომლის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის განსაზღვრა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- გადაღლილობა;
- სტრესული მდგომარეობა;
- რუტინული სამუშაო;
- უყურადღებობა;
- დემოტივაცია;
- არსებული სისტემური მოთხოვნების არ ცოდნა;
- გამოუცდელობა;
- სწავლება-ტრეინინგებზე მიღებული ცოდნის არაეფექტური ანალიზი;
- არსებული პროცედურების შეუსრულებლობა შეგნებულად თუ უნებლიედ;
- ფიზიკური მდგომარეობა (ხედვის, სმენის და სხვა დაავადების მახასიათებელი გამოვლინებები);

სისტემურ ფაქტორად განიხილება:

- სწავლება-ტრეინინგების არ ჩატარება;
- არასრულფასოვანი რისკების შეფასების ჩატარება;
- არასაკმარისი ზედამხედველობა მენეჯმენტის მხრიდან;
- სამუშაოს შესრულების პროცედურების და უსაფრთხოების მოთხოვნების არასრულფასოვნება;
- თანამშრომლებთან ნაკლები კომუნიკაცია.

ტექნიკური მოწყობილობის ფაქტორებად განიხილება:

- ქარხნული დეფექტი;

- მწარმოებლის მიერ დადგენილი მონაცემების - არსებულთან შეუსაბამობა;

სტიქიურ მდგომარეობად განიხილება მიწისძვრა, წყალმოვარდნა, ქარიშხალი და სხვა ბუნებრივი გამოვლინებები.

9.4.3 ინციდენტის გამოკვლევის შედეგი

ინციდენტის გამოკვლევის შედეგს, წარმოადგენს დასვნა, ინციდენტის სიმძიმის განსაზღვრა და განმეორებისაგან დაცვის პრევენციული ღონისძიების შემუშავება.

დასკვნა - ინციდენტის გამომწვევი ფაქტორია, ძირეული შედეგების განსაღვრით.

ადამიანური ფაქტორის აღმოჩენისას, როცა ძირეულ მიზეზს წარმოადგენს პიროვნული ფაქტორი, აუცილებელი ხდება განმეორებისაგან დამცავი მდგომარეობის შერჩევა, ამ ადამიანთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით. განმეორებისაგან დაცვის საშუალებად განიხილება მისი გადამზადება და სწავლება-ტრეინინგების კურსის განმეორება.

სისტემური ფაქტორის აღმოჩენისას, აუცილებელია არსებული სამუშაო და უსაფრთხოების პროცედურების გადამუშავება, მასში არსებული ხარვეზის გამოსავლენად. ამავე დროს საჭიროებას წარმოადგენს რიკსების შეფასების განახლება, თანამშრომლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და სამუშაოთა მუდმივი მონიტორინგის წარმოება.

ტექნიკური ფაქტორის გამოვლენის პრევენციისათვის, საჭიროა ტექნიკური მოწყობილობის სატესტო რეჟიმში ამუშავება, რისკების შეფასებით განსაზღვრული პრევენციული ზომების გამოყენებით.

სტიქიური მდგომარეობის გამოვლენისას, გამოყენებული უნდა იქნას 18 თავში აღწერილი ავარიული მდგომარეობის პროცედურა.

9.5 ინციდენტის გამოკვლევის დოკუმენტირება

ინციდენტის გამოკვლევა უნდა იყოს დოკუმენტირებული. ინციდენტის დოკუმენტირებული ანგარიში უნდა მოიცავდეს: ინციდენტის დეტალურ აღწერას, ინციდენტის გამომწვევ ფაქტორს და გამოსასწორებელ ღონისძიებების ჩამონათვალს. ინციდენტის ანგარიშის წარმოებას უზრუნველყოფს უსაფრთხოზის მენეჯერი ტექნიკურ დირექტორთან, რომელიც ანგარიშგებას ახდენს გენერალურ დირექტორთან.

ყველა ინციდენტის გამოკვლევის დოკუმენტის დაარქივება წარმოადგენს აუცილებლობას, ინციდენტის სტატისტიკის წარმოებისათვის, საიდანაც მნიშვნელოვანია განისაზღვროს გამომწვევი ფაქტორების სიხშირე და მოხდეს პრევენციული ზომების ეფექტურობის საფუძვლიანი შესწავლა.

10.0 პერსონალის სწავლება და ტრეინინგები

10.1 ტრეინიგები დაგეგმვა და წარმოება

ჯანდაცვის და უსაფრთხოების სტანდარტების, მოთხოვნების და წესების შესახებ სწავლება-ტრეინინგები, განიხილება როგორც ერთ-ერთი მთავარი საშუალება, მიღწეულ იქნას „დარიალ ენერჯის" უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული მიზანი - შეიქმნას მაქსიმალური პირობები თანამშრომელთა უსაფრთხო მოქმედებებისათვის.

მენეჯმენტი უზრუნველყოფს ტრეინინგების მოწყობის ორგანიზებას თანამშრომლებისათვის, რომელსაც ჩაატარებენ კვალიფიცირებული და გამოცდილი სპეციალისტები. თავის მხრივ, ყველა თანამშრომელი ვალდებული იქნება დაესწროს ტრეინინგებს და კარგად გააანალიზოს ტრენინგზე მიღებული ცოდნა, სიახლე და სწავლებები.

სწავლება -ტრეინინგების ეფექტური შედეგის მისაღწევად, საჭიროა ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერის მიერ მომზადდეს ტრეინინგების პროგრამა/გეგმა, სადაც მითითებული იქნება საჭირო ტრეინინგის თემების ჩამონათვალი, პერსონალის სამუშაოს უსაფრთხოების საკითხების მოთხოვნების შესაბამისად. ასევე უნდა აღწერილი იყოს ტრეინინგების ჩატარების გრაფიკი, მოცულობა, ჩატარების ადგილი და ტრეინინგისთვის საჭირო ინვენტარი. პროგრამა უნდა შეთანხმდეს ტექნიკურ დირექტორთან და წარმოების მენეჯერებთან.

ტრეინინგის ჩატარების ორგანიზებას განახორციელებს ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი, ტექნიკური დირექტორის მხარდაჭერით, ხოლო წარმოების მენეჯერის მოვალეობა იქნება - უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების დასწრება ტრეინინგებზე.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საჭირო მომზადების დონე დასაქმების სპეციფიკის შესაბამის სფეროში, „დარიალ ენერჯის" მენეჯმენტის მიერ ჩატარდა სასწავლო საჭიროებების ანალიზი და სასწავლო პროგრამა შემუშავებულია როგორც მატრიცა (იხილეთ დანართი N 3).

ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაესწროს უსაფრთხოების ტრეინინგების კურსს მატრიცის მიხედვით სამუშაოების დაწყებამდე, ხოლო ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი პასუხისმგებელია მოახდინოს სწავლებების აღრიცხვა/რეგისტრაცია და უზრუნველყოს, რომ არც ერთი თანამშრომელი არ იქნება სამუშაოს შესასრულებლად დაშვებული სწავლების კურსის დასწრებამდე.

სწავლება ტრეინინგების ძირითადი მიზანია „დარიალ ენერჯის" პერსონალისთვის კომპანიის უსაფრთხოების მოთხოვნების და სისტემის გაცნობა. ამავდროულად, თანამშრომელი ვალდებულია დაესწროს სამუშაო ადგილზე წარმოებულ უსაფრთხოების შესავალ ინსტრუქტაჟს, რომელიც ჩატარდება ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერის ან წარმოების მენეჯერის მიერ.

წარმოების მენეჯერების და სამუშაო ჯგუფის ლიდერებისათვის ჩატარდება დამატებითი ტრეინინგები, რომელიც ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციებს და სამუშაო ადგილის რისკების შეფასებას მოიცავს.

გამომდინარე დარიალ ენერჯის სამუშაო სპეციფიკიდან, მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების შესავალი ინსტრუქტაჟი უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებს:

1. ჯანდაცვის და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები;
2. გარემოსდაცვითი მოთხოვნები;
3. მოქმედება ავარიულ სიტუაციაში;
4. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;
5. ელექტრობის უსაფრთხოების მოთხოვნები;
6. მანქანა დანადგარებთან მუშაობისას საჭირო უსაფრთხოების მოთხოვნები;
7. მაღლივი სამუშაოები;
8. მცირე ზომის ტვირთის აწევის წესები;
9. ამწე მოწყობილობის (ტელფერი) უსაფრთხოების მოთხოვნები;
10. ტრანსპორტის უსაფრთხოების მოთხოვნები.

მენეჯმენტისათვის დამატებით უნდა ჩატარდეს:

1. ჯანდაცვის და უსაფრთხოების მართვა და მნიშვნელობა;

2. ინციდენტების მართვა და გამოკვლევა;
3. რისკების შეფასება და საფრთხის გაანალიზება;

დამატებითი სპეციფიური სწავლებები უნდა ჩატარდეს მომატებული საფრთხისშემცველი სამუშაოების მწარმოებლებისათვის, როგორიცაა ელექტრო და გაზ საშემდუღებლო სამუშაოები, არსებული ელექტორ სისტემის გეგმიური თუ ავარიული სარემონტო სამუშაო, მაღალ ძაბვებთან საჭირო სამუშაო და ა.შ. მომატებული საფრთხის შემცველი სამუშაოს განსაზღვრა ხდება ჯანდაცვის და უსაფრთხოები მენეჯერის და წარმოების მენეჯერის მიერ.

უსაფრთხოების გაცნობითი ინსტრუქტაჟი უნდა ჩაუტარდეს ობიექტზე შემოსულ ყველა ვიზიტორსა და სტუმარს, სადაც აღწერილი იქნება ძირითადი მოთხოვნები, აკრძალვები, პირადი დამცავი აღჭურვილობის გამოყენების მოთხოვნები, ავარიულ სიტუაციაში მოქმედება და ავარიული გასასვლელები. უნდა მოხდეს ვიზიტორების რეგისტრაციის ჟურნალის წარმოება.

ჰესის ექსპლუატაციისათვის საჭირო ძირითადი მოწყობილობების და მანქანა დანადგარების უქსპლუატაცია, უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ, რომელთაც ექნებათ აღნიშნულ მოწყობილობებთან მუშაობის სწავლების დამადასტურებელი სერტიფიკატი. ტრეინინგების ჩატარება უზრუნველყოფილ უნდა იქნას მწარმოებლის მიერ, მათივე დადგენილი საექსტლუატაციო მოთხოვნების და გასათვალისწინებელი უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით. ჰესის მოწყობილობის დამონტაჟების დასრულებისთანავე „ანდრიტც ჰიდრო“-ს მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული სწავლებების ჩატარება, დამადასტურებლი სერტიფიკატების გაცემით.

10.2 ტრეინინგების გაცნობიერება, გაცნობითი და ყოველდღიური ინსტრუქტაჟი

გამომდინარე სწავლება/ტრეინინგების პრიორიტეტული მნიშვნელობიდან, „დარიალ ენერჯი“ უზრუნველყოფს, რომ ტრეინინგების შინაარსი სრულად გაცნობიერებულია მომსახურე პერსონალის მიერ, რაც ტრეინინგების ეფექტურობის და პერონალის კომპეტენციის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ტრეინინგების ეფექტურობის შესაფასებლად, გამოყენებული იქნება ტესტირების მეთოდი, ხოლო ყოველდღიური ინსტრუქტაჟით, მოხდება უსაფრთხოების პრიორიტეტული საკითხების შესხენება და ასევე გამოკითხვა, ტრეინინგებზე გავლილი თემების შესახებ.

ტრეინინგების, გაცნობითი და ყოველდღიური ინსტრუქტაჟის ერთ-ერთი ძირითადი არსია, თანამშრომლებმა დამოუკიდებლად შეძლონ საფრთხის შემცველი გარემოების და საფრთხის შემცველი მოქმედების შეფასება და ხელმძღვანელის და უსაფრთხოების მენეჯერის შეტყობინებით, იზრუნონ საფრთხის განეიტრალებაზე.

„დარიალ ენერჯი“-ს მენეჯმენტი აცნობიერებს თანამშრომელთა ჩართულობის დიდ მნიშვნელობას უსაფრთხოების სისტემის მართვის ეფექტურობისთვის და უზრუნველყოფს, რომ ინციდენტის ადამიანური ფაქტორით მოხდენისას, არ მოახდინოს თანამშრომლის ადმინისტრაციული წესით დასჯა, გარდა გაცნობიერებულად ჩადენილი ქმედებისა, რადგან შემდგომში არ მოხდეს, დასჯის შიშით, საფრთხის შემცველი მდგომაროების დამალვა მომსახურე პერსონალის მხრიდან.

ზემოთაღწერილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, საჭიროა დამატებითი სწავლება ტრეინინგების ჩატარება და თანამშრომელთა მხრიდან სრულად გაცნობიერება, საფრთხის შემცველი გარემოების ან მოქმედებისას შესაძლო შედეგის დადგომაზე.

გაცნობითი და ყოველდღიური ინსტრუქტაჟი, რომელიც სამუშაო ადგილზე ჩატარდება წარმოების მენეჯერის და უსაფრთხოების მენეჯერის მიერ, ორიენტირებული იქნება თანამშრომლებს შეახსენოს:

- არსებული საფრთხეების შესახებ;
- საფრთხიდან მომდინარე რისკის შესახებ;
- ავარიულ მდგომარეობაში მოქმედების შესახებ;
- მანქანა დანადგარების და მოწყობილობის ძირითადი ექსპლუატაციის მოთხოვნების შესახებ;
- საფრთხის შემცველის მდგომარეობის ან მოქმედების შეტყობინების აუცილებლობის შესახებ.

ყოველდღიური ინსტრუქტაჟის მრავალფეროვნებისათვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზემოთაღნიშნული საკითხების მარტივი და ზეპირსიტყვიერი გამოკითხვის მეთოდი.

10.3 ტრეინინგების ჩანაწერი

სწავლება ტრეინინგების აღრიცხვა უნდა მოხდეს სპეციალურად შექმნილ ჟურნალში (იხილეთ დანართი 1), ხოლო უშუალოდ ტრეინინგის დასრულებისას, უნდა შეივსოს ტრეინინგის ჩატარების ფორმა, ჩატარებული თემის დასახელებით და დასწრების დასტურად თანამშრომლის ხელმოწერით. ჩანაწერი ასევე უნდა მოიცავდეს თარიღს, ჩატარების ადგილს, ხანგრძლივობას, ტრენერის სახელს და გვარს, ასევე დადასტურებულს ხელმოწერით (იხილეთ დანართი 2).

ტრეინინგების დოკუმენტაცია ინახება უსაფრთხოების მენეჯერთან.

11.0 პერსონალზე მორგებული უსაფრთხოების პროგრამა

„დარიალ ენერჯის" მენეჯმენტი ორიქნტირებულია უზრუნველყოს მომუშავე პერსონალის მაქსიმალური ჩართულობა ჯანდაცვის და უსაფრთხოების სისტემის მართვაში, რაც ამ სისტემის მოთხოვნების საფუძვლიან შესრულებას და მხარდაჭერას განაპირობებს. მთავარი არსი, თანამშრომლების ჩართულობისა, არსებული საფრთხეების და რისკების მუდმივი და ეფექტური კონტროლია.

სამუშაოს მწარმოებელი პერსონალი, არის ჰესის ექსპლუატაციაში ჩართული მომუშავეთა ის კატეგორია, რომელიც უშუალოდ დგება საფრთხის შემცველი გარემოს და მოქმედებიდან მომდინარე რისკის ქვეშ; ასე რომ მათ აქვთ საუკეთესი ინფორმაცია და შესაძლებლობა, დაეხმარონ წარმოების მენეჯერებს და უსაფრთხოების მენეჯერებს, მუდმივად გაუმჯობესდეს და დამკვიდრდეს სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების სისტემა, რომლის პრაქტიკული შესრულება, ეფექტური და შედეგზე ორიენტირებულია.

თანამშრომლები, რომლებიც ჩართული იქნებიან უსაფრთხოების სისტემის მართვაში, თავს იგრძნობენ უფრო დაცულად და დაფასებულადაც, რაც ასევე წარმოადგენს მათ სტიმულირებას კომპანიის მხრიდან და ამცირებს სისტემის მართვაში ჩართული თანამშრომლების სამსახურიდან წასვლის შესაძლებლობასაც;
მომუშავეთა ჩართულობა უსაფრთხოების პროცესებში განპირობებულია შემდეგი მიზნებისათვის.

- მოხდეს მუდმივი დაკვირვებები;
- გააცნობიერონ უსაფრთხოების მნიშვნელობა;
- მოხდეს პრობლემური ადგილების იდენტიფიცირება;
- შემუშავდეს საჭირო მოქმედებები;
- შეფასდეს მოქმედებების პროგრესი და ეფექტურობა;
- დაეხმაროს ხელმძღვანელებს, მართონ არსებული რისკები;

- გაუმჯობესდეს უსაფრთხოების წესების და მოთხოვნები;

თანამშრომელთა ჩართულობა უნდა ითვალისწინებდეს:

1. **გასაუბრება, ყოველდღიური ინსტრუქტაჟი** - კარგი საშუალებაა მათი ცნობადობის გამოსაკითხად და უკუკავშირისათვის.
2. **სამუშაო ადგილზე საფრთხის იდენტიფიცირება** - თანამშრომლებთან ინტერვიუ, საფრთხეების სრულყოფილად აღმოჩენისათვის, ეფექტური ხერხია.
3. **ინფორმირება** - უნდა მოხდეს გარკვევით, მარტივად და სრულად, იყოს ყველასათვის გასაგები და თანამშრომელთა შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისი.
4. **უსაფრთხოების მართვის გუნდი** - იქნება მუდმივ კონტაქტში მომუშავეებთან, რომელთაც ექნებათ შანსი დააყენონ საჭირო საკითხები და ასევე დაინტერესდნენ ამ საკითხების გადაჭრის პროგრესით.
5. **თანამშრომელთა წახლისება** - მოხდეს აქტიურად ჩართულ თანამშრომელთა წახალისება რაიმე მეთოდით.
6. **გაფრთხილება** - მოხდეს იმ თანამშრომლების მკაცრად გაფრთხილება, რომელიც არ ითვალისწინებს უსაფრთხოების მოთხოვნებს, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მოხდეს მათზე ადმინისტრაციული ზომების გატარება.

აღნიშნული სისტემის შესრულება იქნება ერთ-ერთი საშუალება, მინიმუმამდე შემცირდეს სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეები და იქედან მომდინარე რისკ-ფაქტორები, რაც თავსთავად უზრუნველყოფს ჰესის ექპლუატაციისას უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებას, გახდება მყარი საფუძველი მინიმუმამდე შემცირდეს საწარმოო ტრავმები და ავადობა, გაზრდის საწარმოო პროდუქტიულობას და შეამცირებს თანამშრომელთა ახლით ჩანაცვლების საჭიროებას.

12.0 პერსონალური დაცვის აღჭურვილობა

ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური დაცვის აღჭურვილობით (პდა), რომლის გამოყენება წარმოადგენს აუცილებლობას. „დარიალ ენერჯი" პირადი დაცვის აღჭურვილობას განიხილავს როგორც ერთ-ერთ საშუალებას სამუშაოდან მომდინარე საფრთხისაგან დასაცავად და უზრუნველყოფს ობიექტზე საჭირო და სარეზერვო რაოდენობის განთავსებას.
პდა-ს გარეშე თანამშრომლის სამუშაო დაშვება აკრძალულია. თანამშრომელი პასუხისმგებელია მისი პდა-ს სწორად გამოყენებასა და მოვლა პატრონობაზე, ხოლო სამუშაო პირობებიდან მისი დაზიანების შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია დროულად შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს და უსაფრთხოების მენეჯერს პდა-ს ჩანაცვლებისათვის.
თანამშრომელთა პდა-ს შემოწმება მოხდება ყოველდღიურ რეჟიმში, წარმოების მენეჯერის და უსაფრთხოების მენეჯერის მიერ, რათა გამორიცხული იყოს დაზიანებული აღჭურვილობით სამუშაოს შესრულება.

ჰესის ექსპლუატაციაში ჩართული ყველა თანამშრომელი აღიჭურვება შემდეგი დამცავი მოწყობილობებით:

- ჩაფხუტი (თავის დამცავი)*
- ანტისტატიკური ამრეკლი კომბინიზონი *

- სათვალე*
- მყარი ტყავის ფეხსაცმელი წინა და უკანა ნაწილების დაცვით*
- სმენის დამცავი
- ხელთათმანი

** ნიშნით არსებული აღჭურვილობის გამოყენება წარმოადგენს აუცილებლობას.*

ყველა ვიზიტორი უნდა აღიჭურვოს:

- ✓ ჩაფხუტი (თავის დამცავი)
- ✓ სათვალე
- ✓ ფეხსაცმელი
- ✓ სმენის დამცავი (განსაზღვრულ ადგილებზე)
- ✓ მაღალი ხილვადობის ჟილეტი

ასევე, აუცილებლობას წარმოადგენს, წიანსწარ განსაზღვრულ ადგილბზე მუშაობისას საჭირო პირადი დამცავი აღჭურვილობის გამოყენება, როგორიცაა: სახის დამცავი, ქამრები მაღლივი სამუშაოსათვის, სახსრების დამცავი და სხვა.

12.1 თვალების დაცვა

თვალები წარმოადგენს ადამიანის უმნიშვნელოვანეს ორგანოს, რომლის დაზიანების შემთხვევაში, სხვა ორგანოებისაგან განსხვავებით აღარ იარსებებს ჩანაცვლების ან აღდგენის ალტერნატივა. მხედველობის დაკარგვა ხდება მხოლოდ ერთხელ და სამუდამოდ. ამ გარემოების გათვალისწინებით, თანამშრომელმა უნდა უზრუნველყოს:

- ყოველათვის ატაროს სათვალე და დაიცვას თვალები მტვერის, შხეფების, მფრინავი ნაწილაკების, კვამლის, მდნარი და მშხეფარე ნაწილაკების, ასხლეტილი საგნებისაგან დასაცავად;
- ატაროს სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისი სათვალე და გამოიყენოს ინსტრუქციის მიხედვით;
- შედუღების, სარჩილი და საქლიბი, ან მსგავსი სამუშაოების წარმოებისას გამოიყენოს შესაბამისი ტიპის თვალების და სახის დამცავი და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს სამუშაო ადგილის შემოზღუდვა, სხვა თანამშრომლების დაზიანებისაგან დასაცავად;
- არასოდეს უყუროს შედუღების სამუშაოებს დაუცველი მხედველობით;
- არ დაუშვას ერთი ტიპის დამცავი საშუალებით, სხვა სამუშაოს შესრულება, რომლის სპეციფიკაც შეუსაბამოა.

12.2 სმენის დაცვა

გადაჭარბებულმა ხამურიანმა გარემოებამ, შესაძლებელია გამოიწვიოს სმენის ნაწილობრივი ანდ სრული დაქვეითება, რაც პიროვნების შესაძლებლობების შეზღუდვას განაპირობებს.

თუ სამუშაო ადგილზე არსებული მუდმივი ან იმპულსური ხმაური აღემატება 40-ს და => 85 დბა, აუცილებლობას წარმოადგენს სმენის დამცავი მოწყობილობის გამოყენება, რითვისაც თანამშრომლბმა უნდა უზრუნველყონ:

- ყოველთვის ატარონ სმენის დაცვის საშუალება, ამისათვის განსაზღვრულ ხმაურიან სამუშაო ადგილებზე;

- გააკონტროლოთ სმენის დამცავის გამართულობა და დაზიანების აღმოჩენისას დროულად უზრუნველყონ ახლით ჩანაცვლება;
- არ მოიხსნან სმენის დამცავი, სანამ არ გამოვლენ ხმაურის ზონიდან;
- არ დააბინძურონ ყურში ჩასასმელი მოწყობილობა და უზრუნველყონ შეინარჩუნონ სუფთა მდგომარეობაში.

12.3 ელექტრობისგან დაცვის აღჭურვილობა

აქ უნდა მითხრათ, რა საშუალებების გამოყენებას ვაპირებთ.

13.0 ჰესის ექსპლუატაციის უსაფრთხოების ძირითადი პროცედურები

13.1 ძირითადი უსაფრთხობის მოთხოვნები

მოთხოვნების შემუშავების დანიშნულებაა, დადგინდეს და განისაზღვროს უსაფრთხოების წესები და ინსტრუქციები, სამუშაოთა წარმოების უსაფრთხო მეთოდის და მის შესასრულებლად საჭირო სწავლებების მინიმალური სტანდარტის განსასაზღვრად, რომელიც ტრეინინგების სახით უნდა მიეწოდოს ექსპლუატაციაში ჩართულ მომუშავე პერსონალს.

ყველა თანამშრომელს ტრეინინგებზე მიეწოდება ინფორმაცია უსაფრთხო გარემოდან და მოქმედებიდან მომავალი შესაძლო შედეგების შესახებ, ხოლო ინციდენტის მოხდენის შემთხვევაში, თანამშრომლის ან პერსონალის დადანაშაულებამდე, მოხდება ინციდენტის გამოკვლევა მისი წარმომქმნელი ფაქტორის დასადგენად.

უსაფრთხოების მოთხოვნების შემუშავებაზე პასუხისმგებლები არიან უსაფრთხოების და წარმოების მენეჯერები, რომლებიც ამ წესებს დასამტკიცებლად წარუდგენენ ტექნიკურ დირექტორს. გენერალურ დირექტორთან უსაფრთხოების სისტემის გამართულ მუშაობასა და მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელია ტექნიკური დირექტორი.

„დარიალ ენერჯი“ უზრუნველყოფს უსაფრთხოების მოთხოვნების შემუშავებას, დანერგვას და მათი შესრულების კონტროლს როგორც ძირითადი თანამშრომლების, ასევე კონტრაქტორების, ქვეკონტრაქტორების და დროებით დაქირავებული მომუშავე პერსონალის მხრიდან.

ჰესის ექსპლუატაციის ძირითადი უსაფრთხოების მოთხოვნები, ორიენტირებული იქნება მიღწეულ იქნას:

- **კვალიფიცირებული კადრებით დაკომპლექტება** - სამუშაოს შესასრულებლად დაიშვება მხოლოდ გამოცდილი და სერთიფიცირებული კადრები, რომლის შერჩევა და დაკომპლექტება მოხდება „დარიალ ენერჯის“ მმართველი გუნდის მიერ;
- **საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება** - სამუშაო არ შესრულდება, თუ არ მოხდება საფრთხის გაანალიზება და რისკების სრულფასოვანი შეფასება დადგენილი პროცედურის მიხედვით;
- **თანამშრომელთა გადამზადება სწავლება-ტრეინინგების საშუალებით** - ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს ტრეინინგი და მიიღოს სრულფასოვანი ინფორმაცია მათ სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების შესახებ;
- **საექსპლუატაციო ინვენტარის და მანქანა-დანადგარების გამართულობა მათი მუდმივი კონტროლის განხორციელებით** - აუცილებლობას წარმოადგენს მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების ინსპექტირება, მწარმოებლის მიერ დადგენილი პერიოდულობით, რომლის დასტურად უნდა მოხდეს ჩანაწერების წარმოება;

- **პირადი დამცავი აღჭურვილობის გამოყენება** - გამოყენებული უნდა იყოს რისკების შეფასებით დადგენილი პირადი დაცვის აღჭურვილობა;
- **ეფექტური მოქმედება ავარიულ სიტუაციაში** - განსაზღვრული იქნება ავარიულ სიტუაციაში მოქმედების გეგმა, სადაც აღწერილი იქნება თანამშრომელთა როლი და ფუნქციები, რომელიც გაცნობილი იქნება თანამშრომლებისათვის სამუშაოების დაწყებამდე;

  და

- **არ მოხდეს საფრთხის შემცველი სამუშაოების წარმოება** - „დარიალ ენერჯი" ყველა თანამშრომელს ანიჭებს უფლებას შეაჩეროს უსაფრთხოების წესების დარღვევით მიმდინარე სამუშაო პროცესი.

უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა, განიხილება როგორც „დარიალ ენერჯის" განვითარების მიმართულების სერიოზული დარღვევის მაჩვენებელი, რასაც სავარაუდოდ მოჰყვება ადმინისტრაციული დისციპლინარული მოქმედება, ხოლო სერიოზული დარღვევისას, „დარიალ ენერჯი" იტოვებს უფლებას თანამშრომელი გაანთავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.

მინიმალური მოთხოვნები თანამშრომლებისათვის იქნება შემდეგი:

- დაესწროს უსაფრთხოების სწავლება - ტრეინინგებს და კარგად გააცნობიეროს გადმოცემული საკითხის მნიშვნელობა;
- შეინარჩუნონ სამუშაო ადგილზე წესრიგი და სისუფთავე და არ დაუშვან სამუშაო ადგილის გადატვირთვა არასაჭირო საგნების, ნივთების და მასალებისაგან; მათი სამუშაო იარაღი და ინვენტარი გამოუყენებლობის შემთხვევაში განთავსდეს უსაფრთხო ადგილას;
- ურუნველყონ სამუშაო ადგილის მუდმივი კონტროლი და სხვა თანამშრომლის ან ვიზიტორის მიახლოებისას, გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე და ყურადღება; საჭიროების შემთხვევაში აუხსნას მის სამუშაო ადგილზე მიმდინარე პროცესის შესახებ;
- მკაცრად დაიცვას მწარმოებლის მიერ დადგენილი უსაფრთხოების ნორმები, მანქანა დანადგარების და მოწყობილობის ექსლუატაციისას;
- მონაწილეობა მიიღოს ყოველდღიურ ინსტრუქტაჟში და ჩართული იყოს ობიექტის უსაფრთხოების ინსპექტირების პროცესში, მისი სამუშაო ადგილის შემოწმებისას;
- არ შეასრულოს სამუშაო, რომელზეც არ იქნება ავტორიზებული წარმოების მენეჯერის და ხელმძღვანელი პირების მიერ;
- მუდმივად გამოიყენოს მისთვის განკუთვნილი პირადი დაცვის აღჭურვილობა და უზრუნველყოს მისი დანიშნულებრივი გამოყენება, ხოლო დაზიანების შემთხვევაში, მოახდინოს დაუყოვნებლივი შეტყობინება, დროული ჩანაცვლებისათვის;
- შეინარჩუნოს მუდმივი კონტაქტი უშუალო ხელმძღვანელ პირებთან და მოახდინოს დროული რეაგირება მათ მოთხოვნაზე;
- მანქანა-დანადგარების და მოწყობილობებიდან მომდინარე გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში (მოჭარბებული ვიბრაცია, უცნაური ხმა, მუშაობის რიტმის დარღვევა, სამუშაო წნევის ცვლილება, ტემპერატურის ცვლილება ან სხვა.), დაუყოვნებლივ შეატყობინოს უშუალო უფროსს და დაელოდოს მის მითითებებს;
- უზრუნველყოს ხელმძღვანელის მიერ მიცემული დავალების და მითითებების შესრულება, ხოლო შეუძლებლობის შემთხვევაში, მოახდინოს უკუკავშირი ხელმძღვანელთან, შექმნილი მდგომარეობის შეტყობინებით;

- სამუშაო ცვლის გადაბარებისას, უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციის გადაცემა შემცვლელისათვის, განუმარტოს მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების გამართულობის და აღმოჩენილი გაუმართაობის ან შეუსაბამობის შესახებ;
- დაემორჩილოს სამუშაო ადგილზე არსებული უსაფრთხოების ნიშნების მოთხოვნებს;
- დაემორჩილოს სამუშაო ადგილზე დადგენილ მოწევის პოლიტიკას;
- ინციდენტის შემთხვევაში, ჩაერთოს ინციდენტის გამოკვლევის პროცესში და მიაწოდოს რეალური ინფორმაცია გამოკვლევის ორგანიზატორებს;
- სხვა თანამშრომლების მხრიდან უსაფრთხოების წესების დარღვევის აღმოჩენისას, მისცეს მითითება მოთხოვნების შესრულებაზე, ხოლო წინააღმდეგობის შემთხვევაში აცნობოს ხელმძღვანელ პირებს.

13.2 უსაფრთხოების მოთხოვნები სათავე ნაგებობის ექსპლუატაციისას

13.2.1 სათავე ნაგებობის და საექსპლუატაციო რეჟიმის დახასიათება

ჰესის კომპლექსის შემადგენელი ნაგებობების დახასიათება აღწერილია დოკუმენტში „დარიალი ჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობების ექსპლუატაციის ინსრუქცია“, სადაც დეტალურადაა აღწერილი სათავე ნაგებობის მახასიათებლები და არსებული საფრთხეები. ინსტურქციაში განმარტებულია შემდეგი:
სათავე ნაგებობა მოწყობილია მდ. თერგის კალაპოტში და მის ნაპირებზე. მდინარის კალაპოტს აქვს დიდი დახრილობა და შესაბამისად წყლის სიჩქარე დიდია. გასათვალისწინებელია აგრეთვე მდ. ჩხერის ფაქტორი, რომელიც მდ. თერგს უერთდება ნაგებობებიდან ცოტა ზემოთ. მდინარისათვის დამახასიათებელია უეცარი წყალმოვარდნა, რასაც ხშირად თან ახლავს მნიშვნელოვანი რაოდენობით მსხვილი ნალექების დაგროვება შესართავის, ანუ სათავე ნაგებობების განლაგების ზონაში.
წყალმოვარდნებისა და სელური ნაკადების (ქვატალახიანი მასის გამოვარდნა) წარმოშობის თვალსაზრისით საშიშია აგრეთვე თერგის მარჯვენა შენაკადი - მდ. ყურო. ასეთი მოვლენები აღნიშნულ ტერიტორიაზე პერიოდულად ხდება. ბოლო ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა 2012 წლის ზაფხულში, რომელიც მდენად ძლიერი იყო, რომ მან დროებით გადაკეტა მდ. თერგი და მის მარცხენა ნაპირზეც გადავიდა.

სათავე ნაგებობების ექსპლუატაციის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც თვით მდ. თერგის გვერდითი და სიღრმული ეროზიული მოქმედების, ასევე მისი შენაკადების – ჩხერისა და ყუროს ღვარცოფული და სელური მოქმედების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

ზემოთხსენებული მდ. თერგის და მისი შენაკადების მახასიათებელი თვისების გამო, ჰესის სათავე წყალმიმღები კვანძი შედგება დასაშლელი ტიპის (ფარებიანი) კაშხლის და გვერდითი წყალმიმღებისაგან. ნაგებობა ტექნიკურად მოწყობილია ისე, რომ სრულად იყოს უზრუნვეყოფილი წყალდიდობის შემთხვევაში ჭარბი წყლის თავისუფალი გატარება და ნაგებობის დაცვა დაზიანებისაგან, ასევე ნატანისათვის საჭირო მიმართულების მიცემა, ექსპლუატაციის შეზღუდვისაგან და მისგან გამოწვეული გართულებებისაგან დასაცავად.

გამომდინარე ზემოთხსენებული მახასიათებლიდან, აუცილებლობას წარმოადგენს წყალმოვარდნის გატარებისათვის მომზადება. ამისათვის აუცილებელია:

- ყოველწლიურად, წყალდიდობების პერიოდის დაწყებამდე, ჰესზე უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, ჰესის მთავარი ინჟინრის ხელმძღვანელობით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ჰესის წყალმიმღები ნაგებობით წყალდიდობის ხარჯების გატარებისა და ამ დროს, ჰიდროტექნიკური ნაგებობების შესაძლო დაზიანებებისაგან დაცვის ღონისძიებათა გეგმა;

- წყალდიდობის გატარების გეგმა უნდა შედგეს დროულად, 1 თვით ადრე წყალდიდობის დაწყებამდე, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ჰიდრომეტცენტრის მონაცემებს, წყალდიდობის დაწყებისა და დასრულების პროგნოზულ ვადებს.
- გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:
  - ✓ ჰიდროკვანძის მუშაობის რეჟიმი, წყალდიდობის ხარჯების გატარების პერიოდისათვის;
  - ✓ საკეტებით (ფარებით) მანევრირების გრაფიკი;
  - ✓ სამშენებლო მასალების ავარიული მარაგების და მათი განთავსების ადგილების ჩამონათვალი;

წყალდიდობის გატარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების შემადგენლობაში შედის:

- ჰიდროტექნიკური ნაგებობების მდგომარების საერთო ვიზუალური დათვალიერება;
- ყველა გამოვლენილი დეფექტების, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ წყალდიდობის ხარჯების უსაფრთხოდ გატარებას დროულად აღმოფხვრა, შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარებით;
- საკონტროლო-გამზომი აპარატურის მუშა მდგომარეობის შემოწმება;
- ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე მიმდინარე გეგმიური სარემონტო სამუშაოების დასრულება;
- ფარების, ურდულების და სხვა მექანიკური მოწყობილობის, რომელთა ფუნქციონირებაც დაკავშირებულია წყლის ხარჯების გატარებასთან, მდგომარეობის შემოწმება;
- იმ დროებითი ნაგებობების და კონსტრუქციების დემონტაჟი და მოცილება, რომლებიც ზღუდავენ ნაგებობების წყალგამტარობას;
- მიწის ნაგებობების ფერდობების დამატებითი გამაგრება იმ ადგილებში, რომლებიც საშიშია წყალდიდობის ნაკადის მიერ გამორეცხვის თვალსაზრისით.
- იმ ადგილებიდან, რომელიც შეიძლება დაიტბოროს წყალდიდობის პერიოდში, მექანიზმების დროულად გაყვანა;
- ავარიული ბრიგადების ორგანიზება წყალდიდობის გატარების პერიოდისათვის, ამ ბრიგადების წევრების ინსტრუქტაჟი, შესაძლო ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელების მეთოდების თაობაზე;
- ჰიდროტექნიკურ ნაგებობებთან და მასალების ავარიული მარაგის განთავსების ადგილებთან მისასვლელი გზების მოწესრიგება იმ დონეზე, რომ შესაძლებელი იყოს ამ გზებით შეუფერხებლად სარგებლობა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებშიც.

წყალდიდობის გატარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები უნდა დასრულდეს არანაკლები 15 დღით ადრე წყალდიდობის დაწყების მოსალოდნელ თარიღამდე, რომელიც განისაზღვრება ჰიდრომეტსამსახურის მონაცემებსა და მოცემული ჰიდროკვანძის ექსპლუატაციის წარსული წლების დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

13.3 უსაფრთხოების მოთხოვნები სათავე ნაგებობის შემოწმებისათვის

სათავე ნაგებობის ექსპლუატაციის, გეგმიური რემონტის და შემოწმების წარმოებისას პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხო მოქმედებების წესების შემუშავება, რათა გამორიცხული იყოს მათი დაზიანების შესაძლებლობა. ამისათვის საჭიროა:

- ტერიტორიაზე მოქმედებდეს დაშვების კონტროლი, რათა უზრუნველყოფილ იქნას არაავტორიზებული პირების შესვლა;

- აუცილებლობას წარმოადგენს სათავე ნაგებობის შენობის ნაპირებზე, იქ სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე, დამონტაჟებულ იქნას მყარი მოაჯირები, 200 კგ-მდე პირდაპირი (ვარდნის მიმართულებით) დატვირთვის მედეგობით;
- გართულებული ატმოსფერული მოვლენების შემთხვევაში თანამშრომელთა მოქმედებებისათვის ადგილზე უნდა შემუშავდეს უსაფრთხოების ინსტრუქცია;
- გასასვლელები და სავალი ნაწილი მუდმივად იყოს თავისუფალი ზედმეტი და არასაჭირო ნივთების, საგნების და მასალებისაგან;

13.4 უსაფრთხოების მოთხოვნები სატურბინე ნაგებობისათვის

ანდრიტცმა უნდა მოგვაწოდოს ტურბინის მონაცემები.

14.0 ტრანსპორტის უსაფრთხოების მოთხოვნები

14.1 ძირითადი მოთხოვნები

„დარიალ ენერჯის“ ავტოტრანსპორტის სამსახური ორიენტირებულია ზედმიწევნით შესრულდეს ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული საგზაო უსაფრთხოების და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი ტრანსპორტის უსაფრთხოების მოთხოვნები.

მძოლების კლასიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ მოთხოვნას და აუცილებელი პირობაა ფლობდეს შესაბამისი კლასის სახელმწიფო ნებართვას, მართვის მოწმობის სახით.

უსაფრთხოების სწავლება - ტრეინინგების პროგრამა მოიცავს საგზაო და ტრანსპორტირების უსაფრთხოების თემას, რომელსაც უნდა დაესწროს ყველა მძღოლი და ტრეინინგზე განხილული საკითხების გაცნობიერება და შესრულების დასტური განაცხადოს ტრეინინგის აღრიცხვის დოკუმენტზე ხელმოწერით.

მძღოლების გადამზადება და ტრეინინგები ჩატარდება სეზონურად, ზამთრის და ზაფხულის დადგომის წინ, სადაც განხილული იქნება უსაფრთხოების ნორმები და მოთხოვნები შესაბამისი სეზონის მიხედვით.

გამომდინარე ჰესის რთული გეოგრაფიული მდებარეობიდან, აქცენტი უნდა გაკეთდეს ზამთრის პერიოდში და ლიპყინულის არსებობისას მოძრაობის უსაფრთხოებასა და ავტომანქანის გამართულობაზე.

„დარიალ ენერჯი“ უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტის და მძღოლების დაზღვევას და იზრუნებს მის დაქვემდებარებაში არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკურ გამართულობაზე, რაც ინციდენტების რისკს შეამცირებს.

ტექნიკური გამართულობისათვის შეირჩევა ლიცენზირებული სერვისები, მფლობელობაში არსებული ავტორტრანსპორტის ბრენდის მიხედვით, რაც სასერვისო მომსახურების მაღალი ხარისხის გარანტი უნდა გახდეს;

ასევე, ტრანსპორტის გამართულობის კონტროლისათვის, უსაფრთხოების მენეჯერის მიერ შემუშავებული იქნება ტრანსპორტის შემოწმების ოქმი (ჩეკლისტი), რომლის წარმოებაც მოხდება მძღოლების მიერ, ხოლო დაზიანების აღმოჩენისას დაიგეგმება დაუყოვნებლივი გამოსასწორებელი ღონისძიებები.

14.2 ავტოტრანსპორტის მძღოლის ძირითადი ძირითადი უსაფრთხოების მოთხოვნები

- მოახდინოს ავტოტრანსპორტის დათვალიერება ყოველ დილით და გადაამოწმოს:

- ✓ ყველა საჭირო დოკუმენტაციის არსებობა (მართვის მოწმობა, ტექნიკური პასპორტი, დაზღვევის ზარათი);
- ✓ ძრავის მუშაობის გამართულობა;
- ✓ მუხრუჭების მდგომარეობა;
- ✓ საჭის მდგომარეობა;
- ✓ წინა მაშუქი ფარების განათების გამართულობა;
- ✓ სდექ ფარების მუშაობის გამართულობა;
- ✓ მოხვევის მანათობლების მდგომარეობა;
- ✓ ხმოვანი სიგნალის მდგომარეობა;
- ✓ საქარე მინის გამწმენდის მდგომარეობა (მის მექანიზმში არსებული სითხის დონით);
- ✓ საპოხი მასალების (ზეთის) და საწვავის გაჟონვის არსებობა;
- ✓ ავტომანქანაში არსებული საწვავის რაოდენობა;
- ✓ ძრავის საპოხი მასალის (ზეთის) დონე;
- ✓ გაგრილების სისტემის და სამუხრუჭე სისტემის სითხეების დონე;
- ✓ ცეცხლმაქრის გამართულობა.

- ზედმიწევნით დაიცვას დადგენილი საგზაო უსაფრთხოების მოთხოვნები;
- ავტომანქანის ძრავის ამუშავება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამძრავის საშუალებით. დაუშვებელია სხვა ხერხით ავტომანქანის ამუშავება.
- თანამშრომელი ვალდებულია დაემორჩილოს ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ და დადგენილ საგზაო მოძრაობის წესებს.
- თანამშრომელს ეკრძალება არადანიშნულებით სამარშრუტო გზიდან გადახვევა და გზაზე უმიზეზოდ გაჩერება. გზაზე გაჩერება უნდა მოხდეს მხოლოდ მიზანმიმართულად და მხოლოდ სავალი გზის უსაფრთხო მონაკვეთის სარეზერვო ნაწილზე.
- თანამშრომელს ეკრძალება ავტომანქანის მართვის უფლების სხვა პირზე გადაცემა (თუ ეს მითითებული არ არის ხელმძღვანელი პირების მიერ).
- თანამშრომელს ეკრძალება ავტომანქანის პირადი დანიშნულებით გამოყენება.
- აკრძალულია უცნობი მგზავრის გადაყვანა თუ ეს შეთანხმებული არ არის ხელმძღვანელ პირებთან.
- აკრძალულია ავტომანქანაში და მის სიახლოვეს სიგარეტის მოწევა.
- საწვავით შევსების დასრულებისას საწვავით დასვრილი ნაწილები უნდა გაიწმინდოს სიმშრალემდე.
- აკრძალულია არასამუშაო ტვირთების, საგნების, მასალების, მოწყობილობების და სხვა ნივთების განთავსება ან მიმაგრება.
- მოძრაობის დროს თანამშრომელი ვალდებულია დაემორჩილოს გზაზე არსებულ მოთხოვნებს, იმოქმედოს განთავსებული ნიშნების გათვალისწინებით და ყურადღება მიაქციოს ქვეითთა მოძრაობას.
- შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე დგომისას ავტომანქანასა და მის წინ მდგომ სატრანსპორტო საშუალებას შორის უნდა იყოს უსაფრთხოებისთვის საჭირო გონივრული მანძილი.
- ნებისმიერ გზაჯვარედინთან მიახლოებისას თანამშრომელმა უნდა უზრუნველყოს სიჩქარის შემცირება და გზაჯვარედინის გადაკვეთა მოახდინოს მხოლოდ მის წინ და გვერდითი მხრიდან საფრთხის არ არსებობის შემთხვევაში.
- თანაბარმნიშვნელოვანი გზების გადაკვეთის დროს, უპირატესობა ენიჭება მარჯვნიდან მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას.

- სარკინიგზო გზის გადაკვეთა უნდა მოხდეს მხოლოდ იქ არსებული საგზაო მანიშნებლების გათვალისწინებით.
- უშლაგბაუმო რკინიგზის გადაკვეთის შემთხვევაში, ავტოტრანსპორტის გაჩერება უნდა მოხდეს სარკინიგზო ხაზიდან არანაკლებ 15 მეტრში და გადაკვეთა უნდა მოხდეს მხოლოს სარკინიგზო ხაზის თავისუფლი მდგომარეობის შემთხვევაში.
- სარკინიგზო ხაზის გადაკვეთისას არ არის რეკომენდირებული სიჩქარის შეცვლა, გადაბმულობის გამორთვა და აქსელერატორის სატერფულზე მყისიერი ზემოქმედება (დაჭერა-აშვება) ავტომანქანის ძრავის უეცარი გამორთვის თავიდან ასაცილებლად. სარკინიგზო გზის გადაკვეთა უნდა მოხდეს თანაბარი სვლით.
- აკრძალულია რკინიგზის ხაზის გადაკვეთა ამისათვის სპეციალურად განკუთვნილი ადგილების გარდა.
- აკრძალულია დაღმართზე მოძრაობისას გადაბმულობის გამორთვა (სიჩქარის კოლოფის მოჭიდულობის განეიტრალება და თავისუფალი სვლით მოძრაობა).
- დამუხრუჭება უნდა მოხდეს ძრავით და თვლების ბლოკირების ზღვარზე მუხრუჭის სატერფულზე მრავალჯერადი ზემოქმედებით. აკრძალულია მკვეთრი, ერთბაშად დამუხრუჭება ბლოკირებული თვლებით.
- მოყინულ გზაზე დამუხრუჭება უნდა მოხდეს გადაბმულობის გამოურთავად და სამუხრუჭე სატერფულზე ფეხის მდორე და მრავალჯერადი (წერტილოვანი) ზემოქმედებით.
- მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე გაშლილ გზაზე (ტრასაზე) არ უნდა აღემატებოდეს 80 კმ/სთ, ხოლო მოხვევის შემთხვევაში 10 კმ/სთ. დასახლებულ პუნქტსა და ხალხმრავალ ადგილებში მაქსიმალური სიჩქარეა 40 კმ/სთ (თუ საგზაო ნიშნებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).
- თანამშრომელი ვალდებულია მოძრაობის დროს დაიცვას უსაფრთხო დისტანცია მის წინ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით, ავარიული სიტუაციის დროს საჭირო მანევრირების (სიჩქარის შემცირების, დროული გაჩერების, გვერდიდან შემოვლის) განსახორციელებლად.
- უსაფრთხო დისტანცია გაშლილ გზაზე უნდა იყოს მეტრებში გამოსახული სიჩქარის სიდიდის ტოლი, ხოლო დასახლებულ პუნქტებსა და მჭიდრო სატრანსპორტო ნაკადში მოძრაობისას, მეტრებში გამოსახული სიჩქარის ნახევარი სიდიდის ტოლი.
- ზამთრის პირობებში (მოყინულ გზებზე) უსაფრთხო დისტანცია უნდა იყოს მეტრებში გამოსახული სიჩქარის სიდიდეზე 3-ჯერ მეტი.
- წინ მიმავალი სატრანსპორტო საშუალების გადასწრება უნდა მოხდეს მხოლოდ ამ სატრანსპორტო საშუალების დასაშვებზე დაბალი სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაში. გადასწრება უნდა მოხდეს მხოლოს კარგი ხილვადობის დროს, როდესაც გადასწრებისათვის საჭირო ზოლი თავისუფალია და შემხვედრი მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებამდე არსებობს საკმარისი დისტანცია. გადასწრების დაწყებამდე უნდა მოხდეს უკან არსებული მოძრაობის შეფასება ორივე მხრიდან, ხოლო გადასწრებისას ინტერვალი (მანძილი ავტომობილსა და მის გვერდით მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას შორის) უნდა იყო არანაკლებ 1 მ-ისა. აკრძალულია გადასწრების დროს დასაშვებზე 20კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის მომატება.
- ავტომანქანის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, როცა თანამშრომლის მიერ გაუმართაობის აღმოფხვრის შესაძლებლობა გამორიცხულია, ავტომობილი უნდა განთავსდეს სავალი გზის მარჯვენა სანაპირო ზოლზე, განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები და შეტყობინებულ იქნას ხელმძღვანელი პირები.

- თანამშრომლის ჩამოსვლა ავტომანქანიდან უნდა მოხდეს მხოლოდ ავტომანქანის უძრავ მდგომარეობაში დამაფიქსირებელი ყველა მექანიზმის მოქმედებაში მოყვანის და გზის სავალი ნაწილის შეფასების შემდეგ.
- ავტომანქანით მოძრაობისას გზაზე შეზღუდული ხილვადობის დროს (დაბნელება, ღამით მგზავრობა, ატმოსფერული მოვლენები) აუცილებელია მოძრაობის სიჩქარის მინიმუმამდე შემცირება და სალონში არსებული ყველა განათების ჩაქრობა.

15.0 პერსონალის ჯანდაცვის საკითხები

„დარიალ ენერჯი" პერსონალის შერჩევისას მოახდენს დასასაქმებელი პიროვნებების ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას, რათა გამორიცხულ იყოს სამუშაოს შესრულებისას ქრონიკული ან სხვა ტიპის დაავადებებით გამოწვეული გართულებები. ყველა დასაქმებული ვალდებულია უზრუნველყოს ჯანმრთელობის შესახებ ცნობის (ფორმა 100) წარმოდგენა და პასუხისმგებელი გახდეს ამ საბუთის ვალიდურობაზე.

სამუშაოს შესრულებისას ყველა თანამშრომლის მდგომარეობაზე დაკვირვება მოხდება მათი უშუალო ხელმძღვანელების და უსაფრთხოების მენეჯერის მიერ.

ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილი იქნება ჯანმრთელობის დაზღვევით, რაც ასევე ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ პროფილაქტიკური შემოწმების ჩატარებას, რომლის გამოყენებაც თანამშრომლების მიერ შემოწმდება კომპანიის მხრიდან.

პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილი იქნება მისი სამუშაოსათვის საჭირო სტანდარტული პირადი დაცვის აღჭურვილობით, რომლის აუცილებლობასა და ეფექტურ გამოყენებაზე ჩაუტარდებათ სწავლება-ტრეინინგები. პერსონალის დაზიანების შემთხვევაში მოქმედების გეგმა, აღწერილია 17.8 ქვეთავში.

ობიექტზე განთავსდება პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა მოწყობილობა, რომლის პერიოდული შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში განახლების ორგანიზება მოხდება უსაფრთხოების მენეჯერი მიერ.

16.0 მოქმედება საგანგებო მდგომარეობაში

16.1 საგანგებო მდგომარეობის აღწერა

ჯანდაცვის და უსაფრთხოების სამსახური საგანგებო მდგომარეობად განიხილავს ინციდენტის შედეგად შექმნილ მდგომარეობას, ხოლო თვით ინციდენტი შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: **ინციდენტი** არის მოვლენა, რომელმაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგი.
საგანგებო მდგომარეობად განიხილება შემდეგი მოვლენების განვითარება:

- მეწყერი;
- ხანძარი;
- აფეთქება;
- ქიმიური ნივთიერებების დაღვრა;
- პერსონალის ნებისმიერი ხარისხით დაშავება;
- მოწყობილობის ტექნიკური დაზიანება;

- ჯანდაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევით გამოწვეული; მდგომარეობა;
- ობიექტზე თავდასხმა ან დაცვა - უსაფრთხოების პროცედურების მასშტაბური დარღვევა;
- ავტოსაგზაო შემთხვევა;
- პერსონალის ევაკუაციის საჭიროების გამომწვევი ნებისმიერი მიზეზი;

თითოეულ ზემოთჩამოთვლილ ინციდენტზე ეფექტური და ორგანიზებული რეაგირებისათვის შექმნილია წინამდებარე პროცედურა, სადაც განხილულია შემდეგი:

1. მეწყერის განვითარების შემთხვევაში მოქმედების გეგმა;
2. ხანძარსაშიში მდგომარეობის შემთხვევაში მოქმედებათა თანმიმდევრობა;
3. ქიმიური ნივთიერებების დაღვრის შემთხვევაში მოქმედება;
4. პერსონალის დაშავების შემთხვევაში მოქმედება;
5. ფიზიკური დაცვის თანამშრომელთა მომქმედებები ობიექტზე თავდასხმის ან სხვა სახის დარღვევების აღმოჩენისას;

ინციდენტის შემთხვევაში გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის დროს, მოქმედებები უნდა განხორციელდეს ამ პროცედურის მიხედვით. პროცედურა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ივსება და იცვლება მისი პრაქტიკული გამოყენებით მიღებული გამოცდილების მიხედვით.

ნებისმიერი გადახრა პროცედურის დამტკიცებული სქემიდან, შეთანხმებული უნდა იყოს „დარიალი ენერჯის“ ტექნიკური უსაფრთხოების სამსახურთან და ხელმაძღვანელობასთან.

ცვლილებებსა და დამატებებს ზედამხედველობას უწევს უსაფრთხოების სამსახური ტექნიკურ დირექტორთან შეთანხმებით.

16.2 ინციდენტის მართვა და ორგანიზება

ჰესის კომპლექსის ყველა ნაგებობის ობიექტზე წარმოქმნილი ინციდენტის მართვის პროცესს ხელმღვანელობს ინციდენტის მართვის ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შედის კომპანიის ხელმძღვანელი პირების ჯგუფი, ობიექტების ხელმძღვანელი პირების ჯგუფი და სპეციალისტები (იხ. ორგანიზაციული სქემა).

ინციდენტის მართვის ცენტრის ძირითადი ფუნქციაა სხვადასხვა სახის საგანგებო მდგომარეობის წარმოქმნისთანავე ინციდენტის ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებების და ოპერატიულ მოქმედებათა გეგმის განსაზღვრა.

მართვის სისტემა სტრუქტურულად მოიცავს 4 ძირითად ელემენტს:

- საგანგებო მდგომარეობის იდენტიფიკაცია და შემდგომი მოქმედებების ეფექტური ორგანიზება;
- პერსონალის მოვალეობების და როლების ზუსტი განაწილება;
- კავშირისა და შეტყობინებების ოპერატიული სისტემა;
- ინციდენტის ლიკვიდაციისათვის საჭირო რესურსების ოპერატიულად მობილიზების გარანტიები;

საგანაგებო მდგომარეობის იდენტიფიკაცია კლასიფიცირდება როგორც დადასტურებული და დაუსადტურებელი ინციდენტი

დადასტურებული ინციდენტი არის ისეთი საგანგებო შემთხვევა, რომელიც ნამდვილად დადასტურებულია მომუშავე პერსონალის მიერ;

დადასტურებული ინციდენტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს საგანგებო მდგომარეობის მართვის გეგმა და მიუხედავად საგანგებო შემთხვევის მასშტაბისა, მობილიზაცია გაუკეთდეს შესაბამის და საჭირო რესურსებს.

დაუდასტურებელი ინციდენტი არის ისეთი საგანგებო შემთხვევა, როდესაც შეტყობინება მის შესახებ არ არის დამოწმებული მეორე საიმედო წყაროდან მიღებული შეტყობინებით და საჭიროა საკითხის სასწრაფოდ გარკვევა.

სავარაუდო საგანგებო შემთხვევის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ მზადყოფნაში უნდა იქნეს მოყვანილი შესაბამისი რესურსები და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები ინციდენტის დასადასტურებლად და მისი ზუსტი ადგილმდებარეობის დასადგენად.

ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა სახის ინციდენტის დროს საგანგებო მდგომარეობის მართვის სისტემური სტრუქტურა:



16.3 შეტყობინება და გამოძახების პროცედურა

სამუშაოს შესრულებაში ჩართული ყველა თანამშრომელი ვალდებულია ნებისმიერი სახის ინციდენტის და აღმოჩენილი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში გააკეთოს შეტყობინება და შეასრულოს გამოძახების პროცედურა. ობიექტზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული უნდა იყოს შეტყობინების სტრუქტურული სქემა სატელეფონო ცნობარით. ასევე უნდა იყოს საქალაქო სამაშველო სამსახურების საკონტაქტო ნომრები.

ინციდენტის შესახებ დადასტურებული ინფორმაციის მიღებისთანავე იწყება შეტყობინებისა და გამოძახების პროცედურები.

ინციდენტის შესახებ შეტყობინება პირველ რიგში გადაეცემა ობიექტის მენეჯერს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას გადასცემს უსაფრთხოების მენეჯერს, ტექნიკურ დირექტორს და უზრუნველყოფს მართვის ცენტრის სხვა წევრების გამოძახებას.

ობიექტზე არყოფნის შემთხვევაში, ობიექტის მენეჯერი საეჭვო ან სავარაუდო ინფორმაციის გადამოწმების მიზნით კვლავ უკავშირდება ინციდენტის ადგილზე უშუალო პასუხისმგებელ პერსონალს და იღებს საჭირო ინფორმაციას.

ინციდენტის შესახებ დადასტურებული ინფორმაციის მიღებისთანავე, მოქმედებაში შედის წინამდებარე „ინციდენტების მართვის სისტემაში“ გაერთიანებული საგანგებო მდგომარეობის მართვის პროცედურები.

მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება დადასტურებული ინფორმაცია ინციდენტის სახის და მასშტაბების შესახებ, ინციდენტის მართვის ცენტრს მოქმედებაში მოჰყავს რეაგირების სათანადო რესურსები და შეტყობინებას გადასცემს შესაბამის საზელმწიფო ორგანოებს და კონტრაქტორებს.

გენერალური და ტექნიკური დირექტორი უზრუნველყოფს ინციდენტის მართვის ცენტრის ჩამოყალიბებას, ინციდენტის მართვის სისტემაში გაერთიანებული საჭირო დანაყოფების მობილიზებას და ურთიერთშეთანხმებულად ამოქმედებას.

16.4 ინციდენტის მართვის ცენტრის წარმომადგენელთა მოვალეობები

16.4.1 ტექნიკური დირექტორი

საგანგებო შემთხვევის დროს ტექნიკური დირექტორი ახორციელებს შემდეგ მოვალეობებს:

- დაადასტუროს ინციდენტის ტიპი და სიმძიმე;
- გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა;
- მოახდინოს ინციდენტის მართვის ცენტრის გამოძახება;
- მისცეს ინსტრუქციები ინციდენტის მართვის ცენტრს და აკონტროლოს ამ ინსტრუქციების შესრულება;
- ინფორმაცია მიაწოდოს გენერალურ დირექტორს;
- ითანამშრომლოს საქალაქო სამაშველო სამსახურების ხელმძღვანელობასთან;
- ინციდენტის დასრულების შემდეგ შეაფასოს მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმოს გამოსასწორებელ ღონისძიებეთა ერთობლიობა.

16.4.2 მთავარი ინჟინერი

საგანგებო შემთხვევის დროს წარმოების მენეჯერი ახორციელებს შემდეგ მოვალეობებს:

- გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე და დაადასტუროს მდგომარეობის ტიპი და სიმძიმე;
- მისცეს ინსტრუქციები შემდეგ სამსახურებს:
  - ✓ მაკონტროლებელი შენობის მენეჯერს;
  - ✓ სატურბინე შენობის სპეციალისტებს;
  - ✓ ინციდენტის ლოკალიზების ჯგუფს;
  - ✓ დაცვის სამსახურს;
  - ✓ სახანძრო ჯგუფს;
  - ✓ ინციდენტის ადგილის პასუხისმგებელ პერსონალს;
- უზრუნველყოს ინციდენტის ადგილზე დაშვების კონტროლის ორგანიზება;
- მიაწოდოს ინფორმაცია ტექნიკურ დირექტორს ინციდენტის მდგომარეობის შესახებ;

- მიიღოს გადაწყვეტილება და გასცეს განკარგულება საქალაქო სამაშველო სამსახურების გამოძახების შესახებ;
- ინციდენტის დასრულების შემდეგ ორგანიზება გაუკეთოს ინციდენტის გამომწვევი ფაქტორის გამოკვლევის პროცედურას, დადგენას და უზრუნველყოს მისი განმეორებისაგან დასაცავი ღონისძიებათა შესრულების კონტროლი.

16.4.3 ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი

საგანგებო მდგომარეობის დროს ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი ახორციელებს შემდეგ მოვალეობებს:

- გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე და დაადასტუროს მგომარეობის ტიპი და სიმძიმე;
- დაგეგმოს ინციდენტის ლოკალიზების თანმიმდევრობა და მისცეს ინსტრუქციები მის შესასრულებლად ინციდენტის ლოკალიზების ჯგუფს;
- მუდმივად აკონტროლოს ინსტრუქციების შესრულება და ეფექტურობა;
- უზრუნველყოს ობიექტზე არსებული პერსონალის ევაკუაცია;
- უზრუნველყოს სამოქალაქო სამაშველო ჯგუფთან თანამშრომლობა;
- აკონტროლოს ობიექტზე არსებული საშიში ზონებიდან მომდინარე საფრთხე;
- უზრუნველყოს ინციდენტის ადგილზე დაშვების კონტროლი;
- არსებული მდგომარეობის შესახედ ინფორმაცია მიაწოდოს ინციდენტის მართვის ცენტრს;
- ინციდენტის ლოკალიზაციისას დაადასტუროს ინციდენტის დასრულება;
- ჩაატაროს ინციდენტის გამოკვლევა მისი გამომწვევი ფაქტორის განსაზღვრით;
- შეიმუშავოს პროცედურები ინციდენტის გამომწვევი ფაქტორის განმეორებით გააქტიურებისაგან დასცავად;
- დანერგოს ინციდენტის გამომწვევი ფაქტორის კონტროლის მექანიზმები და გაუწიოს მონიტორინგი მათ შესრულებას.

16.4.4 მაკონტროლებელი შენობის მენეჯერი

საგანგებო შემთხვევის დროს მაკონტროლებელი შენობის მენეჯერი ახორციელებს შემდეგ მოვალეობებს:

- გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე და დაადასტუროს მდგომარეობის ტიპი და სიმძიმე;
- მისცეს ინსტრუქციები ობიექტის ოპერატორებს და სპეციალისტებს;
- უხელმძღვანელოს ინციდენტის ლოკალიზების ჯგუფის თანმიმდევრულ მოქმედებებს;
- უზრუნველყოს ინციდენტის ადგილზე დაშვების კონტროლის ორგანიზება;
- უზრუნველყოს დამხმარე სამაშველო სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება;
- უზრუნველყოს ყველა თანამშრომლის ან ინციდენტის ტერიტორიაზე არსებული ადამიანების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის ორგანიზება;

- ინციდენტის ამოწურვის შემდეგ დაადასტუროს მისი ლიკვიდაცია და მოახსენოს წარმოების მენეჯერს და ტექნიკურ დირექტორს;
- ინციდენტის ლოკალიზების შემდეგ მოახდინოს მიყენებული ზიანის აღრიცხვა და მოახსენოს წარმოების მენეჯერს და ტექნიკურ დირექტორს;
- მონაწილეობა მიიღოს ინციდენტის გამოკვლევასა და მისი წარმომქმნელი ფაქტორების დადგენაში;
- ინციდენტის დასრულების შემდეგ მონაწილეობს მიიღოს ინციდენტის გამომწვევი ფაქტორის გამოკვლევაში და უზრუნველყოს მისი განმეორებისაგან დასაცავი ღონისძიებათა შესრულების კონტროლი.

16.4.5 ობიექტის სპეციალისტები

საგანგებო მდგომარეობის დროს ობიექტის სპეციალისტები ახორციელებს შემდეგ მოვალეობებს:

- გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე და დაადასტუროს მგომარეობის ტიპი და სიმძიმე;
- ინფორმაცია მიაწოდოს ინციდენტის მართვის ცენტრის წევრებს;
- ჩაერთოს ინციდენტის ლოკალიზების ჯგუფის მოქმედებებში;
- უზრუნველყოს ინციდენტის ლოკალიზების გეგმის შესრულება და მისცეს საჭირო მითითებები ინციდენტის ლოკალიზების ჯგუფის წევრებს;
- მიაწოდოს სრული ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ საჭიროების შემთხვევაში საქალაქო სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებს შემდეგი მონაცემების გათვალიწინებით:
  - ✓ განუმარტოს ობიექტზე არსებული საშიში ზონები და იქედან მომდინარე შესაძლო საფრთხის მასშტაბები;
  - ✓ მიაწოდოს ობიექტზე არსებული საშიში მასალების (აალებადი, ფეთქებადი, ქიმიური ან სხვა) განთავსების ადგილები და ზუსტი რაოდენობა;
  - ✓ გააცნოს ობიექტის გეგმა;
  - ✓ მიაწოდოს ობიექტზე მყოფი პერსონალის რაოდენობა;
  - ✓ მიუთითოს ობიექტზე არსებული ინციდენტის ლოკალიზებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და მოწყობილობების განთავსების ადგილების და რაოდენობის შესახებ;
- ინციდენტის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს სამუშაო ადგილის მოწესრიგების ორგანიზება;
- ინციდენტის ამოწურვის შემდეგ მონაწილეობა მიიღოს ინციდენტის გამოკვლევაში მისი წარმომქმნელი ფაქტორის დასადგენად;
- უზრუნველყოს ინციდენტის განმსაზღვრელი ფაქტორის მუდმივი კონტროლი ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციისას.

16.4.6 ფიზიკური დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერი

საგანგებო მდგომარეობის დროს ფიზიკური დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერი ახორციელებს შემდეგ მოვალეობებს:

- გადაიყვანოს დაცვის საგანგებო რეჟიმზე დაქვემდებარებული სამსახური;
- შეიმუშავოს ინციდენტის ადგილის და ობიექტის ფიზიკური დაცვის მექანიზმები დაცვის პოსტების გამოყოფით;
- ითანამშრომლოს საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელ პირებთან (შსს, სახელმწიფო დაცვის სამსახური);
- აკონტროლოს ინციდენტის ადგილის და ობიექტის დაცვის მექანიზმი;
- დააწესოს ინციდენტის ადგილზე დაშვების კონტროლი და გაუწიოს მონიტორინგი დაცვის თანამშრომელთა მოქმედებებს;
- მიიღოს მონაწილეობა პერსონალის ევაკუაციასა და უსაფრთხო ზონაში გამოსაყვანად;
- უზრუნველყოს ობიექტიდან ფასეულობების გამოტანა-დასაწყობების კონტროლის ორგანიზება;
- ინციდენტის დასრულებისას მოახდინოს არსებული ინვენტარის და ფასეულობების აღრიცხვის ორგანიზება;
- მონაწილეობა მიიღოს ინციდენტის გამოკვლევასა და მისი გამომწვევი ფაქტორების განსაზღვრაში;
- შეიმუშავოს ინციდენტის გამომწვევი ფაქტორის განმეორებისაგან დაცვის მექანიზმები და აკონტროლოს მათი შესრულება;

16.4.7 ტრანსპორტის სამსახურის უფროსი

სატრანსპორტო ინციდენტით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის დროს ტრანსპორტის სამსახურის უფროსი ახორციელებს შემდეგ მოვალეობებს:

- ადასტურებს ინციდენტს და ინფორმაციას აწოდებს ინციდენტის მართვის ცენტრს;
- უზრუნველყოფს დამხმარე ჯგუფის ინციდენტის ადგილზე მობილიზებას;
- საჭიროების შემთხვევაში ატყობინებს საქალაქო სამაშველო სამსახურებს ინციდენტის შესახებ მისი ზუსტი ადგილმდებარეობის და მდგომარეობის ტიპის შესახებ;
- ადგენს საევაკუაციო გეგმას და უზრუნველყოფს მის შესრულებას საჭიროების შემთხვევაში;
- ინციდენტის ლოკალიზების შემდეგ უზრუნველყოფს ინციდენტის გამოკვლევას მისი გამომწვევი ფაქტორის გამოსავლენად;
- უზრუნველყოფს ინციდენტის გამომწვევი ფაქტორის განმეორებისაგან დამცავი მექანიზმების შემუშავებას და აკონტროლებს მის შესრულებას.

16.4.8 საგანგებო მდგომარეობის ლოკალიზების ჯგუფის წევრები

საგანგებო მდგომარეობის ჯგუფის წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- იცოდეს არსებულ ტექნიკურ მოწყობილობებთან მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები;
- ფლობდეს ხანძარქრობის საშუალებების გამოყენებას;
- იცოდეს ობიექტის ტერიტორიაზე არსებული ინციდენტის ლოკალიზებისათვის საჭირო ინვენტარის განთავსების ადგილები;
- ერკვეოდეს ობიექტის სავაკუაციო გეგმასა და მის თანმიმდევრობაში;

- იცოდეს პირველადი დახმარების აღმოჩენა;
- საავარიო ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს ობიექტზე არსებული ტექნიკური მოწყობილობების სარემონტო სამუშაოების წარმოების უფლება;
- ფლობდეს ელექტო უსაფრთხოების მოთხოვნებს;
- გაერკვეს ინციდენტის ლოკალიზების გეგმასა და თანმიმდევრობაში და შეასრულოს მიცემული ინსტრუქციები;
- შეძლოს საშიში ზონებიდან მომდინარე საფრთხის მასშტაბების შეფასება და მიაწოდოს ინფორმაცია ინციდენტის მართვის ცენტრის თანამშრომლებს;
- საჭიროების შემთხვევაში შეძლოს თანამშრომლის ეფექტური ჩანაცვლება (მოახდინოს როტაცია) და დახმარების გაწევა;
- იმოქმედოს საქალაქო სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებთან ინციდენტის ლოკალიზებისათვის;
- მოახდინოს ადამიანთა ევაკუაცია;
- ინციდენტის ლოკალიზებისას, ობიექტის ექსპლუატაციის დაწყებამდე მოახდინოს დაკვირვება ინციდენტის განმეორებისაგან დაცვის მიზნით.
- მოახსენოს ინციდენტის ლოკალიზებისას გამოყენებული ინვენტარის მდგომარეობის შესახებ ობიექტის მენეჯერს.

ინციდენტის ლოკალიზების ჯგუფში შედიან შემდეგი პერსონალი:
ობიექტის ის თანამშრომლები, რომელთაც გავლილი აქვთ ავარიულ სიტუაციში მოქმედებათა სწავლების კურსი, ცვლის უფროსები, ოპერატორები, მენეჯერის ასისტენტი, ტექნიკოსთა ჯგუფი, ჰიდროტექნიკოსთა ჯგუფი, ავარიული რეაგირების დანაყოფი, ელექტრიკოსთა ჯგუფი.

16.4.9 ინციდენტის ადგილის პასუხისმგებელი პირი

ინციდენტის ადგილზე პასუხისმგებელ პირად მოიაზრება პიროვნება, რომელმაც: აღმოაჩინა ინციდენტის წინაპირობა; შეესწრო ინციდენტის განვითარებას; აღმოაჩინა ტექნიკური გაუმართაობა; იმყოფებოდა ინციდენტის ადგილის სიახლოვეს ან თავად გახდა ინციდენტის განვითარების მიზეზი.
ინციდენტის ადგილის პასუხისმგებელი პირი (ფიზიკურად შესაძლებლობის შემთხვევაში) ვალდებულია:

- შეაფასოს შექმნილი მდგომარეობა და ინციდენტის შესაძლო განვითარების შემთხვევაში მისგან მომდინარე საფრთხე;
- დაუყოვნებლივ შეატყობინოს უშუალო უფროსს ინციდენტის შესახებ;
- გააფრთხილოს ყველა თანამშრომელი და მიიღოს უსაფრთხოების ზომები;
- ითანამშრომლოს ინციდენტის ლოკალიზაციის ჯგუფის წევრებთან და მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია;
- მონაწილეობა მიიღოს პერსონალის ევაკუაციაში;
- შეასრულოს ხელმძღვანელის ინსტრუქციები;
- ინციდენტის დასრულების შემდეგ მონაწილეობა მიიღოს ინციდენტის გამოკვლევაში მისი წარმომქმნელი ფაქტორის დასადგენად.

16.4.10 ობიექტზე მყოფი კონტრაქტორი ფირმის წარმომადგენლები

ინციდენტის განვითარებისას ობიექტზე მყოფი კონტრაქტორი ფირმის ხელმძღვანელი ვალდებულია:

- საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე გასცეს სამუშაოების შეჩერების ბრძანება;
- მოახდინოს თავისი თანამშრომლების ევაკუაცია და თავშეყრის ადგილზე მათი მობილიზება;
- მოახსენოს თავშეყრის ადგილზე პასუხისმგებელ პირს მათი თანამშრომლების საერთო და ადგილზე გამოცხადებულთა რაოდენობა;

16.4.11 ობიექტზე მყოფი ვიზიტორები

ობიექტზე მყოფი ვიზიტორი, ინციდენტის წარმოქმნის და ავარიული მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, ვალდებულია დროულად დატოვოს ტერიტორია მითითებული ავარიული გასასვლელების მიმართულებით, დროულად გამოცხადდეს თავშეყრის ადგილზე და მოახსენოს თავის სახელი და გვარი.

16.5 მეწყერის წარმოქმნის შესაძლებლობა და მოქმედება მეწყერსაშიში მდგომარეობისას

16.5.1 ჰესის მშენებლობის დროს მომხდარი მეწყერის დახასიათება

დარიალ ჰესის მშენებლობის პროცესში, 2014 წელს ადგილი ჰქონდა მეწყერული მოვლენის ორ შემთხვევას. გამომდინარე მეწყერის გიგანტური მასშტაბიდან, მეწყერი შეფასდა როგორც კატასტროფა. კონკრეტულად კი 2014 წლის 17 მაისს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე დარიალის ხეობაში, მდინარეების თერგისა და ამალი-დევდორაკის შეერთების უბანზე ადგილი ჰქონდა კატასტროფული მასშტაბის ღვარცოფის გავლას.

დარიალის ხეობიდან ჩრდილო დასავლეთით, 11 კილომეტრის მოშორებით მდებარე მწვერვალ „მყინვარწვერის“ (5033 მ ზღვის დონიდან) ჩრდილო - ჩრდილო-აღმოსავლეთის ციცაბო ფერდობზე, მთის წვერიდან დაახლოებით 400 მეტრის დაშორებით, 4602 მეტრ აბსოლუტურ სიმაღლეზე, 2014 წლის 17 მაისს დილის საათებში წარმოიშვა გრანდიოზული მოცულობის კლდეზვავი მყინვარულ-თოვლიან მასასთან ერთად. ჩამოზვავებული მასის მოცულობა, შეადგენდა 5.0 მლნ. $მ^3$-ს. ჩამოზვავებული მასა განაწილდა 3 ნაკადად, ერთ-ერთმა მიმართულება აიღო დევდორაკის ხეობის გავლით დარიალის ხეობისკენ.

პროცესი განვითარდა უხვი ატმოსფერული ნალექის, წვიმის ფონზე, რამაც დამატებითი როლი ითამაშა ჩამოწოლილი მასის მოჭარბებაში და ჯამში დარიალის ხეობაში შემოჭრილმა მეწყერულმა მასამ, შეადგინა 1,5 მლნ. $მ^3$.

მეწყერმა გამოიწვია მდინარე თერგის გადაკეტვა და იმსხვერპლა ხეობაში მყოფი 7 ადამიანი, მათ შორის საავტომობილო გზაზე მოძრავ ავტომობილებში (იხილეთ სკეტჩები ქვემოთ).

Darʼali Energy

2014 წლის 17 მაისის მეწყერული მასის შემოსვლის ადგილი

Dariali Energy

2014 წლის მეწყერის წარმოშობის ადგილი და მიმართულება

2014 წლის მეწყერის წარმოშობის ადგილი და მიმართულება



მეწყერული მოვლენა განმეორდა 2014 წლის 20 აგვისტოს და მოხდა 0,5 მლნ. მ³ მეწყერული მასის შემოსვლა იგივე ადგილზე, რამაც განმეორებით გამოიწვია ხეობის გადაკეტვა და 4 ფატალური შემთხვევა. ხეობის სარეაბილიტაციო სამუშაოებმა გასტანა 5-6 თვეს.

მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა 2007 წელს, ხოლო მანამდე 2003 წელს, გაცილებით მცირე მასშტაბებით. ხეობის სარეაბილიტაციო სამუშაოებმა გასტანა 5-6 თვეს.

ზემოთნაჩვენებ სკეტჩებზე ასევე ნაჩვენებია მეწყერის მიმართულება, რომლის განმეორების შემთხვევაში, დიდი ალბათობით მიმართულება იქნება იგივე.

მომხდარი კატასტროფის შედეგად შესწავლილ იქნა მეწყერის კერა და დადგინდა, რომ მყინვარის აღნიშნულ ფერდობზე ისევ არსებობს პოტენციური საფრთხე მეწყერული მასის მოწყვეტით. სახელმწიფო კრიზისული საბჭის გადაწყვეტილებით, შეირჩა სათვალთვალო ადგილი, დამონტაჟდა სენსორული სისტემა და საგანგაშო სისტემა.

მყინვარის ფერდის ამ ნაწილის თვალთვალი და მონიტორინგი მიმდინარეობს მუდმივად, მეწყერის წარმოქმნის შემთხვევაში დროული შეტყობინების და ხეობაში ეფექტური ევაკუაციის განსახორციელებლად. ხეობაში გამავალი გზა წარმოადგენს საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელ სტრატეგიული მნიშვნელობის გზას, რომლის შეზღუდვაც შეუძლებელია და სადაც ევაკუაციის განხორციელება ერთადერთი გზაა მეწყერის შემთხვევაში.

აღნიშნული საფრთხის გამო, მეწყერსაშიში საფრთხე წარმოადგენს პრიორიტეტს, რომლის მოხდენის შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს თამაშრომელთა მოქმედებები, საევაკუაციო მიმართულებები და ჩატარდეს პრაქტიკული სწავლებები გარკვეული პერიოდულობით.

16.5.2 მოქმედება მეწყერის წარმოქმნის განგაშის შემთხვევაში

აუცილებლობას წარმოადგენს მუდმივ რეჟიმში პირდაპირი კავშირის განხორციელება მეწყრის კერის მონიტორინგის ჯგუფთან. კავშირი უნდა განხორციელდეს რამდენიმე საშუალებით, რადიო გადამცემი, მობილური ტელეფონი და ხმოვანი განგაში. უნდა მოხდეს კავშირის არსებობის გადამოწმება ყოველდღიურად და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში გამოსწორდეს დაუყოვნებლივ.

საგანგაშო სისტემა უნდა დამონტაჟდეს ჰესის კომპლექსის ყველა ნაგეგობაზე. მისი ხმოვანი შეტყობინება უნდა განსხვავდებოდეს ადგილობრივი სასიგნალო შეტყობინებისაგან.

მეწყერის წარმოქმნის სასიგნალო განგაში უნდა გაისმას შემდეგ ძირითად უბნებზე:

1. გვირაბის შესასვლელი;
2. სატრანსფორმატორო კვანძი;
3. გვირაბი;
4. სატურბინე დარბაზი;
5. სათავე ნაგებობა.

უახლოესი მანძილი მეწყრის კერიდან გვირაბის შესასვლელამდე არის 11 კმ. სპეციალისტებისაგან გაკეთებული მიახლოვებითი გათვლებით, 1,5 მლნ. მ³ მოცულობის მასის 4602 მ სიმაღლიდან 1363 მ ნიშნულზე დაშვებისას, განვითარდებოდა მაქსიმუმ 60 კმ/სთ სიჩქარე. ამ გათვლებით, მეწყერის კერიდან თერგის ხეობამდე გადაადგილებას მოანდომებდა დაახლოვებით დაახლოვებით 10 წუთს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეწყერის წარმოქმნის შეტყობინებიდან, მის ხეობაში შემოსვლამდე მინიმუმ 5 წუთი არსებობს ევაკუაციისათვის. ეს დრო ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული სწრაფი საევაკუაციო მოქმედებისათვის.

16.5.2.1 <u>გვირაბის შესასვლელი და სატრანსფორმატორო ნაგებობა</u>

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ზემოთაღწერილი კატასტროფული მეწყერის ხეობაში შემოსვლისას, არსებულმა გრუნტის ზედაპირის დონე ამაღლდა 10-12 მეტრით. მდინარე თერგის კალაპოტის დონე ზღვის დონიდან გვირაბის მიპირდაპირედ არის 1320 – 1325 მ, ხოლო გვირაბის შესასვლელი ტერიტორია 1350 მ-დან 1360 მ-მდე. მდინარის კალაპოტის და გვირაბის შესასვლელის დონეთა სხვაობა არის 30 – 35 მ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გვირაბის შესასვლელი ტერიტორია, სადაც განთავსებულია სატრანფორმატორო სადგური და საოფისე შენობა, მეწყერის შემოსვლის ადგილიდან იზღუდება კლდოვანი მთით, რაც გვირაბის შესასვლელის ნაწილობრივ დაცვას და მეწყერული ნაშალის მიმართულების შეცვლა შეუწყობს ხელს. ამის გათვალისწინებით, ნაკლებ სავარაუდოა გვირაბის შესასვლელი აღმოჩნდეს პირდაპირი დარტყმის ქვეშ მეწყერული ჩამონატანისაგან, ხოლო ცენტრალური საავტომობილო გზიდან გვირაბამდე ასასვლელი გზა შესაძლებელია აღმოჩნდეს მეწყერული ჩამონატანის გაშლის ზონაში, რის გამოც განიხილება მომატებული საფრთხის ზონად.

აუცილებლობას წარმოადგენს, გვირაბის შესასვლელთან ხმოვანი განგაშის სიგნალის დამონტაჟება, რომელმაც სიმძლავრით უნდა შეძლოს ხეობაში არსებული ხმაურის გადაფარვა და დროული შეტყობინება ტერიტორიაზე მყოფი პერსონალისათვის, რათა დროულად მოხდეს მათი საევაკუაციო გადაადგილება გვირაბის მიმართულებით.

16.5.2.2 გვირაბი

გვირაბის ნაგებობა განიხილება როგორც ნაკლებად საფრთხიანი ზონა მეწყერული სტიქიის განვითარებისას. გამომდინარე იქედან, რომ მეწყერული მასა წარმოადგენს მყინვარის და მთის ნაშალ ქანს, ატმოსფერული ნალექით გამოწვეული მოწყვეტისას, შესაძლებელია მოხდეს მასის გათხიერება, რაც დინამიურად აიახება მისი გაშლის შესაძლებლობებზე.

მეტი დაზღვევის მიზნით საჭიროა მოხდეს გვირაბის სიღრმეში გადაადგილება არანაკლებ 100 მეტრით.

გამომდინარე მეწყერის წინასწარ განუსაზღვრელი მასშტაბიდან და მომხდარი კატასტროფის გამოცდილებიდან, შესაძლებელია განმეორდეს თერგის ხეობის გადაკეტვა, რაც გამოიწვევს მდინარის დინების შეჩერებას. ამ შემთხვევაში აუცილებელი გახდება ხეობაში სამაშველო სამუშაოების მასიური წარმოება, რომლის დროსაც ხეობაში გადაადგილება გახდება შეუძლებელი, ხოლო გვირაბში მომუშავე პერსონალი, შესაძლებელია დარჩნენ სამუშაო ადგილზე, ხეობის პირველად რეაბილიტაციამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია მოხდეს საკვების და სასმელი წყლის მარაგის დასაწყობება სატურბინე დარბაზის მომსახურე საწყობში, საჭირო პირობების გათვალისწინებით.

აღნიშნული მარაგის აუცილებლობა ასევე განისაზღვრება მკაცრი ზამთრის პირობებით, რადგან გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ხშირია სტეფანწმინდაში მიმავალი გზის და დარიალის ხეობის ბლოკირება, რაც გამოწვეულია მაღალი თოვლის საფარით და თერგის შენაერთი მდინარეების ჩამონატანით.

საკვების და სასმელი წყლის დასასაწყობებელი მარაგის რაოდენობა უნდა განისაზღვროს მომუშავე პერსონალის რაოდენობის მიხედვით, ხოლო მარაგის რაოდენობა უნდა კონტროლდებოდეს მენეჯერების მიერ, რათა არ მოხდეს დეფიციტი საჭიროების შემთხვევაში.

აუცილებლობას წარმოადგენს პირველადი დახმარების აღჭურვილობა, რომელიც აღწერილია ამ დოკუმენტის 18.8 პუნქტში.

16.5.3 მეწყერსაშიში პერიოდი

მეწყერული მოვლენის განვითარება მოხდა გაზაფხულზე, წვიმიანი სეზონისას, ხოლო განმეორდა ზაფხული ყველაზე ცხელ სეზონზე. როგორც უკვე აღინიშნა, მეწყერის კერას

წარმოადგენს მყინვარის არამდგრადი ფერდობი, ხოლო პროვოცირებას იწვევს უხვი წვიმიანი ნალექი და ჰაერის მაღალი ტემპერატურა, მყინვარის ფერდობის გალხობით.

ამის გათვალისწინებით, მომატებულ საფრთხიან პერიოდად განიხილება გაზაფხულის წვიმიანი სეზონი, რაც აპრილის და მაისის მახასიათებელია და ივლისის მეორე ნახევრიდან სექტემბრამდე, როდესაც ჰაერის ტემპერატურა მაქსიმუმს აღწევს.

აუცილებლობას წარმოადგენს მეწყერსაშიში ზონის გავლისას, ტრანსპორტირება მოხდეს შეუჩერებლივ და აიკრძალოს ნელი მოძრაობით გავლა ანდა ავტოტრანსპორტის გაჩერება აღნიშნულ ზონაში.

16.5.4 თანამშრომელთა მოქმედებები მეწყერის განგაშისას

მეწყერის განგაშის შემთხვევაში თანამშრომელთა მხრიდან აუცილებლობას წარმოადგენს შემდეგი:

- შეწყვიტოს ნებისმიერი მოქმედება და დაუყოვნებლივ გაემართოს საევაკუაციო მიმართულებით;
- გამოცხადდეს შეკრების ადგილზე;
- განუმარტოს პასუხისმგებელ პირს მის ადგილსამყოფელზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ და გაიხსენოს, ვიმე ხომ არ იმყოფებოდა მის სიახლოვეს;
- დაელოდოს ინციდენტის მართვის ცენტრის მითითებებს;
- ინციდენტის ამოწურვისას იმოქმედოს ხელმძღვანელი პირების მიცემული დავალებების მიხედვით.

16.6 სახანრო უსაფრთხოება

16.6.1 საერთო მოთხოვნები

„დარიალ ენერჯის“ ჰესის ექსპლუატაციისას პრიორიტეტული ზღვარი ენიჭება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაწესებას და მისი შესრულების კონტროლს. კომპანია ითვალისწინებს საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრხოების მოთხოვნებს და იხელმძღვანელებს კანონით „ ენერგეტიკული ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“.

კომპანიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, რომ მოხდეს პერსონალის სწავლება ტრეინინგები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების გაცნობიერებისათვის, რაც უნდა გამყარდეს პრაქტიკული მეცადინეობებით, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. პერსონალს ჩაუტარდება ცეცხლმაქრების გამოყენების პრაქტიკული სწავლება, რომელსაც ორგანიზებას გაუკეთებს უსაფრთხოების მენეჯერი.

პოტენციური აალების კერების შესწავლა და შეფასება მოხდება წინასწარ და განისაზღვრება აალების შემთხვევაში მოქმედების კონკრეტული გეგმები, სამუშაო ადგილების და უბნების მიხედვით, ხოლო პერსონალს განემარტება მათი როლი და ფუნქციები აალების შემთხვევაში სამოქმედოდ.

საევაკუაციო გეგმები და შეტყობინებების სატელეფონო ნომრები გამოკრული იქნება ყველა სამუშაო უბანზე, ადვილად ხილვად ადგილებში. ასევე გასასვლელებში დამონტაჟდება მიმართულების ამრეკლი მაჩვენებელი, რაც უზრუნველყობს განათების პრობლემის შემთხვევაში სწორი მიმართულების ჩვენებას. გათვალისწინებულია ავარიული განათების სისტემის მონტაჟიც.

ობიექტებზე განთავსდება მექანიკური ავარიული მოხმობის მოწყობილობაც, რომელიც განთავსდება ცეცხლმაქრების სიახლოვეს, მთავარი სახანძრო განგაშის ჩართვამდე თანამშრომელთა დროული შეტყობინებისათვის. ასევე გათვალისწინებულია სახანძრო ქეჩის განთავსება.

16.6.2 სახანძრო უსაფრთხოების სისტემა

ჰესის ყველა შემადგენელი ობიექტი, აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით;

სისტემები მოიცავს როგორც სახანძრო განგაშის, ასევე ავტომატური ხანძარქრობის სისტემას; ობიექტები აღიჭურვება გადასატანი მცირე ზომის ცეცხლმაქრებით, რომლის ტიპიც განისაზღვრება აალების პოტენციური კერის შეფასების შედეგად; ელექტრო მოწყობილობებისათვის გათვალისწინებული იქნება ნახსიროჟანგის შესაბამისი ზომის ცეცხლმაქრები, ხოლო სამუშაო ადგილებზე გამოკრული იქნება ცეცხლმაქრების განლაგების სქემა.

წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე მოხდება სახანძრო სტენდების დამონტაჟება სრული ეკიპირებით, გართულებული აალების შემთხვევაში ეფექტური მოქმედებისათვის.

16.6.3 შეტყობინების სქემა და თანმიმდევრობა ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში

ხანძრის გაჩენის შესახებ შეტყობინება უნდა მოხდეს შემდეგი სქემით განსაზღვრული თანმიმდევრობით:



ხანძრის აღმომჩენი პირი (ინციდენტის პასუხისმგებელი პირი) პირველ რიგში ააქტიურებს ხმოვან შეტყობინებას ყველა თანამშრომლის შესატყობინებლად. ამისათვის იყენებს მექანიკურ ხმოვან სიგნალს და შემდეგ ირთვება საერთო სახანძრო საგანგაშო სიგნალიზაცია.

განგაშის გამოცხადების შემდეგ კეთდება შეტყობინება უშუალო ხელმძღვანელის (წარმოების მენეჯერი), არსებული მდგომარეობის შეფასებით.

წარმოების ხელმძღვანელი ატყობინებს უსაფრთხოების მენეჯერს და ადგილობრივ სამაშველო ჯგუფს. უსაფრთხოების მენეჯერი უკავშირდება სამაშველო ჯგუფის სხვა წევრებს და ერთვება სამაშველო ჯგუფის მოქმედებებში. სამაშველო ჯგუფის მიერ ხდება მდგომარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გამოძახებულ იქნება სახელმწიფო სამაშველო სამსახური. ტექნიკური დირექტორის შეტყობინება ხდება წარმოების მენეჯერი მიერ, რომელიც თავისთავად ატყობინებს გენერალურ დირექტორს.

16.6.4 მოქმედება ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში

ხანძრის კერის ან დაკვამლიანების აღმოჩენის შემთხვევაში თანამშრომელთა მოქმედებათა თანმიმდევრობა უნდა იყოს შემდეგი:

- ჩაირთოს სახანძრო განგაშის სისტემა;
- დაუყოვნებლივ მოხდეს ხელმძღვანელის და უსაფრთხოების მენეჯერის შეტყობინება;
- უნდა შეწყდეს ყველა ტიპის სამუშაო, გარდა უსაფრთხოების ზომებისა;
- უნდა მოხდეს სიტუაციის შეფასება, ხანძრის კერის და მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერება;
- ხანძრის დიდი კერის არსებობისას, ჩაირთოს ავტომატური ხანძარმქრობი სისიტემა;
- მცირე მასშტაბის შემთხვევაში მოხდეს ცეცხლმაქრების გამოყენება;
- შეძლებისდაგვარად ტექნიკის და სხვა დანადგარ-მოწყობილობების იმ ადგილებიდან გაყვანა/გატანა, სადაც შესაძლებელია ხანძრის გავრცელება;
- ელექტრომოწყობილობები უნდა ამოირთოს წრედიდან;

იმ შემთხვევაში თუ ხანძარი მძლავრია და გაძნელებულია ხანძრის კერასთან მიდგომა, ამავე დროს მიმდებარედ განლაგებულია რაიმე ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში უბნები/ნივთიერებები, მაშინ:

- პერსონალი უნდა მოშორდეს სახიფათო ზონას:
  - ✓ მოახდინონ შეტყობინება ხელმძღვალთან და უსაფრთხოების მენეჯერთან;
  - ✓ ევაკუირებისას იმოქმედონ საევაკუაციო სქემის მიხედვით;
  - ✓ კვამლიანი დახურული სივრცის გადაკვეთისას დაიხარონ, რადგან ჰაერი ყველაზე სუფთა იატაკთანაა, ცხვირზე და პირზე აიფარონ ნაჭერი (სასურველია წყლით დასველებული);
  - ✓ ევაკუაციის შეუძლებლობისა ალმოდებული გასასვლელის გამო ხმამაღლა მოუხმონ მშველელს;
  - ✓ ავარიის შესახებ შეტყობინება გადასცენ ხელმძღვანელს და უსაფრთხოების მენეჯერს;
  - ✓ დაელოდონ სამაშველო რაზმის გამოჩენას და მათი მოსვლისას გადასცენ დეტალური ინფორმაცია ხანძრის მიზეზების და ხანძრის კერის სიახლოვეს არსებული სიტუაციის შესახებ;

იმ შემთხვევაში თუ ხანძარი არ არის მძლავრი, ხანძრის კერა ადვილად მისადგომია და მასთან მიახლოება საფრთხეს არ უქმნის პერსონალის ჯანმრთელობას, ამასთან არსებობს მიმდებარე ტერიტორიებზე ხანძრის გავრცელების გარკვეული რისკები, მაშინ პერსონალი იმოქმედებს შემდეგნაირად:

- ხანძრის შესახებ შეტყობინება გადასცენ უფროს და უსაფრთხოების მენეჯერს;
- მოძებნონ უახლოესი სახანძრო სტენდი და მოიმარაგონ საჭირო სახანძრო ინვენტარი (ცეცხლმაქრობი, ნაჯახი, ძალაყინი, ვედრო და სხვ);
- ხანძრის კერის ლიკვიდაცია მოახდინონ ცეცხლმაქრით, მასზე დატანილი წარმოდგენილი ინსტრუქციის მიხედვით;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძრის კერის სიახლოვეს განლაგებულია წრედში ჩართული ელექტრო მოწყობილობა, გამორიცხული უნდა იყოს ცეცხლის ჩასაქრობად წყლის გამოყენება;
- დახურულ სივრცეში ხანძრის შემთხვევაში არ გაანიავონ ოთახი/სივრცე (განსაკუთრებული საჭიროების გარდა), რადგან ჰაერში არსებული ჟანგბადი უფრო მეტად უწყობს ხელს წვას და ხანძრის მასშტაბების ზრდას.

ელექტრობიდან მომდინარე ხანძრის შემთხვევაში, აუცილებლობას წარმოადგენს ელექტრობის წყაროდან გამორთვა და შემდეგ რეაგირება ცეცხლის ჩასაქრობად.

ინციდენტის ლოკალიზების ჯგუფმა უნდა იმოქმედოს შემდეგი თანმიმდევრობით:

- შეატყობინონ ხანძრის გაჩენის შესახებ ინციდენტის მართვის ცენტრს და სახანძრო დაცვას.
- არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ადამიანთა გადასარჩენად;
- შეამოწმონ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემის (ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ხანძრის ჩაქრობის, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის) მუშაუნარიანობა;
- საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია (გარდა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა), შეაჩერონ მოწყობილობების, აგრეგატების, აპარატების მუშაობა, გადაკეტონ საწვავის, გაზის, ორთქლის და წყლის კომუნიკაციები, შეაჩერონ ავარიულ და მასთან მომიჯნავე სათავსებში სავენტილაციო სისტემების მუშაობა;
- შეასრულონ სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;
- შეწყვიტონ ობიექტზე მიმდინარე ყველა სამუშაო (თუ ეს წარმოების ტექნოლოგიური პროცესით დასაშვებია), გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან;
- გაიყვანონ საშიში ზონის ფარგლებს გარეთ ყველა თანამშრომელი, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში;
- სახანძრო დაცვის დანაყოფის მოსვლამდე განახორციელონ ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა (ობიექტის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით);
- უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების და მოთხოვნების დაცვა;
- ხანძრის ჩაქრობასთან ერთად ორგანიზება გაუწიონ მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციას და დაცვას;
- ორგანიზება გაუწიონ სახანძრო დაცვის დანაყოფების შეხვედრას და მათთვის დახმარების აღმოჩენას ხანძრის კერასთან მისასვლელი უმოკლესი გზების შერჩევაში;
- მეხანძრეთა პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიაწოდონ ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო სამაშველო სამუშაოებში მონაწილე სახანძრო დაცვის დანაყოფებს ცნობები იმ საშიში და ფეთქებადი ნივთიერებების შესახებ, რომლებიც ინახება ობიექტზე.
- სახანძრო დაცვის დანაყოფის მისვლისთანავე მიაწოდოს ინფორმაცია მეხანძრეთა ჯგუფის ხელმძღვანელს ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობების, სათავსების და ნაგებობების შესახებ, შენახული და გამოსაყენებელი ნივთიერებების, მასალების, ნაწარმის რაოდენობასა და ხანძარსაშიშ თვისებებზე და ხანძრის წარმატებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემებზე, აგრეთვე გაუწიოს ორგანიზება ობიექტის ძალებისა და საშუალებების ჩაბმას ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში.

ელექტროგაყვანილობებსა და ელექტრო აგრეგატებზე წყლის გამოყენება, სისტემაში ელექტროენერგიის ამორთვამდე აკრძალულია.

16.6.5 ევაკუაცია ხანძრის შემთხვევაში

ევაკუაციის საჭიროებისას, ორგანიზება უნდა მოხდეს ობიექტის და უსაფრთხოების მენეჯერის მიერ. გადაადგილება უნდა განხორციელდეს არსებული ავარიული მიმართულებით და გამორიცხული იყოს სხვა გზებით და გასასვლელებით სარგებლობა.

ავარიული გასასვლელები მუდმივად უნდა კონტროლდებოდეს სისუფთავესა და ადვილად გამავლობაზე და არ უნდა იყოს გადატვირთული რაიმე საგნებით და მასალებით. პერსონალის შეკრება ევაკუაციისას უნდა განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრულ თავშეყრის ადგილზე, სადაც მოხდება გარკვევა რომელიმე თანამშრომლის არყოფნასთან დაკავშირებით. თავშეყრის ადგილზე გამოცხადება წარმოადგენს აუცილებლობას, რათა დროულად მოხდეს არ გამოცხადებული თანამშრომლის სამძებრო-სამაშველო სამუშაოების დაგეგმვა.

თანამშრომლის არ გამოცხადების შემთხვევაში, დადგინდება მისი პიროვნება და სამუშაო ადგილი; სხვა თანამშრომლების დახმარებით მიღებული იქნება ინფორმაცია მისი ბოლო სავარაუდო ადგილსამყოფელის შესახებ და ეს მონაცემები გადაეცემა ადგილობრივ სამაშველო ჯგუფს; სამაშველო ჯგუფი მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სწრაფად მოახდენს თანამშრომლის მოძიებას და მისი მდგომარეობის შეფასებას.

თავშეყრის ადგილები მოეწყობა ჰესის კომპლექსის ყველა ნაგებობის უსაფრთხო და ადვილად მისაღწევ ადგილებში, სადაც დაიდგმება თავშეყრის ადგილის აღმნიშვნელი ნიშნები.

ეფექტური ევაკუაციის განსახორციელებლად, მოეწყობა პრაქტიკული სავარჯიშოები, სასწავლო განგაშის ჩართვით და თანამშრომელთა მოქმედებებზე დაკვირვებით. აუცილებლობას წარმოადგენს სასწავლო განგაშისას სამუშაო ადგილის დატოვება და თავშეყრის ადგილზე სასწრაფო გამოცხადება.

16.7 ქიმიური ნივთიერებების და საწვავის დაღვრა და პრევენციული ზომები

16.7.1 ქიმიური ნივთიერებები

ქიმიური ნივთიერებები, მათი გამოყენება და დასაწყობება პოტენციური საფრთხის მატარებელია, რის გამოც უსაფრთხოების ზომების გატარება მათი გამოყენებისას წარმოადგენს აუცილებლობას. საფრთხის მახასიათებელი თვისებების შესახებ დეტალური აღწერილობა ქიმიური ნივთიერებების შესახებ მოცემულია „მასალათა უსაფრხოების მონაცემთა ცხრილში" (MSDS), რის გამოც აღნიშნული დოკუმენტის გამოყენება წარმოადგენს აუცილებლობას. მონაცემთა ცხრილში აღნიშნული მახასიათებლები (პიველადი დახმარება ნივთიერებით დაზიანებისას, აალების განეიტრალება და სხვა) გაცნობილი იქნება ნივთიერებებთან მომუშავე პერსონალისათვის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ. დოკუმენტის შენახვა მოხდება ნივთიერების განთავსების ადგილზე და უსაფრთხოების მენეჯერის დოკუმენტებთან.

გამომდინარე ნივთიერებების საფრთხის შემცველობისა, „დარიალ ენერჯის" მენეჯმენტი უზრუნველყოფს:

- აირიდოს კარცენოგენური, მუტაგენური და ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენება, ხოლო გარდაუვალი აუცილებლობისას მოახდინოს შეანხვის, გამოყენების და მასთან მუშაობის უსაფრთხოების ზომები, რისკების შეფასების გათვალისწინებით;
- შექმნას ნივთიერებების დასაწყობების პირობები, დამამზადებლის მოთხოვნების მიხედვით და უზრუნველყოს მათი კონტროლი;

დაღვრის შემთხვევაში განხორციელდება დაუყოვნებლივი მოქმედება, დაღვრის ადგილის მოვლის, დაბინძურებული მასალების სწორად განთავსების და მომუშავეთა მოწამვლის ინტოქსიაკაციის შესაძლებლობის გამორიცხვისათვის.

განსაზღვრულია, რომ არ იქნება გამოყენებული შემდეგი ნივთიერებები:

- ნებისმიერი ტიპის რადიოაქტიური შემცველობით;
- აზბესტი;
- პოლიქროლინბიფენოლი და მისი შემცველობით;

მოხდება ქიმიური ნივთიერებების მარკირება და ეტიკეტირება. ეტიკეტზე დატანილი იქნება ნივთიერების სახელი და საფრთხის ნიშანი (აალების, ტოქსიკურიბის, კოროზირებადი და სხვა).

ქიმიურ ნივთიერებების გამოყენებისას აუციელბელია შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

- მწარმოებლის მიერ შემუშავებული „უსაფრთხოების მონაცემთა ამსახველი დოკუმენტაციის (MSDS) გამოყენება, რომელიც უნდა ინახებოდეს მასალების დასაწყობების ადგილზე და უსაფრთხოების მენეჯერის დოკუმენტებთან;
- ნივთიერებების დასაწყობება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
- დასაწყობება უნდა მოხდეს განცალკევებულად, მათი მათი მახასიათებლების მიხედვით (მაგ, ცალკე აგრესიული, ცაკლე კოროზიული, ცალკე მჟანგავი, ცალკე აალებადი და ა.შ);
- აუცილებლობას წარმოადგენს უსაფრთხოების მონაცემთა დოკუმენტით განსაზღვრული პირადი დამცავი მოწყობილებების გამოყენება;
- დიდი მოცულობის ჭურჭლების გადატანა სასურველია განხორციელდეს სპეციალური გადასატანი საშუალებით (ურიკა, საგორავი და სხვა); უნდა გამოირიცხოს მოცულობით ჭურჭლის გადატანა პერსონალის მიერ არარეკომენდებული ხეხრით (გადაორება, გასრიალება ან სხვა);
- გამოყენებული დაცარიელებული ჭურჭლის განთავსება უნდა მოხდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული და ნარჩენების მართვის მოთხოვნების გათვალისწინებით (სახიფათო, არასახიფათო და ა.შ);
- აკრძალულია ერთი ტიპის ქიმიურ ნივთიერების ჭურჭელში სხვა შემადგენლობის ნივთიერების განთავსება ან ნივთიერებების შერევა;

ქიმური ნივთიერებების შესახებ თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ სწავლება/ტრეინინგი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:

- საფრთხის ტიპს და რისკის დონეს;
- დადგენილო საკონტროლო ღონისძიებების მნიშვნელობას და გამოყენებას;
- პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენების მნიშვნელობას;
- დავრის შემთხვევაში საჭირო მოქმედებების აუცილებლობას და თანმიმდევრობას;
- დასაწყობების პირობების მნიშვნელობას;

16.7.2 საწვავისა და საპოხ-საცხები (ლუბრიკანტები) მასალების დასაწყობება და გამოყენება

საწვავის და ლუბრიკანტების შენახავა გამოყენებისას, აუცილებლობას წარმოადგენს შემდეგი მოთხოვნების შესრულება;

- საწვავის დასაწყობება უნდა მოხდეს არანაკლებ 50 მეტრის მოშორებით მდინარიდან და წყლის გამდინარე წყაროებიდან;
- საწვავის ჭურჭელი უნდა განთავსდეს სპეციალურად მოწყობილ შემოსაზღვრულ ადგილზე, რომელსაც დაღვრის შემთხვევაში ექნება დაღვრის შეკრების შესაძლებლობა, დასაწყობებული საწვავი 110 %-ის მოცულობით;
- ჭურჭლების ეტიკეტირება უნდა მოხდეს შემცველობის დასახელებით და საფრთხის თვისების მახასიათებელი ნიშნებით (აალებადი);

- ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს მშრალი ფხვნილის ცეცხლმაქრების საჭირო რაოდენობა;
- თუ დასაწყობებული საწვავის რაოდენობა აღემატება 1 მ³:
    - ✓ მაშინ ჭურჭლისათვის (რეზერვუარისთვის) მოწყობილი უნდა იყოს დამიწების სისტემა და საწვავის შევსება და ჩამოსხმა უნდა მოხდეს დამიწების გამოყენებით;
    - ✓ უნდა მოეწყოს საწვავის ჩამოსხმის სტანდარტული სისტემა დისპენსერის გამოყენებით;
    - ✓ რეზერვუარი უნდა აღიჭურვოს გადავსების საწინააღმდეგო სისტემით;
    - ✓ შევსებისას შემჩნეული გაჟონვის შემთხვევაში დაუყოვნებლის უნდა შეწყდეს შევსების პროცესი;
    - ✓ რეზერვუარის და დისპენსერის შემარეთებელი სისტემა უნდა იყსო ჰერმეტული, ხოლო დარღვევის აღოჩენისას უნდა შეწყდეს ფინქციონირება დაღვრის ადგილის მოვლის და ჰერმეტულობის მიზეზის სტანდატულად აღმოფხვრამდე;
    - ✓ საწვავის დაღვრისას საჭიროა გაჟონვის ადგილის დაუყოვნებელი გადაკეტვა, იმავდროულად უნდა განხორციელდეს ხანძარსაშიში სიტუაციების ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია;
    - ✓ რეზერვუარის და მისი შეერთებების შემოწმება დაღვრაზე უნდა ხდებოდეს ყოველდრიულად;
    - ✓ რეზერვუარიდან გაჟონვის დადასტურებისას, უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ შეტყობინება და მიღებულ იქნას ზომები მისი ლოკალიზებისათვის;
    - ✓ ინციდენტის ლოკალიზების ჯგუფის მიერ რეზერვუარიდან ამოტუმბულ უნდა იქნას მასში არსებული ნავთობპროდუქტების რაოდენობა და გადატანილ იქნას სარეზერვო სათავსში;
    - ✓ უნდა დადგინდეს დაღვრილი/გაჟონილი ნავთობპროდუტების რაოდენობა;
    - ✓ გრუნტის ნავთობპროდუქტებით დაბინძურების შემთხვევაში უნდა დაიგეგმოს გამოსასწორებელი ღონისძიებები შემდეგი თანმიმდევრობით:
        1. შეჩერდეს რეზერვუარის ექსპლუატაცია;
        2. განისაზღვროს გაჟონვის ზუსტი ადგილი და ფართობი;
        3. გამოირთოს რეზერვუარების სიახლოვეს ელექრო კვება;
        4. რეზერვუარის მიმდებარე ტერიტორია უნდა გაიწმინდოს დაღვრილი ნავთობპროდუქტებისაგან აბსორბენტების და ქვიშის გამოყენებით;
        5. რეზერვუარი უნდა დამუშავდეს დაორთქლებით;
        6. დაიგეგმოს და შესრულდეს რეზერვუარის აღდგენითი სამუშაოები;
        7. ექსპლუატაციაში გაშვებამდე მოხდეს ჰერმეტულობაზე შემოწმება;

- საწვავის დასასაწყობებელ ადგილებზე აუცილებელია შესაბამისი რაოდენობის აბსორბენტების და ქვიშის განთავსება, დაღვრის შემთხვევაში გამოყენებისათვის;

16.8 მოქმედება პერსონალის დაშავების შემთხვევაში

ობიექტზე მომხდარი ნებისმიერი სახის თანამშრომლის/პერსონალის დაზიანების შემთხვევაში, თანამშრომელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს უშუალო უფროსს, დაზარალებს გაუწიოს პირველადი დახმარება და გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება (სერთიფიცირებული თანამშრომლისაგან დაზიანების ხარისხის შეფასების მიხედვით).

„დარიალ ენერჯი" უზრუნველყოფს ჰესის კომპლექსის ყველა ნაგებობის სამუშაო უბნებზე იყოს პირველადი დახმარების აღმომჩენი 1 ან 2 პირი, რომელიც იმოქმედებს ადგილობრივი სამედიცინო სამსახურის მოსვლამდე; შეაფასებს დაზარალებულის მდგომარეობას, აღმოუჩენს პირველად დახმარებას და დაეხმარება ადგილობრივ სასწრაფო სამედეცინო სამსახურს დაზარალებულის მდგომარეობის ინფორმირებაში, დაზიანების გამომწვევის მიზეზის დასახელებით.

შესაძლებელია განიხილებოდეს დაზარალების ევაკუაცია ადგილობრივი ძალებით. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს პირველადი დახმარების აღმომჩენის მიერ ტრანსპორტირებაზე თანხმობა, რომელიც თავისთავად ათანხმებს ტრანსპორტირების შესაძლებლობას პროვაიდერი კლინიკის ან ადგილობრივი სტანიონარის ექიმთან. მათი დასტურის შემთხვევაში, დაზარალებული ტრასნპორტირება უნდა მოხდეს ექიმების მიერ მითითებული მეთოდით და დაზარალებულის მუდმივი მეთვალყურეობით.

ობიექტზე მომხდარი თანამშრომლის/პერსონალის დაზიანება - დაშავების ნებისმიერი ფაქტი უნდა იყოს სპეციალურ ჟურნალში დასაბუთებული გამომწვევი მიზეზის და მომხდარი გარემოებების განმარტებით.

ყველა ობიექტზე განთავსებული უნდა იყოს პირველადი დახმარების ყუთი საჭირო აღჭურვილობით, საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე გადაუდებელი სასწრაფო დახმარების აღმოჩენისათვის.

პირველადი დახმარების ყუთის შემადგენობის ჩამონათვალი:

N	დასახელება	რაოდენობა
1.	პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია	1
2.	პირველადი დახმარების ყუთის შიგთავსის ჩამონათვალი და მისი გამოყენების აღრიცხვის ჟურნალი	1
3.	უალკოჰოლო ანტისეპტიკური საფენები	10
4.	წებოვანი ლეიკოპლასტირის სახვევი	20
5.	კისრის ფიქსატორი	1
6.	სტერილური ბინტი 7.5 x 4.5 სმ.	2
7.	სტერილური ბამბა	1
8.	სტერილური ჭრილობის სახვევი	2
9.	ლატექსის ხელთათმანები	1
10.	მაკრატელი	1
11.	ქინძის თავი („ბულავკა")	12
12.	სტერილური თვალის საფენები	1
13.	სამკუთხა სახვევი	2
14.	ამიაკის ხსნარი	1
15.	წყალბადის ზეჟანგი	1
16.	ტკივილდამაყუჩებელი (აბი - „კეტამო")	1

17.	დამწვრობის წამალი (მალამო - „სალბესანი“)	1

16.9 მოწყობილობის ტექნიკური დაზიანება

არსებული მოწყობილობების და მანქანა დანადგარების ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი ინსტრუქციების და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული „ელექტროსადგურების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების“ მიხედვით. მათი შემოწმება და ინსპექტირება უნდა განხორციელდეს წინასწარ დაგეგმილი პერიოდულობით. შემოწმებისათვის უნდა მომზადდეს კითხვარი (ჩეკლისტი), მოწყობილობის მთავარი და დამხმარე ნაწილების ჩამონათვალით, რომლის გასწვრივ უნდა აღინიშნოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი მდგომარეობა და გამოსასწორებელი ღონისძიების პრევენციული ზომა.

ტერნიკური მოწყობილობის ექპსლუატაციისას, მუდმივი კონტროლი უნდა დაწესდეს მათი სამუშაო მდგომარეობიდან მომდინარე მახასიათებლებზე როგორიცაა: ხმაური, ვიბრაცია, სამუშაო წნევის დონე (არსებობის შემთხვევაში), შეერთებები და ა.შ.

ნებისმიერი ზემოთაღნიშნული მახასიათებლის ცვლილებისას, ოპერატორმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს უშუალო უფროსს და მიიღოს მითითებები შემდგომი მოქმედების შესახებ.

16.10 ფიზიკური დაცვის თანამშრომელთა მომქმედებები ობიექტზე თავდასხმის ან სხვა სახის დარღვევების აღმოჩენისას

ობიექტზე თავდასხმის ან სხვა სახის დარღვევების აღმოჩენისას დაცვის თანამშრომები ვალდებულია:

- დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს და უშუალო უფროსს;
- დაცვის თანამშრომელი არ უნდა ეცადოს პრობლემის ძალისმიერი მეთოდით მოგერიებას, მანამ სანამ არ არის ამოწურული სხვა სიტყვიერი საშუალებები ხოლო ექსტრემალურ მდგომარეობაში იმოქმედოს გააზრებულად;
- დაცვის თანამშრომელი ვალდებულია პირადად ან უფროსის საშუალებით ოპერატიულად გამოიძახოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები (დაცვის პოლიცია და საპატრულო პოლიცია) და იმოქმედოს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში;
- არ დაუშვას მატერიალურ ფასეულობათა გატანა სათანადო დოკუმენტაციის არსებობის და მისი რეგისტრაციის გარეშე;
- თანამშრომელი ვალდებულია პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალების გამოყენებით დაზარალებულ პირს, დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსს, თუ ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალების გამოყენების შედეგად პირი დაშავდა;
- დაცვის ობიექტიდან გააძევოს პირი, რომელიც უნაბართვოდ იმყოფება დაცვის ობიექტზე ან არღვევს ობიექტზე დადგენილ წესრიგსა და რეჟიმს;
- უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლის მისვლამდე დაიცვას დანაშაულის ადგილი და ქონება თუ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას. თუ აღნიშნული ქმედება გამოიწვევს მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობას, დაუკავშირდეს უშუალო უფროსს და გამოიძახოს დამხმარე ძალა;

- თანამშრომელს ეკრძალება ისეთი ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალების გამოყენება, რომელიც იწვევს ადამიანის დაშავებას, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან იკრძალება საერთაშორისო კონვენციებით და სხვა საერთაშორისო აქტებით.
- ტექნიკური უსაფრთხოების ინციდენტის შემთხვევაში დაცვის თანამშრომელი აკონტროლებს ობიექტს და აწარმოებს შემთხვევის ადგილზე დაშვების კონტროლს.
- იღებს ინსტრუქციას უშუალო უფროსის და ინციდენტის მართვის ცენტრის თანამშრომლებისაგან და უზრუნველყოფს მის შესრულებას.

16.11მოქმედება ავტოსაგზაო შემთხვევისას

საგანგებო მდგომარეობად განიხილება შემდეგი მდგომარეობები:

- ნებისმიერი მასშტაბის ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ნებისმიერი მასშტაბის აალება;
- ავტომანქანის ელექტროგაყვანილობის მდგომარეობიდან გამოსვლა;
- სავალი ნაწილების და მექანიზმის მდგომარეობიდან გამოსვლა;
- ბუნებრივი მოვლენებისაგან გამოწვეული შესაძლო საფრთხე (მიწისძვრა, ქარიშხალი, მეწყერი წყალმოვარდნა, ატმოსფერული განმუხტვა, მეწყერი, გართულებული ხილვადობა გზაზე, ზამთრის პირობებში მოძრაობის შემაფერხებელი გარემოება ან სხვა).

ყველა შესაძლო ავარიული მდგომარეობის დროს მოქმედებების გეგმა და თანმიმდევრობა განსაზღვრული უნდა იყოს ტრანსპორტირების განყოფილების მიერ და მათ მიერ პერიოდულად უნდა ჩატარდეს ავარიულ სიტუაციებში მოქმედების სწავლებები.

ნებისმიერი საგანგებო სიტუაციის შეფასება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად და მიღებულ იქნას თანმიმდევრული ზომები შექმნილ მდგომარეობაში არსებული საფრთხეების გასანეიტრალებლად.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს უნდა მოხდეს ხელმძღვანელობის შეტყობინება და გამოძახებულ იქნას საპატრულო სამსახური.

ავტოსაგზაო შემთხვევისას, პერსონალის დაზიანების შემთხვევაში შეტყობინებულ უნდა იქნას სასწრაფო სამედიცინო სამსახური, ხოლო დაზარალებულს უნდა ჩაუტარდეს პირველადი სამედიცინო დახმარება.

ავტოსაგზაო შემთხვევისას წარმოქმნილი აალების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს შეტყობინება სახანძრო სამსახურის და გამოყენებულ იქნას ცეცხლის ქრობის საშუალებები აალების გასანეიტრალებლად. ცეცხლმაქრები გამოყენებულ უნდა იქნას უცხო პირის ავტომანქანის აალების გასანეიტრალებლადაც, თუ ეს ავტომანქანა საფრთხეს უქმნის „დარიალ ენერჯის“ საკუთრებაში არსებულ ავტოტრანსპორტს.

16.12თანამშრომელთა ტრეინინგები და მზადყოფნა საგანაგებო მდგომარეობაში მოქმედებათა შესახებ

თანამშრომელთა ავარიულ მდგომარეობაში მოქმედებების საკითხებში მომზადება და სწავლება უნდა მოხდეს წინასწარ, მათი სამუშაოს დაწყებამდე, „დარიალ ენერჯის“ უსაფრთხოების და წარმოების მენეჯერების მიერ. ჰესის ექსპლუატაციაში ჩართულმა ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს საგანგებო მდგომარეობაში მოქმედებების შესახებ პერიოდული სწავლება. პერიოდულობა განისაზღვრება თანამშრომლის პოზიციის და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის მიხედვით. სწავლებები უნდა მოეწყოს

წელიწადში ერთხელ, ექვს თვეში ერთხელ, სამ თვეში ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში ყოველთვიური სიხშირით. უნდა მოეწყოს შესაძლო საგანგებო მდგომარეობის შექმნისას თანამშრომელთა მოქმედებების სწავლების პრაქტიკული მეცადინეობები. სწავლება უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებს:

- მოქმედება მეწყერის განგაშის შემთხვევაში;
- მოქმედება პერსონალის დაშავების შემთხვევაში;
- პირველადი დახმარების აღმოჩენა;
- ხანძრის ქრობის საშუალებების გამოყენება;
- აალების განეიტრალება ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით (პრაქტიკული);
- პერსონალის უსაფრთხო ევაკუაცია თავშეყრის ადგილზე;
- დაღვრის ლოკალიზების თანმიმდევრობა;
- დაღვრის საწინააღმდეგო მოწყობილობის გამოყენება;
- ელექტრო უსაფრთხოების მოთხოვნები;
- საფრთხის შეფასება და ანალიზი;
- რისკების შეფასებ;
- ავარიული სიტუაციის შეფასება (მოქმედებათა დაგეგმვა, თანმიმდევრობა და მოქმედებების განხორციელება);
- მოქმედებები ექსტრემალურ პირობებში (გართულებული ატმოსფერული მოვლენები).

თანამშრომელთა სწავლებების ორგანიზება, მიმდინარეობა, ტესტირება და რეზულტატები უნდა იყოს დოკუმენტირებული, რომლის განახლება უნდა მოხდეს ყველა სწავლების სეზონის მიხედვით.

16.13 ინციდენტის მართვის ჯგუფის საკონტაქტო ინფორმაცია

(ივსება ინდივიდუალურად ყველა ობიექტისათვის)

დარიალ ენერჯის ინციდენტის მართვის გუნდი				
სახელი და გვარი	თანამდებობა	პოზიცია	ტელეფონი #	ალტერნატივა
1	2	3	4	6
	გენერალური დირექტორი	ინციდენტის მართვის ცენტრი		
	ტექნიკური დირექტორი	ინციდენტის მართვის ცენტრი		
	დაცვის სამსახურის უფროსი	ინციდენტის მართვის ცენტრი		
	ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსი	ინციდენტის მართვის ცენტრი		
	ჯანდაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი	ინციდენტის მართვის ცენტრი		
	მთავარი ინჟინერი	ინციდენტის მართვის ცენტრი		
	მაკონტროლებელი შენობის უფროსი	ინციდენტის მართვის ცენტრი		
	სატურბინე და საგენერატორო ნაგებობის უფროსი	ინციდენტის მართვის ცენტრი		

	სათავე ნაგეგობის უფროსი ოპერატორი	ინციდენტის მართვის ცენტრი		
	სალექარის უფროსი ოპერატორი	ინციდენტის მართვის ცენტრი		
საქალაქო სამაშველო სამსახური				
პოლიცია	საქალაქო სამაშველო სამსახური		112	122
საქალაქო სახანძრო სამსახური	საქალაქო სამაშველო სამსახური		112	111
სასწრაფო სამედიცინო დახმარება	საქალაქო სამაშველო სამსახური		112	113
პოლიციის დაცვის სამსახური	საქალაქო სამაშველო სამსახური		112	125

17.0 გარემოსდაცვითი მოთხოვნები

„დარიალ ენერჯის“ გარემოსდაცვითი პოლიტიკა შექმნილია გარემოზე ზემოქმედების მინუმუმამდე შემცირების მიზნით. დარიალჰესის განლაგების სენსიტიურობიდან გამომდინარე, მშენებლობის დაწყებამდე, კომპანიამ მოახდინა მოცულობითი გარემოსდაცვითი ზომების გატარება, რაც გამოიხატება გარემოზე ზემოქმედების შესაძლებლობის, ძირითადი საკითხების კვლევასა და შეფასებაში;
მომზადებულია შემდეგი კვლევები:

1. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
2. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (არატექნიკური რეზიუმე);
3. დარიალი ჰესის მშენებლობის ზემოქმედება დარიალის ხეობის და თერგის ესთეტიკურ ფასეულობაზე;
4. ექსპერტების რეკომენდაციები წყლის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესახებ;
5. დარიალის ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედება ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაზე;
6. საექსპერტო დასკვნა ხმელეთის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე, დარიალის ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო ტერიტორიზე და საკომპენსაციო საიტებზე;
7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა;
8. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმ;
9. კულტურულ მემკვიდრეობებობასთან დაკავშირებული და დარიალი ჰესის საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევის ანალიზი.

კვლევები ჩატარდა როგორც ადგილობრიცი კვალიფიციური კომპანიების და ჯგუფების, ასევე საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული კვლევითი ინსტიტუტების მიერ.

კვლევით გათვალისწინებული დასკვნები და რეკომენდაციები „დარიალ ენერჯის“ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის შესრულების მკაცრი მონიტორინგი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

რეკომენდაციებით მიღებული გეგმების შესრულება გაწერილია პროგრამით, რომლის უზრუნველყოფას და შესრულებას კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს.

მშენებლობის პროცესში ხდება კონტრაქტორი მშენებელი კომპანიების მკაცრი კონტროლი, გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად. კონტრაქტორებისათვის შემუშავდა გარემოსდაცვითი გეგმა, რომლის შესრულების მონიტორინგს მუდმივ რეჟიმში ახორციელებსა „დარიალ ენერჯის" გარემოსდაცვითი მმართველი.

დარიალის ჰიდროელექტროსადგური აღჭურვილია უმაღლესი დონის თევზსავალით, რომელიც მაქსიმალურად ბუნებრივ პირობებს შეუქმნის ადგილობრივი მდინარის იქტიოფაუნას. კომპანიისათვის მნიშვნელოვანია წყლის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ამ მიზნით შემუშავდა „წყლის ბიომრავალფეროვნების კვლევისა და მონიტორინგის პროგრამა" საერთაშორისო გარემოსდაცვითი კომპანია „ბლუ რივერსის" მიერ.

პროექტს გააჩნია პოტენციალი, იყოს პირველი ენერგო-პროექტი საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს კარბონნეიტრალურ მშენებლობას. კომპანია ამჟამად ავითარებს ტყის განაშენიანების პროექტს, რომელიც დამატებით სარგებელს მოუტანს ადგილობრივ ეკო სისტემას, რაც მოიცავს ტყის მასივების გაშენების კომპონენტს, რომლის მიზანია პროექტის მთლიანი მიმდინარეობისას წარმოქმნილი გამონაბოლქვის სრული კომპენსირება მცენარეების მიერ ნახშირბადის შთანთქმის გზით. ამასთან, შესაბამის უწყებებთან ერთად ტყის მასივების აღდგენის პროგრამას გააჩნია პოტენციალი, გახდეს ნახშირბადისგან თავისუფალი მშენებლობის პირველი პროექტი საქართველოში.

გამომდინარე გარემოზე ზემოქმედების პრიორიტეტიდან და ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას განსაზღვრული აქვს „გარემოსდაცვითი მმართველის" პოზიცია, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი საკითხების ორგანიზებას, გეგმების და სამუშაო პროცედურის განსაზღვრას.

ძირითადი გარემოსდაცვით საკითხებს ჰესის კომპლექსის ექსპლუატაციიას წარმოადგენს:

- ჩამონატანი ნალექების მართვის ორგანიზება;
- ნარჩენების მართვის ორგანიზება.

ორივე მნიშვნელოვანი საკითხის ორგანიზებისათვის, მომზადდება გეგმა, ორგანიზების დეტალური აღწერილობით, სადაც განსაზღვრული იქნება როგორც ჩამონატანი ნალექების, ასევე წარმოქმნილი ნარჩენების მოვლის მეთოდები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი გარემოში მოხვედრისაგან დაცვა.

ძირითადი გარემოსდაცვითი მოთხოვნები, ჰესის ექსპლუატაციისათვის იქნება შემდეგი:

- მოხდეს თანამშრომელთა გადამზადება გარემოსდაცვით საკითხებში;
- ობიექტებზე მუდმივად შევინარჩუნო სისუფთავე და განვახორციელოთ ნარჩენების მართვა;
- მინიმუმამდე შემცირდეს ნარჩენების რაოდენობა;
- წარმოქმნილი ნარჩენები დაექვემდებაროს სეგრეგაციას და განთავსდეს შესაბამის ურნებში;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტთან უკვე არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, ხოლო სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის, შეირჩეს შესაბამისი ადგილი და დასაწყობება მოხდეს სტანდარტების მიხედვით, მის ტერიტორიიდან გატანამდე;
- ობიექტები უნდა აღიჭურვოს დაღვრის საწინააღმდეგო მოწყობილობებით;
- საწვავის დასაწყობება მოხდეს სტანდარტების გატვალისწინებით, არანაკლებ 50 მ-ში მდინარის და სხვა წყლის წყაროს მოშორებით;
- საწვავის შევსებაზე მომუშავე ოპერატორს, ჩაუტარდეს სწავლება უსაფრთხო შევსებასა და დაღვრის დროს მოქმედებაზე;
- ქიმიური ნივთიერებები, გამხსნელები, საღებავები და სხვა სახიფათო ნივთიერებების დასაწყობება მოხდეს განცალკევებით;

- ექსპლუატაციის დაწყებამდე მოხდეს რისკების შეფასება, განისაზღვროს და დამკვიდრდეს პრევენციული ზომები და უზრუნველყოფილ იქნას სესრულების მუდმივი მონიტორინგი;
- დაღვრის პრევენციის მიზნით, დაწესდეს ობიექტზე არსებული მოწყობილობების და დანადგარების პერიოდული ინსპექტირება;
- მკაცრად გაკონტროლდეს ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება;
- ქიმიური ნივთიერებები და საწვავ - საპოხი მასალების დასაწყობება მოხდეს ორმაგი კედლის მქონე, დამატებით ჭურჭელში;
- გარემოსდაცვითი ინციდენტის შემთხვევაში, ზემოთაღწერილი პროცედურის მიხედვით მოხდეს გამოკვლევა და გაისაზღვროს პრევენციული ღონისძიებები;

გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია მოხდეს ანგარიშგება, შესრულებული სამუშაოს და სამომავლო გეგმის აღწერილობით, რომელიც უნდა გადაგზავნილ იქნას ტექნიკურ დირექტორთან.

18.0 დისციპლინარული სისტემა

აქ მაინტერესებს თქვენი მოსაზრება: უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის ხომ არ აპირებთ რაიმე ზომების შემოღებას.

19.0 უსაფრთხოების აუდიტი

„დარიალ ენერჯი“ უზრუნველყოფს უსაფრთხოების სისიტემის ეფექტური მუშაობის შეფასებებს აუდიტების საშუალებით. გეგმიური აუდიტი ჩატარდება ყოველთვიურად. ასევე, უსაფრთხოების მოთხოვნების და წესების დარღვევის გამოვლენისას, მოხდება არაგეგმიური აუდიტის წარმოებაც, არსებული დარღვევის მიზეზის დასადგენად და გამოსასწორებელი მიმართულების დასადგენად.

აუდიტის წარმოება მოხდება ჰესის კომპლექსის ყველა სამუშაო ადგილზე, სადაც შემოწმდება სამუშაო პროცესის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება, საჭირო დოკუმენტაცია, მოწყობილობების ტექნიკური გამართულობის მდგომარეობა, პერსონალის მზადყოფნა ავარიულ მდგომარეობაში მოქმედებისათვის.

აუდიტის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ: ტექნიკური დირექტორი, უსაფრთხოების მენეჯერი, მთავარი ინჟინერი, მაკონტროლებელი შენობის უფროსი და სამუშაო ადგილზე მყოფი თანამშრომლები.

აუდიტი ჩატარდება მომუშავე პერონალის გამოკითხვის, მოწყობილობა დანადგარების და სამუშაო ადგილის ვიზუალური შეფასების, საჭირო დოკუმენტაციის შემოწმების და მომუშავეთა უსაფრთხოების წესების დაცვის შეფასების რეჟიმში.

აღმოჩენილი გაუმართაობები ჩაიწერება აუდიტის შედეგების ოქმში, რომელიც დადასტურდება მონაწილე პირთა ხელმოწერით და გადაეგზავნება გენერალურ დირექტორს.

ოქმში ასევე უნდა აღიწეროს გამოვლენილი დარღვევების გამოსწორების და შემდგომში განმეორების თავიდან არიდებისათვის საჭირო პრევენციული ღონისძიებები, შესრულების კონკრეტული ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

20.0 ანგარიშგება (რეპორტინგი)

„დარიალ ენერჯის“ უსაფრთხოების მენეჯერი, უზრუნველყოფს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ანგარიშგების წარმოებას. ანგარიშგების წარმოების მიზანია ჰესის

ექსპლუატაციის უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესება, უსაფრთხოების სისტემის ყოველთვიური შეფასებით და საფრთხის დროული ანალიზით.

უსაფრთხოების მონაცემების და ინფორმაციის თავმოყრა, შეფასების წარმოება და ანალიზი, იძლევა საშუალებას მოხდეს სტატისტიკური აღრიცხვა მომხდარი ინციდენტების, მათი წარმომქმნელი ფაქტორების დადგენით, რაც საექსპლუატაციო საფრთხეებიდან პრიორიტეტების განმაზღვრელი საშუალებაა და საფუძველია ინციდენტების პრევენციისათვის.

უსაფრთხოების ანგარიში (რეპორტი) უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების თანამშრომლების მიერ შესრულებული საქმიანობით აღწერას, ჩატარებულ ტრეინინგებს, აუდიტის შედეგებს, მომდევნო თვის დაგეგმილ უსაფრთხოების გასატარებელ ზომებს და ღონისძიებებს და შემდეგ საჭირო მონაცემებს;

1) დასაქმებულთა რაოდენობა;
2) ნამუშევარი საათების რაოდენობა;
3) ინციდენტების / უბედური შემთხვევების რაოდენობა;
4) ინციდენტთან მიახლოებული გარემოება/არშემდგარი ინციდენტი;
5) ტრავმების გამო გაცდენილი საათების რაოდენობა;
6) **LTIF** (ინციდენტების გამო გაცდენების სიხშირე);
7) პირველადი დახმარება;
8) ფასეულობის დაზიანების რაოდენობა;
9) ფატალური შემთხვევები;
10) სამუშაოსთან დაკავშირებული სხეულის დაზიანებები / ავადმყოფობა;
11) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები;
12) ყოველკვირეული ინსპექციები;
13) აუდიტები;
14) რისკების შეფასება;
15) ტრეინინგის საათები;
16) ინსტრუქტაჟის საათები;
17) ტრანსპორტის მიერ გავლილი კილომეტრები;
18) უსაფრთხოების მიზნით სამუშაოების შეჩერება;
19) ინციდენტის გამოკვლევა;
20) ინციდენტის შეტყობინება;

21.0 დანართები

დანართი 1 რისკების შეფასება

დანართი 2 ტრეინინგების აღრიცხვის ჟურნალი;

დანართი 3 ჩანაწერი ტრეინინგის შესახებ;

დანართი 4 „დარიალ ენერჯის“ ტრეინინგების მატრიცა;

21.1 დანართი 1 რისკების შეფასების დოკუმენტი

დარიალჰესის ექსპლუატაციის პროექტი	თარიღი :		რისკ. შეფას. N	**000**
სამუშაო უბანი		რისკების შეფასების ჯგუფი		

შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა	სახელი და გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
მაგ. ტურბინების გეგმიური სარემონტო სამუშაოები			

საჭირო დამატებითი ინფორმაცია (მაგ. ავარიულ სიტუაციაში მოქმედების გეგმა, პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია, დამატებითი პდა, იარაღები, მოწყობილობა და ა.შ) :	რისკების შეფასება დადასტურებულია: ტექნიკური დირექტორი	
გამოსაყენებელი ტექნიკა ან მოწყობილობა: მაგ. ამწე, შედუღების აპარატი და ა.შ	სახელი და გვარი :	
	ხელმოწერა:	
	თარიღი:	

შესასრულებელი სამუშაოს აღწერა									რისკ. შეფას. N :	000			
1.მოქმედების თანმიმდევრული ნუმერაცია	2. სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მოქმედება	3.საფრთხის აღწერს	4. საფრთხის შესაძლო გამოვლინების ეფექტი	5. არსებული საკონტროლო ღონისძიებები	6. პირველადი რისკი			7. მაკონრტოლებელი და პრევენციული ზომების სრული ჩამონათვალი	8. პასუხისმგებელი პირი	9. დარჩენილი რისკი			10. რისკი ყველაზე დაბალ ნიშნულზეა
					სიმძიმე	ალბათობა	რისკი			ეფექტი	ალბათობა	რისკი	
1					საშუალო	დაბალი	6			საშუალო	დაბალი	6	დიახ
2													
3													
4													

21.2 დანართი 2 ტრეინინგების აღრიცხვის ჟურნალი

№	ტრეინინგის დამსწრე		ტრეინიგის თემა	ტრენერი	
	გვარი, სახელი	თანამდებობა		სახელი გვარი	ხელმოწერა
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					
8.					
9.					
10.					
11.					
12.					
13.					
14.					
15.					
16.					
17.					
18.					
19.					
20.					
21.					
22.					
23.					
24.					
25.					

21.3 დანართი 3 ჩანაწერი ტრეინინგის შესახებ

ჩანაწერი ტრეინინგის ჩატარების შესახებ		
თარიღი: დაწყების დრო: ხანგრძლივობა:	ჩატარების ადგილი/მდებარეობა:	ტრენერი: ხელმოწერა: …………………………………….. სხვა ტრენერები:
ტრეინინგის თემა:		

No	სახელი და გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			

21.4 დანართი 3 „დარიალ ენერჯის“ ტრეინინგების მატრიცა

ტრეინინგი	ტექნიკური დირექტორი	წაარმოების მენეჯერი	უსაფრთხოების მენეჯერი	მაკონტროლებელი შენიბის ცვლის უფროსი	ცვლის უფროსის ასისტენტი	სატურბინე შენობის ელექტრიკოსი	ჰიდრავლიკური მოწყობილობის სპეციალისტი	საგენერატორო სატრანსფორმატორო სისტემის	ტურბინის ოპერატორი	სათავე ნაგებობის ოპერატორი	სალექარის ოპერატორი	ამწის ოპერატორი	ავტორტანსპორტის მძღოლები
საფრთხეების იდენტიფიცირება													
რისკის შეფასება													
აწევის ოპერაციები													
მაღლივი სამუშაოები													
პირველადი დახმარება													
პერს. დამცავი აღჭურვილობა													
ავტომანქანის უსაფრთხო მართვა													
ქიმიური ნივთიერებები													
ინციდენტების გამოკვლევა													
ნარჩენების მართვა													
სახანძრო უსაფრთხოება													
ცეცხლმაქრების გამოყენება													
მოქმედება ავარიულ მდგომარეობაში													
ელექტრო უსაფრთხოება													
სამუშაო ადგილის უსაფ. მოთხოვნები													
მანქანა დანადგარების ინსტრუქცია													
ხელსაწყოები – ხელის და ელექტრო													

21.5 დანართი 3 საევაკუაციო მიმართულებები